ნაშთი 2024 წლის 31 დეკემბერს	**200**	**8,813,699**	**194,691,526**	**203,505,425**

გამოსაცემად დამტკიცებულია და ხელი მოეწერა 2025 წლის 7 მაისს.

_____	_____
ლევან მესხელი	ლაშა კახიშვილი
გენერალური დირექტორი	ფინანსური დირექტორი

ქართული ლარი	შენიშვნა	2024	2023
ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან			
მოგება მოგების გადასახადამდე		57,706,312	51,618,182
კორექტირებები::			
ცვეთა და ამორტიზაცია	21, 22	5,371,846	5,269,921
ფინანსურ აქტივებზე გაუფასურების ზარალი	11, 22	6,113,526	4,113,227
მოიჯარეებისთვის გადახდილი ავანსების ამორტიზაცია	19	1,336,236	1,222,565
დაუზუსტებელი საგადასახადო პოზიციის ანარიცხის გაუქმება	21	-	(2,635,631)
ფინანსური ხარჯი, წმინდა	23	8,194,024	6,914,533
საკურსო სხვაობით განპირობებული ზარალი, წმინდა		758,985	277,861
საოპერაციო ფულადი ნაკადები სამუშაო კაპიტალის ცვლილებამდე:		**79,480,929**	**66,780,658**
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები		(4,412,081)	(263,601)
მარაგები		(30,626)	101,701
საგადასახადო ბალანსები		(4,515,242)	4,417,326
მოიჯარეებისგან მიღებულ ავანსები		71,654	1,688,083
მოიჯარეებისათვის გადახდილი ავანსები		(797,850)	-
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები		2,102,782	(1,623,735)
ცვლილებები სამუშაო კაპიტალში		**(7,581,363)**	**4,319,774**
მიღებული საპროცენტო შემოსავალი		200,821	89,806
გადახდილი პროცენტი		(13,544,207)	(14,456,118)
გადახდილი მოგების გადასახადი		(743,034)	(510,836)
საოპერაციო საქმიანობიდან მიღებული წმინდა ფულადი ნაკადები		**57,813,147**	**56,223,284**
ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან			
ძირითადი სამუალებების შეძენა		(2,780,292)	(906,316)
საინვესტიციო ქონების შეძენა		(15,301,663)	(6,604,641)
არამატერიალური აქტივების შეძენა		(6,075)	(15,836)
სესხების გაცემა		(90,083,678)	(1,867,407)
გაცემული სესხის დაბრუნება		2,835,546	819,969
საინვესტიციო საქმიანობაში გამოყენებული წმინდა ფულადი ნაკადები		**(105,336,162)**	**(8,574,232)**
ფულადი ნაკადები საფინანსო საქმიანობიდან			
შემოსულობები ნასესხები სახსრებიდან	15	152,021,658	63,481,962
ნასესხები სახსრების დაფარვა	15	(104,276,124)	(97,389,834)
აქციონერისთვის გადახდილი დივიდენდები	14	(4,210,526)	(2,894,737)
საფინანსო საქმიანობაში მიღებული / (გამოყენებული) წმინდა ფულადი სახსრები		**43,535,008**	**(36,802,609)**
ვალუტის გაცვლის კურსის ცვლილებების გავლენა ფულსა და ფულის ეკვივალენტებზე		(741,981)	(276,524)
ფული და ფულის ეკვივალენტები წლის დასაწყისში	13	**14,997,964**	**4,428,045**
ფული და ფულის ეკვივალენტები წლის ბოლოს	13	**10,267,976**	**14,997,964**

გამოსაცემად დამტკიცებულია და ხელი მოეწერა 2025 წლის 7 მაისს.

ლევან მესხელი
გენერალური დირექტორი

ლაშა კახიშვილი
ფინანსური დირექტორი

1 აი ჯი დეველოფმენტ ჯორჯია და მისი საქმიანობა

წინამდებარე კონსოლიდირებული და ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტებისა (‘ფასს’) და ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ საქართველოს კანონის მოთხოვნების შესაბამისად, 2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის შპს აი ჯი დეველოფმენტ ჯორჯიასათვის (შემდგომში „კომპანია“) და მისი შვილობილი საწარმოებისთვის (ერთობლივად „ჯგუფი“).

შპს აი ჯი დეველოფმენტ ჯორჯია დაფუძნდა 2010 წელს შპს აი ჯი ინთერნეშენალ-ის მიერ და მდებარეობს საქართველოში. კომპანია წარმოადგენს შეზღუდული პასუხისმგებლობის კომპანიას, რომელიც დაარსდა საქართველოს რეგულაციების შესაბამისად და რეგისტრირებულია თბილისის საგადასახადო ინსპექციის მიერ საიდენტიფიკაციო ნომრით 404851503.

2024 და 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანიის 100% წილის მფლობელი იყო შპს აი ჯი ინთერნეშენალ, რომელიც რეგისტრირებულია ამერიკის შეერთებულ შტატებში და ჯგუფის საბოლოო მაკონტროლებელი იყო მინდია საბანაძე.

ძირითადი საქმიანობა. ჯგუფის მთავარი საქმიანობა ქონების მართვა და კომერციული ფართების იჯარით გაცემაა სამ სავაჭრო ცენტრში: „სითი მოლ ქავთარაძე“, „სითი მოლ ვაჟა“ , „სითი მოლ გლდანი“ და ბიზნეს ცენტრი „სითი თაუერ“. ყველა მოლს ერთდროულად 300-ზე მეტი მაღაზია აქვს, მათ შორის სუპერმარკეტები, სწრაფი კვების რესტორნები, ტანსაცმლისა და სხვა მაღაზიები.

2021 წელს ჯგუფმა დააარსა 100%-ით საკუთრებაში არსებული ადგილობრივი შვილობილი კომპანია, შპს „სითი დეველოპმენტი“, რომელიც დაკავებულია CITYZEN კომპლექსის განვითარებით, რაც გააერთიანებს საცხოვრებელ, კომერციულ და რეკრეაციულ სივრცეებს. 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მიმდინარეობდა სამშენებლო სამუშაოები. მშენებლობის დასრულება 2026 წლის ბოლოსთვის არის დაგეგმილი.

რეგისტრირებული მისამართი და საქმიანობის ადგილი. კომპანიის რეგისტრირებული მისამართი და ძირითადი საქმიანობის ადგილია ვაჟა ფშაველას გამზირი, 70, თბილისი, საქართველო.

წარსადგენი ვალუტა. წინამდებარე კონსოლიდირებული და ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგება წარმოდგენილია ქართულ ლარში ("GEL"), თუ ეს სხვაგვარად არ არის მითითებული.

2 ჯგუფის საოპერაციო გარემო

ჯგუფის ძირითადი საქმიანობა ხორციელდება საქართველოში. საქართველოს გააჩნია განვითარებადი ბაზრისთვის დამახასიათებელი გარკვეული მახასიათებლები, რაც მოიცავს შედარებით მაღალ ინფლაციის მაჩვენებელსა და საპროცენტო განაკვეთებს. საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობა ექვემდებარება განსხვავებულ ინტერპრეტაციებს და ხშირ ცვლილებებს.

საქართველოს სამომავლო ეკონომიკური მიმართულება მნიშვნელოვნადაა დამოკიდებული მთავრობის მიერ მიღებული ეკონომიკური, ფინანსური და მონეტარული გადაწყვეტილებების ეფექტურობაზე, ისევე როგორც საგადასახადო, საკანონმდებლო, მარეგულირებელ და პოლიტიკურ განვითარებაზე.

ხელმძღვანელობას არ აქვს საშუალება, ზუსტად იწინასწარმეტყველოს მოვლენათა ყველა შესაძლო განვითარება, რომელსაც შეიძლება გავლენა ჰქონდეს საქართველოს ეკონომიკაზე და შესაბამისად, ჯგუფის ფინანსურ მდგომარეობაზე. ხელმძღვანელობას სჯერა, რომ ის ყველა საჭირო ზომებს იღებს, რათა მხარი დაუჭიროს ჯგუფის საქმიანობის მდგრადობასა და განვითარებას.

3 ბუღალტრული აღრიცხვის მნიშვნელოვანი პოლიტიკები

მომზადების საფუძველი. წინამდებარე კონსოლიდირებული და ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგება 2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის მომზადებულია ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტებთან (ფასს) და ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგების და აუდიტის შესახებ საქართველოს კანონის მოთხოვნებთან შესაბამისობაში, პირვანდელი ღირებულების კონვენციის მეთოდით, როგორც ეს მოდიფიცირებულია რეალურ ღირებულებაზე დაფუძნებული ფინანსური ინსტრუმენტების თავდაპირველი აღიარებით. კონსოლიდირებული და ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები წარმოდგენილია ქვემოთ. აღნიშნული პოლიტიკა თანმიმდევრულად გამოიყენება ყველა წარმოდგენილ პერიოდში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული.

ფასს-ის შესაბამისად კონსოლიდრებული ფინანსური ანგარიშგების მომზადებისათვის მოითხოვება გარკვეული მნიშვნელოვანი სააღრიცხვო დაშვებების გამოყენება. ასევე, მოითხოვება ხელმძღვანელობის მიერ განსჯის გამოყენება ჯგუფის სააღრიცხვო პოლიტიკის გათვალისწინებისას. საკითხები, რომლებიც მოიცავს უფრო მაღალი დონის ან სირთულის განსჯას, ან, რომელსაც შეუძლია ყველაზე დიდი გავლენის მოხდენა კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაზე, გამჟღავნებულია მე-4 შენიშვნაში.

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება. შვილობილი საწარმოებია ინვესტიციის მიმღები ის საწარმოები (სტრუქტურიზებული საწარმოების ჩათვლით), რომლებსაც ჯგუფი აკონტროლებს, რადგან ჯგუფს: (i) გააჩნია ინვესტიციის მიმღების იმ შესაფერისი საქმიანობების წარმართვის უფლებამოსილება, რომლებიც მნიშვნელოვან გავლენას ახდენს ინვესტიციის მიმღების უკუგებაზე; (ii) ინვესტიციის მიმღებ საწარმოში მონაწილეობის გამო, გააჩნია მისგან ცვალებადი უკუგების მიღების უფლება; და (iii) შესწევს უნარი, გამოიყენოს თავისი უფლებამოსილება ინვესტიციის მიმღებზე, რათა გავლენა მოახდინოს ინვესტორის უკუგებაზე. არსებითი უფლებების არსებობის და გავლენის (მათ შორის არსებითი პოტენციური ხმის უფლების) გათვალისწინება ხდება იმის შეფასებისას, გააჩნია თუ არა ჯგუფს უფლებამოსილება სხვა საწარმოზე. უფლება რომ არსებითი იყოს, მის მფლობელს უნდა გააჩნდეს პრაქტიკული უნარი, გამოიყენოს ეს უფლება ინვესტიციის მიმღების შესაბამისი საქმიანობის წარმართვის შესახებ გადაწყვეტილების მიღებისას. ჯგუფს შეიძლება გავლენა ჰქონდეს ინვესტიციის მიმღებზე მაშინაც კი, როდესაც მას ინვესტიციის მიმღების ხმათა უმრავლესობაზე ნაკლები ხმის უფლება გააჩნია. მსგავს შემთხვევაში, ჯგუფი შეაფასებს თავისი ხმის უფლების ზომას, ხმის უფლების სხვა მფლობელების ზომასა და ხმის უფლებების განაწილებასთან მიმართებით, რათა დაადგინოს, გააჩნია თუ არა მას დე-ფაქტო უფლებამოსილება ინვესტიციის მიმღებზე. სხვა ინვესტორების დამცავი უფლებები, როგორიცაა, მაგალითად უფლებები, რომლებიც დაკავშირებულია ინვესტიციის მიმღების საქმიანობების ფუნდამენტურ ცვლილებებთან, ან, რომლებიც ვრცელდება მხოლოდ განსაკუთრებულ შემთხვევებში, ვერ უზრუნველყოფს ჯგუფის მიერ ინვესტიციის მიმღების გაკონტროლების თავიდან აცილებას. შვილობილი საწარმოები კონსოლიდირებულია ჯგუფისთვის კონტროლის უფლებამოსილების გადაცემიდან (შეძენის თარიღიდან), ხოლო კონსოლიდირება წყდება კონტროლის გაუქმების თარიღიდან.

შეძენის მეთოდით აღრიცხვა გამოიყენება შვილობილი საწარმოების შეძენის აღრიცხვისათვის. შეძენილი იდენტიფიცირებადი აქტივები და ვალდებულებები და პირობითი ვალდებულებები, რომლებიც მიიღება საწარმოთა გაერთიანებისას, ფასდება მათი რეალური ღირებულებით შეძენის თარიღისათვის, ნებისმიერი არამაკონტროლებელი წილის ოდენობის მიუხედავად.

ჯგუფი აფასებს არასაკონტროლო წილს, რაც წარმოადგენს საკუთრების ამჟამინდელ წილს და მის მფლობელს უფლებამოსილებას ანიჭებს, მიიღოს წმინდა აქტივების პროპორციული წილი, ლიკვიდაციის შემთხვევაში ოპერაციების მიხედვით, ან (ა) რეალური ღირებულებით, ან (ბ) შეძენილი საწარმოს წმინდა აქტივების არასაკონტროლო წილის პროპორციული წილის სახით. არასაკონტროლო წილი, რომელიც არ წარმოადგენს საკუთრების წილს, ფასდება რეალური ღირებულებით.

შეძენილ საწარმოში გადახდილი ანაზღაურება ფასდება დათმობილი აქტივების, გამოშვებული სავალო ინსტრუმენტების და მიღებული ვალდებულებების რეალური ღირებულებით, პირობითი ანაზღაურების შეთანხმებების აქტივების ან ვალდებულებების რეალური ღირებულების ჩათვლით, მაგრამ არ შეიცავს შეძენასთან დაკავშირებულ ისეთ დანახარჯებს, როგორიცაა საკონსულტაციო, იურიდიულ, შეფასების და მსგავსი პროფესიული მომსახურების დანახარჯებს. სავალო ინსტრუმენტების გამოშვებისათვის გაწეული გარიგების დანახარჯები გამოიქვითება საკუთარი კაპიტალიდან; საწარმოთა გაერთიანების ფარგლებში ვალის აღებასთან დაკავშირებული გარიგების დანახარჯები გამოიქვითება მისი საბალანსო ღირებულებიდან და შეძენასთან დაკავშირებული ყველა სხვა დანარჩენი დანახარჯი აისახება ხარჯებში.

საწარმოთაშორისი ოპერაციები, ნაშთები და ჯგუფის შემადგენელ კომპანიებს შორის ოპერაციებიდან წარმოქმნილი არარეალიზებული შემოსულობები ანულირდება; არარეალიზებული ზარალიც ანულირდება, თუ შეუძლებელია დანახარჯების ამოღება. ჯგუფი და ყველა მისი შვილობილი საწარმო იყენებს ერთგვაროვან სააღრიცხვო პოლიტიკას, რომელიც ჯგუფის პოლიტიკის თანმიმდევრულია.

არამაკონტროლებელი წილი წარმოადგენს შვილობილი საწარმოს წმინდა შედეგების იმ ნაწილს, რომელიც მიკუთვნებადია იმ წილზე, რომელსაც ჯგუფი არ ფლობს არც უშუალოდ და არც არაპირდაპირ. არამაკონტროლებელი წილი წარმოადგენს ჯგუფის კაპიტალის ცალკე კომპონენტს.

ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგება - ინვესტიცია შვილობილ საწარმოში. კომპანია ინვესტიციებს შვილობილ საწარმოში ახორციელებს ინვესტიციის თავდაპირველი თვითღირებულებით, სანამ ინვესტიციას არ შეუწყდება აღიარება ან გაუფასურდება მისი ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგების მიხედვით. შვილობილ კომპანიებში ინვესტიციების საბალანსო ღირებულება განიხილება ყოველი საანგარიშგებო თარიღისთვის, რათა დადგინდეს, ადგილი აქვს თუ არა რაიმე სახის გაუფასურებას. თუ რაიმე ასეთი მინიშნება არსებობს, აქტივების ანაზღაურებადი თანხები შეფასდება. გამოყენების ღირებულება განისაზღვრება მოსალოდნელი დივიდენდის შემოსულობების ამჟამინდელი ღირებულებით. გაუფასურების ზარალი აღიარებულია, როდესაც შვილობილი კომპანიების ინვესტიციების საბალანსო ღირებულება აღემატება მის ანაზღაურებად ღირებულებას. გაუფასურების ზარალი აღიარებულია მოგებაში ან ზარალში.

საოპერაციო სეგმენტები. მმართველობის მიზნებისათვის ჯგუფმა / პირმა გამოავლინა ერთი სეგმენტი, რომლის ანგარიშგებაც უნდა მოხდეს. ესაა უძრავი ქონების მართვა-განვითარება.

უცხოური ვალუტის გადაანგარიშება. ჯგუფის სამუშაო ვალუტაა იმ ძირითადი ეკონომიკური გარემოს ვალუტა, სადაც ჯგუფი ეწევა საქმიანობას. ჯგუფის სამუშაო ვალუტა არის საქართველოს ეროვნული ვალუტა, ქართული ლარი ("₾").

ოპერაციები და ნაშთები. ფულადი აქტივები და ვალდებულებები ჯგუფის სამუშაო ვალუტაში გადაიყვანება შესაბამისი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს საქართველოს ეროვნული ბანკის (სებ) სავალუტო კურსით. უცხოური ვალუტის შემოსულობები და ზარალი, წარმოქმნილი ოპერაციების ანგარიშსწორებიდან და წლის ბოლოს ფულადი აქტივებისა და ვალდებულებების ჯგუფის სამუშაო ვალუტაში საქართველოს ეროვნული ბანკის სავალუტო კურსით გადაყვანიდან, ნასესხები სახსრების გარდა, აღიარდება მოცემული წლის მოგება-ზარალის „ფინანსური მოგების ან ხარჯი“-ს მუხლში/სხვა საოპერაციო მოგება/(ხარჯები), ნეტო“. ნასესხებ სახსრებთან დაკავშირებული უცხოური ვალუტის შემოსულობები და ზარალი წარდგენილია მოგებისა და ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგების მუხლში „ფინანსური შემოსავალი ან დანახარჯები, ნეტო“. ყველა სხვა უცხოური ვალუტის შემოსულობები და ზარალი წარდგენილია მოგებისა და ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგების მუხლში „სხვა საოპერაციო შემოსავლები/(ხარჯები), ნეტო“. წლის ბოლოს არსებული კურსით კონვერტაცია არ ვრცელდება არაფულად მუხლებზე, რომლებიც პირვანდელი ღირებულებითაა შეფასებული. უცხოურ ვალუტაში შეფასებული არაფულადი მუხლები,

გადაანგარიშდება რეალური ღირებულების განსაზღვრის თარიღით არსებული სავალუტო კურსით. სავალუტო კურსის ცვლილებების გავლენა უცხოურ ვალუტაში რეალური ღირებულებით შეფასებულ არაფულად მუხლებზე აღირიცხება, როგორც რეალური ღირებულების შემოსულობის ან ზარალის ნაწილი.

2024 წლის 31 დეკემბერს ძირითადი სავალუტო კურსები, რომლებიც საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ იყო განსაზღვრული, გახლდათ შემდეგი: აშშ დოლარი 1 = ₾ 2.8068 და ევრო 1= ₾2.9306 (2023: აშშ დოლარი 1 = ₾ 2.6894, ევრო1 = ₾ 2.9753) . ამაჟამად, ქართული ლარი არ არის თავისუფლად გაცვლადი ვალუტა საქართველოს ფარგლებს გარეთ.

ძირითადი საშუალებები. ძირითადი საშუალებები აღირიცხება თვითღირებულებით, შემცირებული დაგროვილი ცვეთის თანხით ან გაუფასურებით, საჭიროებისამებრ. შემდგომი ხარჯები შესულია აქტივის საბალანსო ღირებულებაში ან აღიარდება როგორც ცალკე აქტივი, საჭიროებისამებრ, მხოლოდ მაშინ, როდესაც არსებობს იმის ალბათობა, რომ ამ მუხლთან ასოცირებული სამომავლო ეკონომიკური სარგებელი შემოედინება კომპანიაში და ამ მუხლის ღირებულების სანდოდ შეფასება იქნება შესაძლებელი. უმნიშვნელო სარემონტო და ყოველდღიური საექსპლუატაციო დანახარჯები გაწევისთანავე აისახება ხარჯებში. ძირითადი საშუალების მნიშვნელოვანი ნაწილების ან კომპონენტების შეცვლის დანახარჯები კაპიტალიზდება და შეცვლილი ნაწილი ამოიღება ბალანსიდან.

ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს ხელმძღვანელობა აფასებს არსებობს თუ არა ძირითადი საშუალებების გაუფასურების რაიმე ინდიკატორი. თუ მსგავსი ინდიკატორი არსებობს, ხელმძღვანელობა შეაფასებს ანაზღაურებად ღირებულებას, რომელიც განისაზღვრება აქტივის რეალურ ღირებულებასა, შემცირებული გაყიდვის დანახარჯებით, და მისი გამოყენების ღირებულებას შორის უდიდესით. საბალანსო ღირებულება მცირდება ანაზღაურებად ღირებულებამდე, ხოლო გაუფასურების ზარალი აღიარდება მოცემული წლის მოგება-ზარალში საბალანსო ღირებულება მცირდება ანაზღაურებად ღირებულებამდე, ხოლო გაუფასურების ზარალი აღიარდება მოცემული წლის მოგება-ზარალში. აქტივისთვის გასულ წლებში აღიარებული გაუფასურების ზარალი ანულირდება, თუ ადგილი ჰქონდა აქტივის გამოყენების ღირებულების ან რეალური ღირებულების, შემცირებული გაყიდვის დანახარჯებით, განსაზღვრისას გამოყენებული შეფასებების ცვლილებებს.

გაყიდვიდან მიღებული შემოსულობები და ზარალი განისაზღვრება შემოსული თანხების საბალანსო ღირებულებასთან შედარებით და აღიარდება მოცემული წლის მოგება-ზარალში

საინვესტიციო ქონება. საინვესტიციო ქონება არის ჯგუფის მიერ ფლობილი ქონება საიჯარო შემოსავლის ან კაპიტალის ღირებულების გაზრდისთვის ან ორივე მიზნისათვის და რომელიც არ არის ჯგუფის მიერ დაკავებული. საინვესტიციო ქონება ასევე მოიცავს დაუმთავრებელ აქტივებს, მომავალში საინვესტიციო ქონების სახით გამოყენებისთვის.

საინვესტიციო ქონება თავდაპირველად აღიარდება თვითღირებულებით, შემცირებული დაგროვილი ცვეთით და გაუფასურების ანარიცხით, საჭიროებისამებრ. თუ არსებობს რაიმე მინიშნება იმაზე, რომ საინვესტიციო ქონება შესაძლოა დაექვემდებაროს გაუფასურებას, ჯგუფი შეაფასებს ანაზღაურებად ღირებულებას, რომელიც განისაზღვრება აქტივის რეალურ ღირებულებასა, შემცირებული გაყიდვის დანახარჯებით, და მისი გამოყენების ღირებულებას შორის უდიდესით. საინვესტიციო ქონების საბალანსო ღირებულება ჩამოიწერება მის ანაზღაურებად ღირებულებამდე წლის მოგება-ზარალზე დარიცხვის მეშვეობით. წინა წლებში აღიარებული გაუფასურების ზარალი ანულირდება თუ ადგილი ჰქონდა აქტივის ანაზღაურებადი ღირებულების განსასაზღვრად გამოყენებული დაშვებების შემდგომ ცვლილებებს.

შემდგომი დანახარჯები კაპიტალიზდება აქტივის საბალანსო ღირებულებაში მხოლოდ მაშინ, თუ მოსალოდნელია ამ დანახარჯებთან დაკავშირებული სამომავლო ეკონომიკური სარგებლის ჯგუფში შემოდინება და თუ შესაძლებელია დანახარჯის სარწმუნოდ შეფასება. რემონტის და მოვლა-შენახვის ყველა სხვა დანახარჯი გაწევისთანავე აისახება ხარჯებში. იმ შემთხვევაში, თუ მესაკუთრე დაიწყებს

საინვესტიციო ქონება დაკავდება მესაკუთრის მიერ, ასეთი ქონება საინვესტიციო ქონებიდან ძირითად საშუალებებში რეკლასიფიცირდება. გამომუშავებული საიჯარო შემოსავალი აღირიცხება ამონაგებში წლის მოგება-ზარალში. შემოსულობები ან ზარალი საინვესტიციო ქონების გასვლისას გამოიანგარიშება, როგორც შემოსულობები შემცირებული საბალანსო ღირებულებით.

ცვეთა. მიწას და დაუმთავრებელ მშენებლობას ცვეთა არ ერიცხება. სხვა ძირითადი საშუალებების მუხლების ცვეთა გამოითვლება წრფივი მეთოდის გამოყენებით, მათი ღირებულების ნარჩენ ღირებულებაზე გადასანაწილებლად, მათი დარჩენილ სასარგებლო მომსახურების ვადის განმავლობაში:

	სასარგებლო მომსახურების ვადა წლებში
საინვესტიციო ქონება:	
შენობა-ნაგებობები	50
პარკინგი და მასთან დაკავშირებული სისტემები	20
ესკალატორები, HVAC და ელექტრო სისტემები	10
ძირითადი საშუალებები:	
შენობა-ნაგებობები	50
ბილბორდები და სარეკლამო აღჭურვილობა	5 - 15
მანქანა-დანადგარები	5 - 10
ავტომობილები	3 - 10
ავეჯი და მოწყობილობები	3 - 5

აქტივის ნარჩენი ღირებულება არის შეფასებული ღირებულება, რომელსაც ჯგუფი ამჟამად მიიღებდა აქტივის გასვლიდან, შემცირებული გასვლის დანახარჯებით, იმ დაშვებით რომ აქტივი უკვე იმ ხნის არის და იმ მდგომარეობაში, როდესაც მოსალოდნელია, რომ ადგილი ექნებოდა მისი სასარგებლო მომსახურების ვადის დასასრულს. აქტივების ნარჩენი ღირებულებები და სასარგებლო მომსახურების ვადები გადაისინჯება და კორექტირდება, საჭიროების შემთხვევაში, ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს.

მოიჯარეებისათვის გადახდილი ავანსები. მოიჯარეებისთვის გადახდილი ავანსები წარმოადგენს იმ თანხებს, რომლებიც ჯგუფმა გადაუხადა გარკვეულ მოიჯარეებს მათთან გრძელვადიანი იჯარის გაფორმების წასახალისებლად და მოიჯარეებისთვის შესაბამისი იჯარით გაცემული ფართობების რემონტთან დაკავშირებული წინასწარი ხარჯების ასანაზღაურებლად.

მოიჯარეებისთვის გადახდილი ავანსები წარმოდგენილია, როგორც გრძელვადიანი აქტივები ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში და აღიარებულია, როგორც შესაბამისი საიჯარო ამონაგების შემცირება, წრფივი მეთოდის საფუძველზე საიჯარო ხელშეკრულების ვადის განმავლობაში (15 წლიდან 25 წლამდე).

არამატერიალური აქტივები. ჯგუფის ყველა არამატერიალურ აქტივს განსაზღვრული სასარგებლო მომსახურების ვადა გააჩნია და ძირითადად მოიცავს კაპიტალიზებულ ბუღალტრულ პროგრამულ უზრუნველყოფას და ლიცენზიებს. შეძენილი ბუღალტრული პროგრამული უზრუნველყოფის ლიცენზიები კაპიტალიზდება მათი შეძენისა და გამოსაყენებლად მომზადებისთვის გაწეული დანახარჯების საფუძველზე. არამატერიალური აქტივები წრფივი მეთოდით ამორტიზდება მათი სასარგებლო მომსახურების ვადის განმავლობაში. ჯგუფის პროგრამული უზრუნველყოფისა და ლიცენზეიბის სასარგებლო მომსახურების ვადები 1-დან 10 წლამდეა.

გაუფასურების შემთხვევაში არამატერიალური აქტივის საბალანსო ღირებულება ჩამოიწერება მის გაყიდვის ღირებულებასა და რეალურ ღირებულებას შორის, შემცირებული გაყიდვის დანახარჯებით, უმაღლეს ღირებულებამდე.

არაფინანსური აქტივების გაუფასურება. აქტივებს, რომლებსაც ცვეთა ერიცხებათ, მიმოიხილავენ გაუფასურების თვალსაზრისით, როდესაც მოვლენების ან ვითარების ცვლილება მიუთითებს რომ შეიძლება საბალანსო ღირებულება არ იყოს ანაზღაურებადი. გაუფასურების ზარალი აღიარდება იმ თანხით, რომლითაც აქტივის საბალანსო ღირებულება აღემატება მის ანაზღაურებად ღირებულებას. ანაზღაურებადი თანხა არის აქტივის რეალურ ღირებულებას, შემცირებული გაყიდვის დანახარჯებით, და მის გამოყენების ღირებულებას შორის უდიდესი. გაუფასურების შეფასების მიზნებისათვის აქტივებს აჯგუფებენ რაც შეიძლება უმცირეს დონეზე, რომელზეც არსებობს დამოუკიდებელი ფულადი ნაკადები (ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულები). არაფინანსური აქტივების ადრინდელი გაუფასურება ყოველი საანგარიშგებო თარიღით გადაისინჯება გაუფასურების შესაძლო ანულირების თვალსაზრისით.

ფინანსური ინსტრუმენტები - შეფასების ძირითადი პირობები. რეალური ღირებულება წარმოადგენს ფასს, რომელიც მიიღებოდა აქტივის გაყიდვისას ან გადაიხდებოდა ვალდებულების გადასაცემად შეფასების თარიღით ბაზრის მონაწილეებს შორის გარიგებისას. რეალური ღირებულების საუკეთესო მტკიცებულებაა აქტიური ბაზარი. აქტიური ბაზარი გახლავთ ბაზარი, სადაც აქტივთან ან ვალდებულებასთან დაკავშირებული ოპერაციები საკმარისად ხშირად და ინტენსიურად ხორციელდება იმისათვის, რომ უზრუნველყოფილ იქნეს მიმდინარე ინფორმაცია ფასის შესახებ.

იმ ფინანსური ინსტრუმენტების რეალური ღირებულება, რომლებითაც ვაჭრობენ აქტიურ ბაზარზე, ფასდება ინდივიდუალური აქტივის ან ვალდებულების კოტირებული ფასის გამრავლებით საწარმოს მიერ ფლობილ რაოდენობაზე. ეს ასეა მაშინაც კი, როდესაც ბაზრის ჩვეულებრივი დღიური ვაჭრობის მოცულობა არ არის საკმარისი ფლობილი რაოდენობის ასათვისებლად და ერთი გარიგებით პოზიციის გაყიდვის დაკვეთამ შეიძლება გავლენა იქონიოს კოტირებულ ფასზე.

შეფასების ისეთი ხერხები, როგორიცაა დისკონტირებული ფულადი ნაკადის მოდელები ან თავისუფალ, მხოლოდ საკუთარი ინტერესის მქონე პირებს შორის გარიგებები ან ინვესტიციის მიმღების ფინანსური მონაცემების გათვალისწინება, გამოიყენება იმ კონკრეტული ფინანსური ინსტრუმენტების რეალური ღირებულების შეფასებისათვის, რომელთა საბაზრო ფასის შესახებ ინფორმაცია არ არის ხელმისაწვდომი. რეალური ღირებულების შეფასებების ანალიზი რეალური ღირებულების იერარქიაში შემდეგნაირად ხორციელდება: (i) პირველი დონე გახლავთ იდენტური აქტივების ან ვალდებულებების აქტიურ ბაზარზე კოტირებული (დაუკორექტირებელი) ფასებით შეფასება, (ii) მეორე დონის შეფასება გახლავთ შეფასების ხერხების გამოყენებით შეფასება, როდესაც აქტივის ან ვალდებულების ყველა არსებითი მონაცემები დაკვირვებადია, პირდაპირ (მაგ. ფასები) ან ირიბად (მაგ. წარმოებულია ფასებიდან), და (iii) მესამე დონის შეფასებები გახლავთ შეფასებები, რომლებიც არ ეფუძნება მხოლოდ დაკვირვებად საბაზრო მონაცემებს (ანუ შეფასებისათვის საჭიროა მნიშვნელოვანი არა-დაკვირვებადი ინფორმაცია).

გარიგების დანახარჯები გახლავთ დამატებით დანახარჯები, რომლებიც პირდაპირ მიეკუთვნება ფინანსური ინსტრუმენტის შეძენას, გამოშვებას ან გასვლას. დამატებითი დანახარჯი არის დანახარჯი, რომელიც არ გაიწეოდა, მოცემული ოპერაცია რომ არ განხორციელებულიყო. გარიგების დანახარჯები მოიცავენ სააგენტოებისა და ფასიანი ქაღალდების ბირჟისთვის (მათ შორის თანამშრომლებისთვის, რომლებიც მოქმედებენ, როგორც გაყიდვების აგენტები) გადახდილ საფასურს და საკომისიოს, და აგრეთვე სატრანსფერო გადასახადებს და მოსაკრებლებს. გარიგების დანახარჯები არ მოიცავენ სავალო პრემიას ან ფასდაკლებებს, ფინანსურ დანახარჯებს ან შიდა ადმინისტრაციულ ან მფლობელობასთან

ამორტიზებული ღირებულება ("AC") არის თანხა, რომელიც მოიცავს ფინანსური ინსტრუმენტის საწყისი აღიარების თანხას გამოკლებული ძირითადი თანხის გადახდა, დამატებული დაგროვილი პროცენტი და ფინანსური აქტივების შემთხვევაში, შემცირებული მოსალოდნელი საკრედიტო ზარალით *("ECL").* დაგროვილი პროცენტი მოიცავს საწყისი აღიარებისას გადავადებული გარიგების დანახარჯების ამორტიზაციას და ნებისმიერ პრემიას ან დისკონტს ვადის დაფარვამდე, ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით. დაგროვილი საპროცენტო შემოსავალი და

დაგროვილი საპროცენტო ხარჯი, მათ შორის როგორც დაგროვილი კუპონი და ამორტიზებული დისკონტი, ან პრემია (წარმოშობისას გადავადებული საფასურის ჩათვლით, თუ ასეთი არსებობს) ცალკე არ აისახება და შედის ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგების შესაბამისი მუხლების საბალანსო ღირებულებაში.

ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდი არის საპროცენტო შემოსავლის ან საპროცენტო ხარჯის შესაბამის პერიოდზე გადანაწილების მეთოდი ისე, რომ მიღწეულ იქნეს მუდმივი პერიოდული საპროცენტო განაკვეთი (ეფექტური საპროცენტო განაკვეთი) საბალანსო ღირებულებაზე. ეფექტური საპროცენტო განაკვეთი არის განაკვეთი, რომლის მეშვეობით ზუსტად დისკონტირდება სავარაუდო მომავალი ფულადი გადახდები ან შემოსავლები (მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის გარეშე) ფინანსური ინსტრუმენტის წმინდა საბალანსო ღირებულებამდე, ფინანსური ინსტრუმენტის მოსალოდნელი მომსახურების ვადაზე ან საჭიროების შემთხვევაში, უფრო ხანმოკლე პერიოდზე. ეფექტური საპროცენტო განაკვეთით დისკონტირდება ცვალებადი საპროცენტო განაკვეთის მქონე ინსტრუმენტების ფულადი ნაკადები პროცენტის შემდეგი ფასწარმოქმნის თარიღამდე, გარდა პრემიისა ან ფასდაკლებისა, რაც ასახავს საკრედიტო სპრედს ინსტრუმენტის მითითებულ მცოცავ განაკვეთზე, ან სხვა ცვლადებზე, რომელთა მნიშვნელობის საბაზრო განაკვეთების მიხედვით განსაზღვრა არ ხდება. მსგავსი პრემიები ან ფასდაკლებები ამორტიზდება ინსტრუმენტის მთლიანი მომსახურების ვადის განმავლობაში. დისკონტირებული ღირებულების გაანგარიშება მოიცავს ხელშეკრულების მხარეების მიერ ყველა გადახდილ ან მიღებულ საფასურს, რაც ეფექტური საპროცენტო განაკვეთის შემადგენელი ნაწილია. შეძენილი ან შექმნილი გაუფასურებული ფინანსური აქტივების (“POCI”) შემთხვევაში თავდაპირველი აღიარებისას უნდა განისაზღვროს საკრედიტო რისკით კორექტირებული ეფექტური საპროცენტო განაკვეთი, მაგალითისთვის, სახელშეკრულებო გადახდების ნაცვლად, ის თავდაპირველი აღიარებისას მოსალოდნელი ფულადი სახსრების საფუძველზე გამოითვლება.

ფინანსური ინსტრუმენტები – თავდაპირველი აღიარება. ფინანსური ინსტრუმენტები რეალური ღირებულებით, მოგება ზარალში ასახვით (FVTPL), თავდაპირველად აღირიცხება რეალური ღირებულებით. ყველა სხვა ფინანსური ინსტრუმენტი თავდაპირველად აღიარდება რეალური ღირებულებით, კორექტირებული ტრანზაქციების დანახარჯებით. საწყისი აღიარებისას რეალური ღირებულების საუკეთესო მტკიცებულებაა ტრანზაქციების ფასი. საწყის აღიარებაზე შემოსულობა ან ზარალი მხოლოდ მაშინ აისახება, როდესაც რეალური ღირებულება და ტრანზაქციის ფასი განსხვავებულია, რომლის მტკიცებულებასაც შეიძლება წარმოადგენდეს იმავე ინსტრუმენტის სხვა დაკვირვებადი მიმდინარე საბაზრო ოპერაციები, ან შეფასების ხერხი, რომელიც გულისხმობს მხოლოდ დაკვირვებადი საბაზრო მონაცემების გამოყენებას. თავდაპირველი აღიარების შემდეგ მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის ანარიცხი აღიარდება ფინანსური აქტივებისთვის, რომლებიც შეფასებულია ამორტიზებული ღირებულებით (AC) რაც გამოიწვევს მყისიეულ საბუღალტრო ზარალს.

ფინანსური აქტივები – კლასიფიკაცია და შემდგომი შეფასება – შეფასების კატეგორიები. ჯგუფი ფინანსურ აქტივებს შემდეგი შეფასების კატეგორიებად აჯგუფებს: „რეალური ღირებულებით, „მოგება-ზარალში ასახვით” (“FVTPL”), “რეალური ღირებულებით, სხვა სრულ შემოსავალში ასახვით (“FVOCI”) და ამორტიზებული ღირებულებით (“AC”).

ფინანსური აქტივები – კლასიფიკაცია და შემდგომი შეფასება – ბიზნეს მოდელი. ბიზნეს მოდელი ასახავს, თუ როგორ მართავს ჯგუფი თავის აქტივებს ფულადი ნაკადების წარმოსაქმნელად - ჯგუფის მიზანია (i) ფინანსური აქტივების ფლობა სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების მიღების მიზნით (‘სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების მისაღებად ფლობილი’), თუ (ii) როგორც სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების მიღება, ისე აქტივების გაყიდვიდან წარმოქმნილი ფულადი ნაკადების მიღება (‘სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების მისაღებად და გასაყიდად ფლობილი’) ან, თუ არც (i) და არც (ii) შესაფერისი არ არის, ფინანსური აქტივები კლასიფიცირდება „სხვა“ ბიზნეს მოდელში და შეფასდება რეალური ღირებულებით, მოგება-ზარალში ასახვით (‘FVTPL’).

ჯგუფის აქტივებისთვის (პორტფელის დონეზე) ბიზნეს მოდელი განისაზღვრება ჯგუფის მიერ შეფასების თარიღით ხელმისაწვდომი პორტფელისთვის დადგენილი მიზნების მისაღწევად განხორციელებული საქმიანობის შესახებ შესაფერისი მტკიცებულების საფუძველზე. ჯგუფის მიერ ბიზნეს მოდელის განსაზღვრისთვის გათვალისწინებული ფაქტორები მოიცავს: პორტფელის დანიშნულებას და შემადგენლობას, წარსულ გამოცდილებას იმასთან დაკავშირებით, თუ როგორ მიიღებოდა ფულადი ნაკადები შესაბამისი აქტივებიდან, როგორ ხდება რისკების შეფასება და მართვა, როგორ ხდება აქტივების შედეგების შეფასება და როგორ ხდება ხელმძღვანელების ანაზღაურება.
ფინანსური აქტივები – კლასიფიკაცია და შემდგომი შეფასება – ფულადი ნაკადების მახასიათებლები. როდესაც ბიზნეს-მოდელი გულისხმობს აქტივების ფლობას სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების ამოსაღებად ან სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების ამოსაღებად და გასაყიდად, მაშინ ჯგუფი შეაფასებს ფულადი ნაკადები წარმოადგენს თუ არა მხოლოდ ძირი თანხისა და ძირი თანხის დაუფარავ ნაწილთან დაკავშირებულ პროცენტის გადახდას ("SPPI"). როდესაც სახელშეკრულებო პირობები მოიცავს რისკს ან ცვალებადობას, რომელიც საბაზისო სასესხო ხელშეკრულების თანმიმდევრულია, მაშინ ფინანსური აქტივი კლასიფიცირდება და შეფასდება, როგორც რეალური ღირებულებით შეფასებული, მოგება-ზარალში ასახვით. SPPI-ს შეფასება ხდება აქტივის თავდაპირველი აღიარებისას და შემდეგ მისი ხელახლა შეფასება არ ხდება.

ფინანსური აქტივები – რეკლასიფიკაცია. ფინანსური აქტივები მხოლოდ მაშინ რეკლასიფიცირდება, როდესაც პორტფელის მართვის ბიზნეს-მოდელი მთლიანად იცვლება. რეკლასიფიკაციას პერსპექტიული გავლენა აქვს და ტარდება ბიზნეს-მოდელის შეცვლიდან პირველი საანგარიშგებო პერიოდის დასაწყისიდან. საწარმოს არ მოუხდენია მისი ბიზნეს მოდელის ცვლილება მიმდინარე და შესადარისი პერიოდის განმავლობაში და რეკლასიფიკაცია არ განუხორციელებია.

ფინანსური აქტივების გაუფასურება – საკრედიტო ზარალის ანარიცხი მოსალოდნელი საკრედიტო ზარალისთვის. ჯგუფი პერსპექტიულ საფუძველზე აფასებს მოსალოდნელ საკრედიტო ზარალს ამორტიზებული ღირებულებით და FVOCI-ით შეფასებული სავალო ინსტრუმენტებისთვის, ისევე როგორც სავალო ვალდებულებებისა და ფინანსური გარანტიის ხელშეკრულებებიდან წარმოქმნილი რისკებისთვის, სახელშეკრულებო აქტივების შემთხვევაში. ჯგუფი ყოველი საანგარიშგებო თარიღით აფასებს ფინანსური და სახელშეკრულებო აქტივების მოსალოდნელ საკრედიტო ზარალს და აღიარებს წმინდა გაუფასურების ზარალს. მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის შეფასებაში აისახება: (i) მიუკერძოებელი და ალბათობით შეწონილი თანხა, რომელიც განისაზღვრება შესაძლო შედეგების სპექტრის შეფასებით, (ii) ფულის დროითი ღირებულება და (iii) ყველა მიზანშეწონილი და დასაბუთებადი ინფორმაცია, რომელიც ხელმისაწვდომია მეტისმეტი დანახარჯებისა და ძალისხმევის გაწევის გარეშე თითოეული საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს წარსული მოვლენების, არსებული მდგომარეობისა და სამომავლო ვითარების პროგნოზის შესახებ.

ჯგუფი გაუფასურების სამეტაპიან მოდელს იყენებს, თავდაპირველი აღიარების შემდეგ საკრედიტო ხარისხის ცვლილების საფუძველზე. ფინანსური ინსტრუმენტი, რომელიც გაუფასურებული არ არის თავდაპირველი აღიარებისას, კლასიფიცირდება 1-ელ ეტაპზე. 1-ლი ეტაპის ფინანსური აქტივების მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი შეფასდება თანხით, რომელიც სასარგებლო მომსახურების ვადაში მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის იმ ნაწილს, რომელიც წარმოიქმნება მომდევნო 12 თვეში ან სახელშეკრულებო ვადის განმავლობაში, რომელიც უფრო ხანმოკლეა, დეფოლტის შემთხვევაში („12 თვიანი მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი"). თუ ჯგუფი გამოავლენს საკრედიტო რისკის მნიშვნელოვან ზრდას თავდაპირველი აღიარების შემდეგ, მაშინ აქტივი გადააქვთ მე-2 ეტაპზე და მისი მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი შეფასდება სასარგებლო მომსახურების ვადაში მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის საფუძველზე, ანუ სახელშეკრულებო ვადის ამოწურვამდე, მაგრამ მოსალოდნელი ავანსის გადახდების გათვალისწინებით, თუ ასეთი არსებობს (სასარგებლო მომსახურების ვადაში მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი"). თუ ჯგუფი განსაზღვრავს, რომ ფინანსური აქტივი კრედიტ-გაუფასურებულია, მაშინ ეს აქტივი მე-3 ეტაპზე გადააქვთ და მისი მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი შეფასდება, როგორც სასარგებლო მომსახურების ვადაში მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი. აქტივების გაუფასურებისა და დეფოლტის განმარტებები ახსნილია 24-ე შენიშვნაში.

მოსალოდნელი ზარალის განაკვეთები ეფუძნება ბოლო 18 თვის განმავლობაში რეალიზებული საქონლის გადახდების პროფილს და ამ პერიოდში გამოცდილ შესაბამის ისტორიულ საკრედიტო ზარალს. ისტორიული ზარალის განაკვეთები კორექტირდება მიმდინარე საპროგნოზო ინფორმაციის მიხედვით იმ მაკროეკონომიკურ ფაქტორებზე, რომელიც გავლენას ახდენს კლიენტის მოთხოვნების ანგარიშსწორების უნარზე. კომპანია აანალიზებს იმ ქვეყნების მაკრო ფაქტორებს, რომელშიც ის ჰყიდის მის პროდუქციას ან მომსახურებას. ჯგუფის მევალეების ისტორიულ ქცევაზე დაფუძნებით, ჯგუფმა გამოავლინა, რომ მშპ და უცხოური ვალუტის გაცვლის კურსი არის ყველაზე რელევანტური ფაქტორი, რომელიც გავლენას ახდენს მოთხოვნების ანაზღაურებადობაზე და შესაბამისად დააკორექტირა ისტორიული ზარალის განაკვეთები ამ ფაქტორში მოსალოდნელ ცვლილებებზე დაყრდნობით.

ჯგუფი იყენებს ფასს 9 გამარტივებულ მიდგომას მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის შესაფასებლად, რომელიც, თავის მხრივ, იყენებს სასარგებლო მომსახურების ვადის მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის ანარიცხს ყველა სავაჭრო და სხვა მოთხოვნებისათვის, მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის შესაფასებლად, სავაჭრო მოთხოვნები დაჯგუფდა საერთო საკრედიტო რისკის მახასიათებლების საფუძველზე (მოთხოვნების დაჯგუფება შესაძლებელია გეოგრაფიული რეგიონის, პროდუქტის ტიპის, მომხმარებლის რეიტინგის, უზრუნველყოფის, ან სავაჭრო საკრედიტო დაზღვევის მიხედვით).

ფინანსური აქტივები – ჩამოწერა. ფინანსური აქტივები მთლიანად ან ნაწილობრივ ჩამოიწერება, როდესაც ჯგუფი ამოწურავს თანხის ამოღების ყველა პრაქტიკულ შესაძლებლობას და დაასკვნის, რომ აღარ არსებობს თანხის ამოღების გონივრული მოლოდინი. ჩამოწერა წარმოადგენს აღიარების შეწყვეტას. ჯგუფმა შეიძლება ჩამოწეროს ფინანსური აქტივები, რომელთა მიმართ აღსრულების ღონისძიებები ჯერ კიდევ ხორციელდება, როდესაც ჯგუფი ცდილობს იმ თანხების ამოღებას, რომელთა გადახდის სახელშეკრულებო ვადა დადგა, მაგრამ არ არსებობს ამოღების გონივრული მოლოდინი.

ფინანსური აქტივები - აღიარების შეწყვეტა. ჯგუფი ფინანსური აქტივების აღიარებას წყვეტს, როდესაც (ა) აქტივები გამოსყიდულია ან აქტივებიდან ფულადი ნაკადების მიღება სხვაგვარად შეწყდება ან (ბ) ჯგუფს გადაცემული აქვს ფინანსური აქტივებიდან ფულადი ნაკადების მიღების უფლება ან დადებული აქვს საკვალიფიკაციო გამტარი გარიგება, რომლითაც (i) გადაცემულია აგრეთვე აქტივების საკუთრებასთან დაკავშირებული არსებითად მთელი რისკი და უკუგება ან (ii) საკუთრებასთან დაკავშირებული არსებითად ყველა რისკი და უკუგება არც გადაცემულია და არც შენარჩუნებულია, მაგრამ კონტროლი არ არის შენარჩუნებული. კონტროლი შენარჩუნებულია, როდესაც პარტნიორს არ გააჩნია აქტივის მთლიანობაში დაუკავშირებელ მესამე მხარეზე მიყიდვის პრაქტიკული შესაძლებლობა გაყიდვაზე დამატებითი შეზღუდვების დაწესების გარეშე.

ფინანსური ვალდებულებები – შეფასების კატეგორიები. ფინანსური ვალდებულებები კლასიფიცირებულია, როგორც „შემდგომი ამორტიზებული ღირებულებით“ შეფასებული („AC“), გარდა (i) “რეალური ღირებულებით, მოგება-ზარალში ასახვით შეფასებული ფინანსური ვალდებულებებისა” (“FVTPL”): ეს კლასიფიკაცია მოიცავს წარმოებულებს, სავაჭროდ ფლობილ ფინანსურ ვალდებულებებს (მაგ., ფასიანი ქაღალდების მოკლე პოზიცია), პირობით ანაზღაურებას, რომელიც შემძენის მიერ არის აღიარებული საწარმოთა გაერთიანებისას და სხვა ფინანსურ ვალდებულებებს, რომლებსაც ეს კატეგორია აქვთ მინიჭებული თავდაპირველი აღიარებისას და (ii) ფინანსური საგარანტიო ხელშეკრულებებისა და სასესხო ვალდებულებებისა.

ფინანსური ვალდებულებები – აღიარების შეწყვეტა. ფინანსური ვალდებულებების აღიარება შეწყდება, როდესაც ისინი დაიფარება (ანუ როდესაც ხელშეკრულებაში მითითებული ვალდებულება შესრულდება, გაუქმდება ან ვადა ამოეწურება).ვალდებულებების მოდიფიცირება, რომელიც არ იწვევს დაფარვას, აღირიცხება, როგორც შეფასების ცვლილება, კუმულაციური ამოქაჩვის მეთოდით, შემოსულობის ან ზარალის მოგება-ზარალში ასახვით, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც საბალანსო ღირებულებებს შორის სხვაობა ეკონომიკური შინაარსით მიეკუთვნება მფლობელებთან კაპიტალ-ოპერაციას.

ფინანსური ინსტრუმენტების ურთიერთგადაფარვა. ფინანსური აქტივების და ვალდებულებების ურთიერთგადაფარვა ხდება და ნეტო თანხა აისახება ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში მხოლოდ მაშინ, როდესაც არსებობს აღიარებული თანხების იურიდიულად აღსრულებადი უფლება და არსებობს ნეტო საფუძველზე ანგარიშსწორების ან ერთდროულად აქტივის რეალიზების და ვალდებულების ანგარიშსწორების განზრახვა. ურთიერთგადაფარვის მსგავსი უფლება (ა) არ უნდა იყოს დამოკიდებული რაიმე სამომავლო მოვლენაზე და (ბ) იურიდიულად აღსრულებადი უნდა იყოს ყველა ქვემოთ ჩამოთვლილ გარემოებებში: (i) ჩვეულებრივი ბიზნეს-საქმიანობისას, (ii) დეფოლტი და (iii) გადახდისუუნარობა ან გაკოტრება.

ფული და ფულის ეკვივალენტები. ფული და ფულის ეკვივალენტები მოიცავს ფულს სალაროში, მოთხოვნამდე დეპოზიტებს ბანკებში და სხვა მოკლევადიან, მაღალი ლიკვიდობის მქონე ინვესტიციებს, რომელთა თავდაპირველი დაფარვის ვადა სამ თვემდეა. ფული და ფულის ეკვივალენტები აისახება ამორტიზებული ღირებულებით, რადგან: (i) ისინი არსებობს სახელშეკრულებო და იმ ფულადი ნაკადის მიღებისთვის, რომელიც მხოლოდ ძირი თანხისა და ძირი თანხის დაუფარავ ნაწილთან დაკავშირებული პროცენტის გადახდას ("SPPI") წარმოადგენს, და (ii) მათ მინიჭებული არა აქვთ რეალური ღირებულებით, მოგება-ზარალში ასახვით შეფასებულის კატეგორია. მახასიათებლებს, რომლებიც მხოლოდ კანონმდებლობით განისაზღვრება, როგორიცაა მაგალითად სავალო ვალდებულებების რესტრუქტურიზაციის კანონმდებლობა გარკვეულ ქვეყნებში, გავლენა არა აქვს მხოლოდ ძირითადი და პროცენტის თანხების გადახდის ტესტზე, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც ის სახელშეკრულებო პირობებში აისახება ისე, რომ ის მაინც ძალაში იქნება, კანონმდებლობა რომც შეიცვალოს. შეზღუდული ნაშთები გამოირიცხება ფულადი სახსრების და მათი ეკვივალენტებისაგან ფულადი ნაკადების ანგარიშგების მიზნებისათვის. ნაშთები, რომელთა გადაცვლაზე ან რომელთა მეშვეობით ვალდებულების ანგარიშსწორებაზე მინიმუმ თორმეტ თვიანი შეზღუდვა მაინც არსებობს, საანგარიშგებო პერიოდის დასრულების შემდეგ, აისახება სხვა გრძელვადიან აქტივებში.

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები თავდაპირველად აღირიცხება რეალური ღირებულებით, ხოლო შემდგომში აღირიცხება ამორტიზირებული ღირებულებით, ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით.

სავაჭრო და სხვა ვალდებულებები. სავაჭრო და სხვა ვალდებულებების დარიცხვა ხდება მაშინ, როდესაც კონტრაჰენტი ხელშეკრულების ფარგლებში ასრულებს თავის მოვალეობებს. იგი თავდაპირველად რეალური ღირებულებით აღიარდება, შემდგომში კი აღირიცხება ამორტიზებული ღირებულებით, ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით.

აქტივებთან დაკავშირებული გრანტები. საინვესტიციო ქონების შეძენასთან დაკავშირებული გრანტები შეყვანილია გრძელვადიან ვალდებულებებში, როგორც გადავადებული შემოსავალი და დარიცხულია მოგებაში ან ზარალში წრფივი მეთოდის საფუძველზე, დაკავშირებული აქტივების მოსალოდნელი სასარგებლო მომსახურების ვადის განმავლობაში.

ნასესხები სახსრები. ნასესხები სახსრები თავდაპირველად რეალური ღირებულებით აღიარდება, შემცირებული გარიგების დანახარჯებით, შემდგომ კი ამორტიზებული ღირებულებით აღირიცხება, ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით.

სესხით სარგებლობასთან დაკავშირებული დანახარჯების კაპიტალიზება. სესხით სარგებლობასთან დაკავშირებული საერთო და სპეციფიკური დანახარჯები, რომლებიც პირდაპირ მიკუთვნებადია აქტივის შეძენაზე, მშენებლობაზე ან შექმნაზე რასაც მნიშვნელოვანი დრო სჭირდება განზრახული მიზნით მოხმარებისათვის ან გასაყიდად მოსამზადებლად (განსაკუთრებული აქტივი), შეადგენს ამ აქტივების თვითღირებულების ნაწილს, თუ კაპიტალიზების დაწყების თარიღია 2016 წლის 1 იანვარი ან შემდეგი თარიღი.

კაპიტალიზაციის დაწყების თარიღია, როდესაც: (ა) ჯგუფი ეწევა დანახარჯებს განსაკუთრებული აქტივისათვის; (ბ) იგი ეწევა სესხით სარგებლობასთან დაკავშირებულ დანახარჯებს; და (გ) იგი ახორციელებს ღონისძიებებს, რაც აუცილებელია აქტივის გამიზნული მოხმარებისთვის ან გასაყიდად მოსამზადებლად.

ნასესხები სახსრების ხარჯების კაპიტალიზაცია გრძელდება, სანამ აქტივის გამიზნული მოხმარებისთვის ან გასაყიდად მომზადებისათვის საჭირო ყველა ღონისძიება დასრულდება.

ჯგუფი ახორციელებს სესხით სარგებლობასთან დაკავშირებული იმ დანახარჯების კაპიტალიზებას, რომელთა თავიდან აცილება შესაძლებელი იქნებოდა კაპიტალ-დანახარჯები რომ არ გაწეულიყო განსაკუთრებულ აქტივებზე. კაპიტალიზებული სესხით სარგებლობასთან დაკავშირებული დანახარჯები გამოითვლება ჯგუფის საშუალო დაფინანსების დანახარჯის (შეწონილი საშუალო საპროცენტო განაკვეთი მრავლდება განსაკუთრებულ აქტივებზე გაწეულ დანახარჯებზე), გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც თანხები ნასესხებია კონკრეტულად განსაკუთრებული აქტივის შეძენისათვის. ასეთ შემთხვევაში, კაპიტალიზდება კონკრეტულ ნასესხებ თანხასთან დაკავშირებით, სესხით სარგებლობასთან მიმართებით, ფაქტობრივად გაწეული დანახარჯები, შემცირებული ნებისმიერი საინვესტიციო შემოსავლით ამ ნასესხები თანხების დროებითი ინვესტირებიდან.

მოგების გადასახადი. მოგების გადასახადი ფინანსურ ანგარიშგებაში ასახულია ძალაში შესული ან საანგარიშგებო პერიოდისთვის ფაქტობრივად ძალაში შესული კანონმდებლობის შესაბამისად.

2016 წლის 13 მაისს საქართველოს მთავრობამ მიიღო ცვლილებები საქართველოს საგადასახადო კოდექსში, რომლის მიხედვითაც კომპანიებს (ბანკების, საკრედიტო დაწესებულებების, სადაზღვეო კომპანიების და ლომბარდების გარდა) 2017 წლის 1 იანვრიდან არ უწევთ მოგების გადასახადის გადახდა მანამ, სანამ არ მოხდება აღნიშნული მოგების განაწილება დივიდენდის სახით ან არ ჩაითვლება განაწილებულად. ფიზიკურ პირებზე ან არარეზიდენტ იურიდიულ პირებზე დივიდენდის გაცემის მომენტში ხდება 15% მოგების გადასახადის დარიცხვა 'აგროსილ' ღირებულებაზე (მაგ. წმინდა დივიდენდები 'აიგროსება' შემადგენელი 5%-იანი გადასახადით, საჭიროებისამებრ, და გაიყოფა 0.85-ზე). მიღებული მოგებიდან რეზიდენტ იურიდიულ პირებზე დივიდენდის გაცემა 2017 წლის 1 იანვრიდან თავისუფლდება მოგების გადასახადისგან.

2008 წლის 1 იანვრიდან 2017 წლის 1 იანვრამდე დაგროვილი გაუნაწილებელი მოგებიდან გაცემული დივიდენდები იბეგრება მოგების გადასახადით გამოანგარიშებამდე მთლიანი მოგების დადგენილ ღირებულებაზე, რომელიც შემცირებულია შესაბამისი საგადასახადო ჩათვლით, რომელიც ითვლება როგორც დასაბეგრ მოგებაზე გამოცხადებული და გადახდილი მოგების გადასახადის წილი იმავე წლის მთლიან წმინდა მოგებაში, გამრავლებული გასაცემ დივიდენდებზე. აღსანიშნავია, რომ საგადასახადო ჩათვლის ოდენობა არ უნდა აღემატებოდეს დივიდენდების განაწილებიდან წარმოქმნილ რეალურ მოგების გადასახადს.

დივიდენდების განაწილების შედეგად წარმოქმნილი მოგების გადასახადი აღირიცხება, როგორც მოგების გადასახადის ხარჯი იმ პერიოდში, როდესაც გამოცხადდა დივიდენდები, მიუხედავად ფაქტიურად გადახდის თარიღისა, ან იმ პერიოდში, როდესაც განხორციელდა დივიდენდების გადახდა.

დივიდენდების განაწილების გარდა გადასახადი გადასახდელია იმ ხარჯებსა და სხვა გადახდებზე, რომლებიც არ არიან დაკავშირებულნი ეკონომიკურ საქმიანობასთან - აქტივების ან მომსახურების უფასო მიწოდება და წარმომადგენლობითი დანახარჯები, რაც აღემატება საქართველოს საგადასახადო კოდექსით განსაზღვრულ მაქსიმალურ თანხას. ყველა გადახდილი ავანსი საწარმოებზე, რომლებიც რეგისტრირებულნი არიან პრივილეგირებული საგადასახადო რეჟიმის მქონე იურისდიქციებში და სხვა გარკვეული ოპერაციები მსგავს საწარმოებთან, ისევე როგორც ფიზიკურ პირებზე ან არარეზიდენტ პირებზე გაცემული სესხები, მაშინვე დაბეგვრადია. მსგავსი გადასახადები, სხვა გადასახადებთან ერთად, პრივილეგირებული საგადასახადო რეჟიმის მქონე იურისდიქციებში დარეგისტრირებული საწარმოებისაგან აღნიშნული გადახდილი ავანსის სანაცვლოდ მიღებულ აქტივებზე ან

მომსახურებებზე მოთხოვნილი საგადასახადო კრედიტის გამოკლებით, ან ფიზიკურ პირებზე ან არარეზიდენტებზე გაცემული სესხების ამოღების გამოკლებით, აღირიცხება საოპერაციო ხარჯებში ასახულ მუხლში - „გადასახადი, მოგების გადასახადის გარდა“.

გაურკვეველი საგადასახადო პოზიცია. ხელმძღვანელობა ჯგუფის გაურკვეველ საგადასახადო პოზიციას ხელახლა აფასებს ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს. ვალდებულებები აღირიცხება მოგების გადასახადისთვის, რაც განისაზღვრება ხელმძღვანელობის მიერ, რომ უფრო მეტად სავარაუდოა, რომ გამოიწვევს დამატებითი გადასახადების დაკისრებას საგადასახადო ორგანოების მხრიდან კითხვები რომ დაისვას. აღნიშნული შეფასება ეფუძნება იმ საგადასახადო კანონმდებლობის ან მსგავს საკითხებზე სასამართლო გადაწყვეტილებების ინტერპრეტირებას, რომლებიც ძალაშია ამჟამად ან ძალაში იქნება საანგარიშგებო პერიოდის დასასრულისთვის. საურავებთან, პროცენტთან და მოგების გარდა სხვა გადასახადებთან დაკავშირებული ვალდებულებები აღიარდება საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს ვალდებულებების დასაფარად საჭირო ხარჯების ხელმძღვანელების საუკეთესო შეფასების საფუძველზე. გაურკვეველი საგადასახადო პოზიციის კორექტირება აღირიცხება მოგების გადასახადის ხარჯში.

დამატებული ღირებულების გადასახადი. წარმოებულ ღირებულებაზე დამატებითი გადასახადი, დაკავშირებული გაყიდვებთან, საგადასახადო ორგანოებისათვის გადახდილ უნდა იქნეს შემდეგი მოვლენებისას, რომელიც უფრო ადრე მოხდება: (ა) მოთხოვნების ამოღება კლიენტებისაგან, ან (ბ) საქონლის ან მომსახურების მიწოდება კლიენტებისათვის. საზოგადოდ, გადასახდელი დღგ ამოღებადია ჩასათვლელი დღგ-ის საპირისპიროდ, დღგ-ის ანგარიშ-ფაქტურის მიღებისას. საგადასახადო ორგანოების მიერ ნებადართულია დღგ-ის ჩათვლა ნეტო საფუძველზე. შემავალი დღგ, რომელიც უკავშირდება ძირითადი საშუალებების საგნების შეძენას, გადავადებულია 5-დან 10 წლამდე იმ საწარმოებისთვის, რომლებსაც 20%-ზე მეტი დღგ-სგან გათავისუფლებული ბრუნვა აქვთ.

სხვა გადასახადები. 2015 წლის 7 დეკემბერს, საქართველოს ფინანსთა სამინისტრომ გამოსცა ბრძანება #407, რის მიხედვითაც გადასახადის გადამხდელთა ვალდებულებები ყველა გადასახადში, კორპორაციული მოგების გადასახადის ჩათვლით და ყველა გადასახადის გადამხდელთა საგადასახადო გადახდა აღირიცხებოდა კონსოლიდირებულ საგადასახადო ანგარიშზე. შედეგად, ყველა საგადასახადო ვალდებულება და საგადასახადო აქტივები წარდგენილი იყო წმინდა საფუძველზე. საგადასახადო აქტივებისა და ვალდებულებების შედეგობრივი ნაშთები მოხსენებულია სხვა საგადასახადო მოთხოვნაში, წმინდად და სხვა საგადასახადო დავალიანებაში, წმინდად.

მარაგები. მარაგები აღირიცხება თვითღირებულებასა და ნეტო სარეალიზაციო ღირებულებას შორის უმცირესით. მარაგების თვითღირებულება მოიცავს შესყიდვის ფასს, იმპორტის ვალდებულებებს , არა ანაზღაურებად გადასახადებსა და ტრანსპორტს, საქონლის შესყიდვასთან და შენახვასთან პირდაპირ მიკუთვნებად ხარჯებთან. მარაგების თვითღირებულება განისაზღვრება საშუალო შეწონილი მეთოდის საფუძველზე. ნეტო სარეალიზაციო ღირებულება არის შეფასებული გასაყიდი ფასი ჩვეულებრივი ბიზნესსაქმიანობისას, შემცირებული დასრულების შეფასებული დანახარჯებით და გაყიდვის ხარჯებით.

გადახდილი ავანსი. გადახდილი ავანსი აღირიცხება თვითღირებულებით, შემცირებული გაუფასურების ანარიცხებით. გადახდილი ავანსი კლასიფიცირდება, როგორც გრძელვადიანი, როდესაც მოსალოდნელია, რომ გადახდილ ავანსთან დაკავშირებული საქონელი ან მომსახურება მიღებული იქნება ერთი წლის შემდეგ, ან, როდესაც გადახდილი ავანსი დაკავშირებულია აქტივთან, რომელიც საწყისი აღიარებისას კლასიფიცირებული იქნება როგორც გრძელვადიანი. აქტივის შესაძენად გადახდილი ავანსები გადადის ამ აქტივის საბალანსო ღირებულებაში ჯგუფის მიერ აქტივზე კონტროლის მოპოვების შემდეგ და როდესაც მოსალოდნელია, რომ ამ აქტივთან დაკავშირებული სამომავლო ეკონომიკური სარგებელი კომპანიაში შემოვა. სხვა გადახდილი ავანსები მოგება-ზარალში ჩამოიწერება გადახდილ ავანსთან დაკავშირებული საქონლის ან მომსახურების მიღებისას. როდესაც არსებობს მინიშნება, რომ აქტივები, საქონელი ან მომსახურება, დაკავშირებული გადახდილ ავანსთან,

არ იქნება მიღებული, მაშინ გადახდილი ავანსის საბალანსო ღირებულება შესაბამისად ჩამოიწერება და შესაბამისი გაუფასურების ზარალი აღიარდება წლის მოგებაში ან ზარალში.

მარაგებისთვის განკუთვნილი საკუთრება. მარაგებისათვის განკუთვნილი საკუთრება აღირიცხება სტანდარტით ბასს 2 „მარაგები". საქმიანობის ჩვეულებრივი მიმდინარეობისას, გასაყიდად და არა გასაქირავებლად, ან სამომავლო განვითარებისთვის შეძენილი, ან აშენებული ქონება, ფლობილია, როგორც მარაგებისთვის განკუთვნილი საკუთრება და ფასდება თვითღირებულებისა და წმინდა სარეალიზაციო ღირებულებას შორის უმცირესით. ღირებულებაში შედის:

- მიწის ღირებულება;
- სამშენებლო მასალებისთვის გადასახდელი თანხები, მათ შორის ქვეკონტრაქტორების ხარჯები და პირდაპირი შრომის ანაზღაურების ხარჯები;
- სესხით სარგებლობის ხარჯები, რომლებიც გაწეულია მანამდე, სანამ საკუთრება მზად იქნება გასაყიდად, დაგეგმვისა და დიზაინის ხარჯები, ტერიტორიის მომზადების ხარჯები, იურიდიული მომსახურების პროფესიული საზღაური, დაზღვევის ხარჯები, სამშენებლო ზედნადები ხარჯები, ადმინისტრაციული ხარჯები და სხვა დაკავშირებული ხარჯები.

ნეტო სარეალიზაციო ღირებულება არის შეფასებული გასაყიდი ფასი ჩვეულებრივი ბიზნესსაქმიანობისას, რომელიც ეფუძნება საანგარიშგებო თარიღისთვის არსებულ საბაზრო ფასს და დოსკონტირებულია ფულის დროითი ღირებულებისთვის, თუ ეს არსებითია, შემცირებული დასრულების დანახარჯებით და შეფასებული გაყიდვის ხარჯებით.

დასანგრევად და შემდგომ გასაშენიანებლად შეძენილი ქონება ნაჩვენებია მარაგებისთვის განკუთვნილი საკუთრების მუხლში, განმარტებით შენიშვნაში, დამოუკიდებელი ქვე-ანგარიშის სახით.

გასვლისას მოგებაში ან ზარალში აღარებული მარაგების ღირებულება განისაზღვრება გაყიდულ საკუთრებაზე გაწეული სპეციფიური ხარჯების და გაყიდული საკუთრების შესაბამის ზომაზე ნებისმიერი არა-სპეციფიური ხარჯების განაწილების მითითებით.

საწესდებო კაპიტალი და მთლიანად ანაზღაურებული სააქციო კაპიტალი. ჯგუფის გაცხადებული საწესდებო კაპიტალი განისაზღვრება ჯგუფის მფლობელის მიერ. ჯგუფის გაცხადებულ საწესდებო კაპიტალში ცვლილებები უნდა განხორციელდეს მხოლოდ ჯგუფის მფლობელის გადაწყვეტილების საფუძველზე. გაცხადებული საწესდებო კაპიტალი სიჭარბე/(ნაკლებობა) ფაქტობრივი შენატანის ღირებულებამდე აღირიცხება, როგორც მთლიანად ანაზღაურებული (აუნაზღაურებელი) კაპიტალი, შესაბამისად. ამას გარდა, ჯგუფის მფლობელის მიერ განხორციელებული ფულადი თუ არაფულადი კაპიტალ შენატანები, რომლებიც მიმართული იყო ჯგუფის კაპიტალის გაზრდაზე, თუმცა არ იყო ასახული ჯგუფის წესდებაში საბალანსო უწყისის თარიღით, აღიარდება, როგორც დამატებითი შენატანი კაპიტალში.

დივიდენდები. დივიდენდები აღირიცხება როგორც ვალდებულება იმ პერიოდში, როდესაც მოხდა მათი გამოცხადება და დამტკიცება. საანგარიშგებო პერიოდის დასრულების შემდეგ და ანგარიშგების გამოცემის დამტკიცებამდე გამოცხადებული დივიდენდები აისახება შემდგომი მოვლენების შესახებ განმარტებით შენიშვნაში.

ვალდებულებებისა და ხარჯების ანარიცხები. ვალდებულებებისა და ხარჯების ანარიცხები არის გაურკვეველი ვადის და ოდენობის არაფინანსური ვალდებულებები. მათი დარიცხვა ხდება მაშინ, როდესაც ჯგუფს გააჩნია მიმდინარე იურიდიული ან კონსტრუქციული მოვალეობა წარსული მოვლენების შედეგად და მოსალოდნელია, რომ ამ მოვალეობის დასაფარად საჭირო იქნება ეკონომიკური სარგებლის შემცველი რესურსების გადინება, და შესაძლებელია ამ მოვალეობის თანხის საიმედოდ შეფასება. ანარიცხების შეფასება ხდება ვალდებულების ანგარიშსწორებისათვის საჭირო მოსალოდნელი დანახარჯების დისკონტირებული ღირებულებით, დაბეგვრამდე განაკვეთის

გამოყენებით, რაც ასახავს ფულის დროითი ღირებულების საბაზრო შეფასებებს და ამ მოვალეობისათვის სპეციფიკურ რისკებს. დროის გასვლის გამო ანარიცხების ზრდა აღიარდება საპროცენტო ხარჯის სახით.

გადასახადები და ხარჯები, როგორიცაა, მაგალითად მოგების გადასახადის გარდა სხვა გადასახადები ან მარეგულირებლის საფასური, დაფუძნებული იმ პერიოდთან დაკავშირებულ ინფორმაციაზე, რომელიც წინ უსწრებს გადახდის მოვალეობის წარმოქმნას, ვალდებულებების სახით აღიარდება მაშინ, როდესაც მოხდება მავალდებულებელი მოვლენა, რომელიც გადასახადის გადახდის ვალდებულებას წარმოქმნის; თუ გადასახადი მავალდებულებელი მოვლენის მოხდენამდე გადაიხდება, იგი აღიარდება გადახდილი ავანსების სახით.

როდესაც ჯგუფი მოელის ანარიცხების ანაზღაურებას, მაგალითად სადაზღვევო კონტრაქტის ფარგლებში, ეს ანაზღაურება აღიარდება ცალკე აქტივის სახით, მაგრამ მხოლოდ მაშინ, როდესაც ანაზღაურება ფაქტობრივად გარდუვალია.

ამონაგების აღიარება. ამონაგები არის შემოსავალი, რომელიც წარმოიქმნება ჯგუფის ჩვეულებრივი საქმიანობისას. ამონაგები აღიარდება გარიგების ფასით. გარიგების ფასი არის ანაზღაურება, რომლის მიღებასაც ჯგუფი მოელის დაპირებულ საქონელზე ან მომსახურებაზე მომხმარებლისთვის კონტროლის გადაცემის შედეგად, მესამე მხარის სახელით ამოღებული თანხების გარეშე. ამონაგები აღიარდება ფასდათმობების, საქონლის დაბრუნების და დღგ-ის გარეშე.

საიჯარო და მომსახურების ამონაგები. ჯგუფი მომსახურებას ფიქსირებულფასიანი და ცვალებადფასიანი ხელშეკრულებების საფუძველზე ეწევა. მომსახურების გაწევიდან ამონაგები იმ სააღრიცხვო პერიოდში აღიარდება, როდესაც გაწეულ იქნა მომსახურება. ფიქსირებულფასიანი ხელშეკრულებების შემთხვევაში ამონაგები ეფუძნება საანგარიშგებო პერიოდის დასრულებამდე ფაქტობრივად გაწეული მომსახურების წილს მთლიანად გასაწევ მომსახურებაში, რადგან მომხმარებელი სარგებელს მყისიერად იღებს და მოიხმარს. ეს განისაზღვრება ფაქტობრივად დასახული სამუშაო დღეების ფარდობით მთლიანად თვეში არსებულ სახელშეკრულებო სამუშაო დღეებზე.

როდესაც ხელშეკრულება სამუშაოს შესრულების რამდენიმე მოვალეობას შეიცავს, ოპერაციის ფასი თითოეულ სამუშაოს შესრულების მოვალეობაზე გადანაწილდება მათი ინდივიდუალური გასაყიდი ფასის საფუძველზე. თუ ეს ფასები პირდაპირ გაცხადებული არ არის, მაშინ ისინი შეფასდება მსგავს ხელშეკრულებებში დაკვირვებადი ფასების მიხედვით.

სულ ნასესხები სახსრები 31 დეკემბრის მდგომარეობით	**216,632,080**	**164,802,013**

ჯგუფისა და კომპანიის ნასესხები სახსრების მოკლევადიან ნაწილში შედის:

- 2023 წელს გამოშვებული ობლიგაციები 2025 წლის დეკემბრამდე დაფარვის ვადით 55,833 ათასი ლარის ოდენობით.
- კომპანიის მფლობელისგან მიღებული ნასესხები სახსრები 2025 წლამდე დაფარვის ვადით 3,649 ათასი ლარის ოდენობით.
- „საქართველოს ბანკთან“ 2024 წლის ივლისში გაფორმებული საკრედიტო ხაზის ხელშეკრულება 2025 წელს დაიფარება 4,047 ათასი ლარის ოდენობით.
- ზემოთ მითითებულის გარდა სხვა სესხების მიმდინარე ნაწილი 3,911 ათასი ლარის ოდენობით.

წმინდა ვალის შეჯერება

ქვემოთ მოცემულ ცხრილში ნაჩვენებია წმინდა ვალის და საფინანსო საქმიანობიდან წარმოქმნილი ჯგუფის ვალდებულებების მოძრაობის ანალიზი ყოველი წარდგენილი პერიოდისთვის:

ქართული ლარი	**ნასესხები სახსრები**
საფინანსო საქმიანობიდან წარმოქმნილი ვალდებულებები 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	**210,582,744**
ფულადი ნაკადები	(56,578,148)
სავალუტო კორექტირებები	(735,380)
მოგება-ზარალში აღიარებული საპროცენტო დანახარჯი	13,392,576
რეალური ღირებულების ცვლილებები	(1,859,779)
საფინანსო საქმიანობიდან წარმოქმნილი ვალდებულებები 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	**164,802,013**
ფულადი ნაკადები	34,156,872
სავალუტო კორექტირებები	6,649,660
მოგება-ზარალში აღიარებული საპროცენტო დანახარჯი	14,895,482
რეალური ღირებულების ცვლილებები	(3,872,351)
საფინანსო საქმიანობიდან წარმოქმნილი ვალდებულებები 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	**216,631,676**

ქვემოთ მოცემულ ცხრილში ნაჩვენებია წმინდა ვალის და საფინანსო საქმიანობიდან წარმოქმნილი კომპანიის ვალდებულებების მოძრაობის ანალიზი ყოველი წარდგენილი პერიოდისთვის:

ქართული ლარი	**ნასესხები სახსრები**
ფინანსური საქმიანობიდან წარმოქმნილი ვალდებულებები 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	**202,434,270**
ფულადი ნაკადები	(48,363,990)
სავალუტო კორექტირებები	(453,527)
მოგება-ზარალში აღიარებული საპროცენტო დანახარჯი	13,045,039
რეალური ღირებულების ცვლილებები	(1,859,779)
ფინანსური საქმიანობიდან წარმოქმნილი ვალდებულებები 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	**164,802,013**
ფულადი ნაკადები	34,200,922
სავალუტო კორექტირებები	6,649,660
მოგება-ზარალში აღიარებული საპროცენტო დანახარჯი	14,851,836
რეალური ღირებულების ცვლილებები	(3,872,351)
ფინანსური საქმიანობიდან წარმოქმნილი ვალდებულებები 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	**216,632,080**

16 მარაგებისთვის განკუთვნილი ქონებისთვის მიღებული ავანსები

ჯგუფის მიერ მიღებული ავანსები მომხმარებლებისგან მშენებარე ქონებისთვის წინარე შესყიდვების შეთანხმებით განკუთვნილია CITYZEN კომპლექსისთვის.

ჯგუფის მიერ მარაგებისთვის განკუთვნილი ქონებისთვის მიღებული ავანსების ჯამური თანხა, წარმოადგენს გარიგების ფასს და განკუთვნილია გრძელვადიანი კონტრაქტებისთვის, რომლებიც სრულად დაუკმაყოფილებელია 2024 წლის 31 დეკემბრისთვის. ყველა გრძელვადიანი კონტრაქტი არის ერთ წელზე მეტი პერიოდისთვის.

დაუკმაყოფილებელი კონტრაქტები მომხმარებლებთან. ქვემოთ მოყვანილი ცხრილი წარმოადგენს ინფორმაციას მომხმარებლებთან ქონების გაყიდვის კონტრაქტების შედეგად წარმოშობილი დაუკმაყოფილებელი ვალდებულებების შესახებ:

ქართული ლარი	**2024**	**2023**
გარიგების მთლიანი თანხა, რომელიც გამოიყოფა კონტრაქტებზე, რომლებიც სრულად დაუკმაყოფილებელია 2024 და 2023 წლების 31 დეკემბრისათვის	264,358,052	111,564,688

მენეჯმენტი მოელის, რომ 2024 წლის 31 დეკემბრისთვის დაუკმაყოფილებელ კონტრაქტებზე გამოყოფილი გარიგების ფასის მთლიანი ოდენობა აღიარდება შემოსავლად 2026 წლის ბოლოსთვის CITYZEN კომპლექსის დასრულებისას.

17 სავაჭრო და სხვა ვალდებულებები

ჯგუფის სავაჭრო და სხვა ვალდებულებები 31 დეკემბრის მდგომარეობით იყო შემდეგი:

ქართულ ლარში	**2024**	**2023**
ვალდებულებები საინვესტიციო ქონების შეძენისათვის	1,335,450	1,386,440
სავაჭრო ვალდებულება	9,441,147	3,073,180
დარიცხული ვალდებულებები	1,714,003	529,359
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები 31 დეკემბერს	**12,490,600**	**4,988,979**

კომპანიის სავაჭრო და სხვა ვალდებულებები 31 დეკემბრის მდგომარეობით იყო შემდეგი:

ქართულ ლარში	**2024**	**2023**
ვალდებულებები საინვესტიციო ქონების შეძენისათვის	1,335,450	1,386,441
სავაჭრო ვალდებულება	1,706,140	601,144
დარიცხული ვალდებულებები	1,679,203	529,359
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები 31 დეკემბერს	**4,720,793**	**2,516,944**

18 მოიჯარეებისგან მიღებული ავანსები

ჯგუფისა და კომპანიის მიერ მოიჯარეებისგან მიღებული ავანსები წარმოადგენს მოიჯარეთა უზრუნველყოფის დეპოზიტებს. მათი კლასიფიცირება მოკლევადიანად და გრძელვადიანად ხდება საიჯარო კონტრაქტის ვადის მიხედვით.

19 ამონაგები

ჯგუფის ამონაგები არის შემდეგი:

ქართული ლარი	2024	2023
საიჯარო შემოსავალი საინვესტიციო ქონებიდან	82,118,274	73,561,736
გამოკლებული: მოიჯარეთათვის გადახდილი ავანსების ამორტიზაცია	(1,336,236)	(1,222,565)
საიჯარო შემოსავალი საინვესტიციო ქონებიდან	**80,782,038**	**72,339,172**
ამონაგები მომხმარებლებთან გაფორმებული ხელშეკრულებებიდან	17,624,394	14,076,438
სხვა საოპერაციო შემოსავალი	2,215,055	1,575,468
სულ ამონაგები	**100,621,487**	**87,991,078**

კომპანიის ამონაგები არის შემდეგი:

ქართული ლარი	2024	2023
საიჯარო შემოსავალი საინვესტიციო ქონებიდან	82,426,128	73,772,417
შემცირებული: მოიჯარეთათვის გადახდილი ავანსების ამორტიზაციით	(1,336,236)	(1,222,565)
საიჯარო შემოსავალი საინვესტიციო ქონებიდან	**81,089,892**	**72,549,853**
ამონაგები მომხმარებლებთან გაფორმებული ხელშეკრულებებიდან	17,624,394	14,076,438
სხვა საოპერაციო შემოსავალი	2,215,055	1,575,468
სულ ამონაგები	**100,929,340**	**88,201,759**

ჯგუფისა და კომპანიის მოიჯარეთათვის გადახდილი ავანსების არა-ამორტიზირებული წილი, სულ, შემდეგია:

ქართული ლარი	2024	2023
მოიჯარეთათვის გადახდილი ავანსების მთლიანი ოდენობა, რომელიც არ არის სრულად ამორტიზირებული	20,102,040	19,304,190
დაგროვილი თანხა, რომელიც აღიარებულია მოგება-ზარალში	(6,508,114)	(5,171,878)
მოიჯარეთათვის გადახდილი ავანსების ოდენობა წმინდად, რომელიც არ არის სრულად ამორტიზირებული	**13,593,926**	**14,132,312**

ჯგუფი და კომპანია ამონაგებს იღებენ მომსახურების გაწევით დროის განმავლობაში და დროის გარკვეულ მომენტში შემდეგი ადგილმდებარეობებიდან:

ქართული ლარი	2024	2023
სითი მოლ ვაჟა	11,168,769	10,298,486
სითი მოლ გლდანი	3,100,870	1,840,191
სითი მოლ ქავთარაძე	2,341,842	1,219,605
სითი თაუერი (ბიზნეს ცენტრი)	1,012,913	718,156
სულ ამონაგები მომხმარებლებთან გაფორმებული ხელშეკრულებებიდან	**17,624,394**	**14,076,438**

ჯგუფისა და კომპანიის ამონაგების აღიარების დრო შემდეგია:

ქართული ლარი	2024	2023
დროის გარკვეულ მომენტში	14,615,339	11,112,619
დროის განმავლობაში	3,009,054	2,963,819
სულ ამონაგები	**17,624,394**	**14,076,438**

ამონაგები, რომელიც აღიარდება დროის გარკვეულ მომენტში, მოიცავს შემოსავალს საპარკინგე სივრცეებისგან.

20 სხვა საოპერაციო შემოსავალი

ჯგუფის სხვა საოპერაციო შემოსავალი მოიცავს ლითონის არმატურის პროფილების გაყიდვას წლის განმავლობაში და შეადგენს 8,565,880 ლარს 2024 წლისათვის (2023: ნული). ლითონის არმატურის პროფილების ღირებულება შესულია პირდაპირ საოპერაციო ხარჯებში (შენიშვნა 21).

21 პირდაპირი საოპერაციო ხარჯები

ჯგუფის პირდაპირი საოპერაციო ხარჯები შემდეგია:

ქართული ლარი	2024	2023
ლითონის არმატურის პროფილების ღირებულება	8,565,880	-
კომუნალურები	4,862,583	4,541,905
ცვეთის ხარჯი	4,376,132	4,299,891
ქონების გადასახადები	3,860,934	5,681,800
დასაქმებულთა ხარჯები	2,090,842	1,880,209
რემონტი და მოვლა-შენახვა	716,868	889,263
ანარიცხების გაუქმება დაუზუსტებელი საგადასახადო პოზიციებისთვის	-	(2,406,015)
სხვა	529,533	2,317,854
სულ პირდაპირი საოპერაციო ხარჯები	**25,002,772**	**17,204,907**

კომპანიის პირდაპირი საოპერაციო ხარჯები შემდეგია:

ქართული ლარი	2024	2023
კომუნალურები	4,862,584	4,562,490
ცვეთის ხარჯი	4,376,132	4,299,891
ქონების გადასახადები	3,860,934	5,681,800
დასაქმებულთა ხარჯები	2,090,842	1,880,209
რემონტი და მოვლა-შენახვა	716,868	889,263
ანარიცხების გაუქმება დაუზუსტებელი საგადასახადო პოზიციებისთვის	-	(2,406,015)
სხვა	529,533	1,280,441
სულ პირდაპირი საოპერაციო ხარჯები	**16,436,893**	**16,188,080**

22 ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯები

ჯგუფის ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯები შემდეგია:

ქართული ლარი	2024	2023
დასაქმებულთა ხარჯები	10,586,111	8,420,263
რეკლამა და მარკეტინგი	2,110,939	2,135,259
ცვეთის ხარჯი	1,144,559	987,218
გაუფასურების ზარალი სავაჭრო და სხვა მოთხოვნებზე	859,255	398,737
კონსულტაციის ხარჯი	236,607	255,472
დაზღვევის ხარჯი	238,373	188,786
სხვა	1,636,074	999,120
სულ საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები	**16,811,917**	**13,384,855**

კომპანიის საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები შემდეგია:

ქართული ლარი	2024	2023
დასაქმებულთა ხარჯები	8,661,576	6,727,298
ცვეთის ხარჯი	1,238,250	1,045,324
რეკლამა და მარკეტინგი	995,714	970,031
გაუფასურების ზარალი სავაჭრო და სხვა მოთხოვნებზე	457,402	398,737
დაზღვევის ხარჯები	238,373	188,786
საკონსულტაციო ხარჯები	161,607	180,472
სხვა	1,134,122	767,633
სულ საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები	**12,887,043**	**10,278,280**

საკონსულტაციო ხარჯები მოიცავს აუდიტორის/აუდიტორული ფირმის მიერ გაწეული აუდიტისა და სხვა პროფესიული მომსახურებისთვის გაწეულ აუდიტის საფასურს, როგორც ეს განსაზღვრულია საქართველოს კანონით „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგების და აუდიტის შესახებ“ 56,742 ლარის ოდენობით 103,852 ლარი (2023: 83,371 ლარი).

23 ფინანსური (ხარჯები) / შემოსავალი, ნეტო

ჯგუფის ფინანსური ხარჯები, ნეტო, შემდეგია:

ქართული ლარი	2024	2023
საპროცენტო შემოსავალი	5,987,335	3,321,318
საპროცენტო ხარჯი	(14,895,886)	(13,095,551)
სავალუტო (ზარალი) / შემოსულობები ნასესხებ სახსრებსა და გაცემულ სესხებზე, ნეტო	(2,850,674)	842,613
ცვლილებები გაცემული სესხების რეალურ ღირებულებაში	3,872,351	1,859,779
სულ მოგება-ზარალში აღიარებული ფინანსური ხარჯები, წმინდა	**(7,886,873)**	**(7,071,841)**

კომპანიის ფინანსური ხარჯები, ნეტო შემდეგია:

ქართული ლარი	2024	2023
საპროცენტო შემოსავალი	5,772,497	3,115,050
საპროცენტო ხარჯი	(14,851,836)	(12,748,014)
სავალუტო (ზარალი) / შემოსულობები ნასესხებ სახსრებსა და გაცემულ სესხებზე, ნეტო	(2,987,036)	858,652
ცვლილებები ნასესხები სახსრების რეალურ ღირებულებაში	3,872,351	1,859,779
სულ მოგება-ზარალში აღიარებული ფინანსური (ხარჯები) / შემოსავალი წმინდა	**(8,194,024)**	**(6,914,533)**

24 გაუთვალისწინებელი მოვლენები და ვალდებულებები

საგადასახადო კანონმდებლობა. საქართველოს საგადასახადო სისტემა მუდმივი განვითარების რეჟიმშია და ამიტომ ახასიათებს ცვალებადი ინტერპრეტაციები და ხშირი ცვლილებები, ზოგჯერ - რეტროაქტიურად. გარდა ამისა, ჯგუფისა და კომპანიის ტრანზაქციებისა და საქმიანობის საგადასახადო ორგანოებისეული ინტერპრეტაცია საგადასახადო კანონმდებლობის თვალსაზრისით შეიძლება არ დაემთხვეს ხელმძღვანელობისეულს. საგადასახადო წელი შესამოწმებლად ღიაა სამი წლის განმავლობაში. შესაბამისად, საგადასახადო ორგანოებმა შეიძლება ეჭვქვეშ დააყენონ გარკვეული ტრანზაქციები, რის შედეგადაც კომპანიას შეიძლება დაეკისროს დამატებითი გადასახადები, ჯარიმები და საურავები.

პირობითი საგადასახადო ვალდებულებები. საქართველოს საგადასახადო სისტემა შედარებით ახალია და ხასიათდება ხშირი ცვლილებებით კანონმდებლობაში, ოფიციალური დოკუმენტებში და სასამართლო გადაწყვეტილებებში, რომლებიც ხშირ შემთხვევაში გარკვევით ჩამოყალიბებული არ არის, წინააღმდეგობრივია და სხვადასხვაგვარ ინტერპრეტაციას ექვემდებარება სხვადასხვა საგადასახადო ორგანოების მიერ. გადასახადები რამდენიმე სამთავრობო ორგანოს მიერ გადაიხედება და მოწმდება, რომელთაც აქვთ საურავების, ჯარიმების და პროცენტების დაკისრების უფლებამოსილება. ფისკალური წელი ექვემდებარება განხილვას საგადასახადო ორგანოების მიერ სამი მომდევნო წლის მანძილზე, თუმცა გარკვეულ გარემოებებში ფისკალური წლის განხილვა შეიძლება მოხდეს უფრო ხანგრძლივი პერიოდის მანძილზე.

აღნიშნულმა გარემოებებმა შეიძლება საქართველოში საგადასახადო რისკები წარმოქმნას, რაც მნიშვნელოვნად მაღალია, ვიდრე სხვა ქვეყნებში. ხელმძღვანელობა ჯგუფის გაურკვეველ საგადასახადო პოზიციებთან დაკავშირებულ გაურკვევლობებს გადააფასებს ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს. ვალდებულებები აღირიცხება მოგების გადასახადისთვის, როდესაც ხელმძღვანელობის მიერ განისაზღვრება, რომ უფრო მეტად სავარაუდოა, რომ გამოიწვევს დამატებითი გადასახადების დაკისრებას საგადასახადო ორგანოების მხრიდან შემოწმების შემთხვევაში.

აღნიშნული შეფასება ეფუძნება იმ საგადასახადო კანონმდებლობის ინტერპრეტირებას, რომელიც ძალაშია ამჟამად ან ძალაში იქნება საანგარიშგებო პერიოდის დასასრულისთვის. საურავებთან, პროცენტთან და მოგების გარდა სხვა გადასახადებთან დაკავშირებული ვალდებულებები აღიარდება საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს ვალდებულებების დასაფარად საჭირო ხარჯების ხელმძღვანელების მიერ საუკეთესო შეფასების საფუძველზე.

ხელმძღვანელობა დარწმუნებულია, რომ საგადასახადო ვალდებულებები სათანადოდ ასახეს შესაბამისი ქართული საგადასახადო კანონმდებლობის, გამოცემული ოფიციალური დოკუმენტებისა და სასამართლო გადაწყვეტილებების ინტერპრეტაციების საფუძველზე. თუმცა, შესაბამისი ორგანოების ინტერპრეტაციები შეიძლება განსხვავებული აღმოჩნდეს და საგადასახადო ორგანოების მიერ თავისი ინტერპრეტაციების აღსრულებაში წარმატების მიღწევის შემთხვევაში მნიშვნელოვანი გავლენა მოახდინონ წინამდებარე კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაზე.

დაგირავებული და შეზღუდული აქტივები : ჯგუფს, ნასესხები სახსრების უზრუნველყოფის სახით, სს საქართველოს ბანკში დაგირავებული აქვს შემდეგი აქტივები:

ქართული ლარი	შენიშვნა	2024 წლის 31 დეკემბერი	2023 წლის 31 დეკემბერი
საინვესტიციო ქონება	7	195,122,793	184,228,193
მარაგებისთვის განკუთვნილი საკუთრება	10	151,852,225	100,024,496
ძირითადი საშუალებები	8	6,815,479	4,830,490
არამატერიალური აქტივები		134,434	174,760
სულ		**353,924,932**	**289,257,939**

კომპანიას, ნასესხები სახსრების უზრუნველყოფის სახით, სს საქართველოს ბანკში დაგირავებული აქვს შემდეგი აქტივები:

ქართული ლარი	შენიშვნა	2024 წლის 31 დეკემბერი	2023 წლის 31 დეკემბერი
საინვესტიციო ქონება	7	195,122,793	184,228,193
ძირითადი საშუალებები	8	6,256,511	4,525,760
არამატერიალური აქტივები		74,502	77,098
სულ		**201,453,806**	**188,831,051**

კაპიტალური დანახარჯების ვალდებულებები. 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ჯგუფს არ გააჩნია სახელშეკრულებო კაპიტალური დანახარჯების ვალდებულებები, რომელიც დაკავშირებულია საინვესტიციო ქონებასთან (2023: ნული ლარი).

დათქმები. ჯგუფს ეკისრება გარკვეული დათქმები, რომლებიც უპირველესად დაკავშირებულია სს საქართველოს ბანკიდან ნასესხებ სახსრებთან. მსგავს პირობებთან შეუსაბამობამ შეიძლება გამოიწვიოს ჯგუფისთვის ნეგატიური შედეგები, მათ შორის სესხით სარგებლობის ხარჯის ზრდა და დეფოლტის გამოცხადება.

2024 წლის 31 დეკემბრისთვის ჯგუფს აქ ჰქონდა დარღვეული სს „საქართველოს ბანკთან“ გაფორმებული სასესხო ხელშეკრულებით გათვალისწინებული რაიმე დათქმა. თუმცა, ხელმძღვანელობამ კრედიტორებისგან წლის დასრულებამდე მოიპოვა მოიპოვა წერილები, სადაც ისინი უარს ამბობენ ვადაგადაცილებული სესხის თანხების დაჩქარებულად დაფარვის მოთხოვნაზე.

გარემოს დაცვითი საკითხები. საქართველოში გარემოსდაცვითი რეგულირება ჩამოყალიბების ეტაპზეა, შესაბამისად მთავრობის უფლებამოსილება აღსრულებაზე მუდმივ გადასინჯვას ექვემდებარება. ჯგუფი პერიოდულად ახორციელებს თავისი მოვალეობების შეფასებას გარემოსდაცვითი რეგულირების ფარგლებში. მოვალეობების განსაზღვრისთანავე ხდება მათი აღიარება. პოტენციური ვალდებულებების, რომლებიც შეიძლება წარმოიქმნას არსებული რეგულირების, სამოქალაქო საქმეზე სასამართლო პროცესის ან კანონმდებლობის ცვლილების შედეგად, შეფასება შეუძლებელია, მაგრამ შეიძლება არსებითი იყოს. არსებულ აღსრულების პირობებში და არსებული კანონმდებლობის გათვალისწინებით, ხელმძღვანელობას სჯერა, რომ გარემოზე ზიანის მიყენებისათვის არ არსებობს რაიმე მნიშვნელოვანი ვალდებულებები.

კლიმატის ცვლილება. ჯგუფის ხელმძღვანელობამ ყურადღება გაამახვილა გლობალურ ინფორმირებულობასა და საზრუნავზე კლიმატის ცვლილების პოტენციური გავლენის შესახებ. ამჟამად, ამ საკითხს მნიშვნელოვანი გავლენა არ ჰქონია კონსოლიდირებულ და ინდივიდუალურ ფინანსურ ანგარიშგებებზე და ჯგუფის საქმიანობასა და ბიზნეს გეგმებზე სამომავლო ზემოქმედების პროგნოზირება რთულია. ხელმძღვანელობა აგრძელებს ამ სფეროში მოვლენების განვითარების მონიტორინგს და საჭიროებისამებრ უპასუხებს მათ ჯგუფის სიცოცხლისუნარიანობის უზრუნველსაყოფად და მიიღებს ყველა სამთავრობო ინსტრუქციას, თუ და როდესაც ისინი იქნება გაცემული იმ ბაზრებზე, რომლებშიც ჯგუფი ოპერირებს.

25 ფინანსური რისკის მართვა

ჯგუფში რისკის მართვის ფუნქციის შესრულება ხორციელდება ფინანსურ რისკებთან, საოპერაციო რისკებთან და იურიდიულ რისკებთან მიმართებით. ფინანსური რისკი მოიცავს საბაზრო რისკს (სავალუტო რისკის, საპროცენტო რისკის და სხვა ფასის რისკის ჩათვლით), ფინანსური რისკის მართვის ფუნქციის ძირითადი მიზნებია რისკის ზღვრების დადგენა და შემდეგ იმის უზრუნველყოფა, რომ რისკები აღნიშნულ ზღვრებში დარჩეს. საოპერაციო და იურიდიული რისკების მართვის ფუნქციები გამიზნულია იმის უზრუნველყოფისათვის, რომ სათანადოდ ფუნქციონირებდეს შიდა პოლიტიკა და პროცედურები, რათა მინიმუმამდე შემცირდეს საოპერაციო და იურიდიული რისკები.

საკრედიტო რისკი. ჯგუფს გააჩნია საკრედიტო რისკი, რომელიც წარმოადგენს რისკს, რომ ფინანსური ინსტრუმენტის ერთ-ერთი მხარე გამოიწვევს ფინანსურ ზარალს მეორე მხარისათვის თავისი მოვალეობის შეუსრულებლობით. საკრედიტო რისკი წარმოიქმნება ჯგუფის პროდუქციის საკრედიტო პირობებით გაყიდვების და სხვა კონტრაჰენტებთან ტრანზაქციების შედეგად, რაც ზრდის ფინანსურ აქტივებს. ჯგუფის მაქსიმალური საკრედიტო რისკი, ასახულია ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში მოცემულ ფინანსური აქტივების საბალანსო ღირებულებაში.

საკრედიტო რისკის მართვა. საკრედიტო რისკი ჯგუფის სამეურნეო საქმიანობის უდიდესი რისკია; ამიტომ, ხელმძღვანელობა ყურადღებით ახორციელებს საკრედიტო რისკის მართვას.

რისკის მართვის მიზნებისთვის საკრედიტო რისკის შეფასება რთულია და გულისხმობს მოდელების, რადგან რისკი იცვლება საბაზრო პირობების მიხედვით, მოსალოდნელ ფულად ნაკადებსა და დროის გამოყენებას. აქტივების პორტფელის საკრედიტო რისკის შეფასება მოიცავს დეფოლტების ალბათობის დამატებით შეფასებას, ისევე როგორც დაკავშირებული კოეფიციენტებისა და პარტნიორებს შორის დეფოლტის კორელაციის შეფასებას.

ზღვრები. ჯგუფი თავისი საკრედიტო რისკის სტრუქტურას ქმნის პარტნიორებთან დაკავშირებით მისაღები რისკის ზღვრის დაწესებით. საკრედიტო რისკის ზღვრების დაწესება პროდუქტისა და დარგის მიხედვით ხელმძღვანელობის მიერ რეგულარულად მტკიცდება. მსგავსი რისკების დეტალური მონიტორინგი ხორციელდება და ექვემდებარება წლიურად, ან უფრო მეტი სიხშირით გადახედვას.

საკრედიტო ზღვრები ექვემდებარება ხელმძღვანელობის მიერ ანალიზსა და დამტკიცებას. იმისათვის, რათა განხორციელდეს საკრედიტო რისკისადმი დაქვემდებარების მონიტორინგი, რეგულარულად

კეთდება ანგარიშები, რომლებიც დაფუძნებულია სტრუქტურირებულ ანალიზზე მომხმარებლის ფინანსური წარმადობის თვალსაზრისით. უარყოფითი კრედიტუნარიანობის მქონე მომხმარებელთან ნებისმიერი მნიშვნელოვანი ურთიერთქმედება მოეხსენება და განიხილება ხელმძრვანელობის მიერ. ჯგუფის ხელმძღვანელობა განიხილავს პარტნიორების წარმადობას და ყურადღებას აქცევს ვადაგადაცილებულ ბალანსებს.

მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის (ECL) შეფასება. *ECL* არის სამომავლო ფულადი ნაკადების ნაკლებობის ახლანდელი ღირებულების ალბათობით შეწონილი შეფასება (მაგ., საკრედიტო ზარალის შეწონილი საშუალო, სადაც შეწონვისთვის გამოყენებულია მოცემული დროის პერიოდში დეფოლტის რისკების ხდომილებები). ECL-ის შეფასება მიუკერძოებელია და განისაზღვრება შესაძლო შედეგების დიაპაზონის განსაზღვრით. ECL-ის შეფასება ემყარება ჯგუფის მიერ გამოყენებულ ოთხ კომპონენტს: დეფოლტის ალბათობა (“PD”), დეფოლტის რისკი (“EAD”), ზარალი დეფოლტის შემთხვევაში (“LGD”) და დისკონტირების განაკვეთი.

დეფოლტის რისკი (EAD) არის სამომავლო დეფოლტის თარიღით რისკის შეფასება, რომელიც ითვალისწინებს საანგარიშგებო პერიოდის შემდეგ მოსალოდნელი რისკის ცვლილებებს, მათ შორის ძირითადი თანხისა და პროცენტის გადახდებს და დამტკიცებული საკრედიტო ხაზის მოსალოდნელ ათვისებას. დეფოლტის ალბათობა დროის მოცემულ პერიოდში დეფოლტის მოხდენის ალბათობის შეფასებაა. ზარალი დეფოლტის შემთხვევაში (“LGD”) არის დეფოლტის დროს წარმოქმნილი ზარალის შეფასება. ის ეფუძნება სხვაობას მისაღებ სახელშეკრულებო ფულად ნაკადებსა და იმ ფულად ნაკადებს შორის, რომელსაც მოსალოდნელია, რომ გამსესხებელი მიიღებს, უზრუნველყოფიდან წარმოქმნილი ფულადი ნაკადის ჩათვლით. როგორ წესი, ის გამოისახება, როგორც EAD-ის პროცენტი. მოსალოდნელი ზარალი დისკონტირდება ამჟამინდელ ღირებულებამდე საანგარიშო პერიოდის ბოლოს. დისკონტირების განაკვეთი წარმოადგენს ეფექტურ საპროცენტო განაკვეთს (“EIR”) ფინანსური ინსტრუმენტისთვის ან მასთან მიახლოებული მუხლისთვის.

მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის მოდელირება ხელმძღვანელობის მიერ ხორციელდება, რაც წარმოადგენს ზარალს, რომელიც ყველა შესაძლო დეფოლტის მოვლენის შედეგად დადგა ფინანსური ინსტრუმენტის სასარგებლო მომსახურების ვადის განმავლობაში. *12-თვიანი ECL* წარმოადგენს *მომსახურების ვადის განმავლობაში ECL*-ის ნაწილს, რაც განპირობებულია საანგარიშგებო პერიოდის შემდეგ 12 თვის განმავლობაში, ან ფინანსური ინსტრუმენტის დარჩენილი *მომსახურების ვადის პერიოდში*, თუ ეს წელზე ნაკლებია.

ECL, რომელიც ხელმძღვანელობის მიერ ამ ფინანსური ანგარიშგებებისთვისაა შეფასებული, წარმოადგენს შეფასებას დროის მომენტში, ნაცვლად ციკლის განმავლობაში შეფასებებისა, რომლებიც საზოგადოდ გამოიყენება რეგულირების მიზნებისთვის. ამ შეფასებებში ითვალისწინებენ *პერსპექტიულ ინფორმაციას,* ანუ ECL ასახავს ძირითადი მაკროეკონომიკური ცვლადების, რომლებიც გავლენას ახდენენ საკრედიტო რისკზე, ალბათობით შეწონილ ცვლილებას.

დეფოლტის ალბათობის შეფასების მიზნებისათვის ჯგუფი დეფოლტს განსაზღვრავს, როგორც სიტუაციას, როდესაც რისკი აკმაყოფილებს ქვემოთ ჩამოთვლილი კრიტერიუმებიდან ერთ ან მეტ კრიტერიუმს:

- მსესხებლის სახელშეკრულებო გადახდები 90 დღეზე მეტი ხნით არის ვადაგადაცილებული;
- მსესხებელი აკმაყოფილებს ქვემოთ მოცემული გადახდის არმოსალოდნელობის კრიტერიუმებს:
  - მსესხებელი გარდაიცვალა;
  - მსესხებელი გადახდისუუნაროა;
  - მოსალოდნელი ხდება, რომ მსესხებლის გაკოტრების პროცესი დაიწყება.

გამჟღავნების მიზნებისთვის ჯგუფის დეფოლტის განმარტება სრულად მიესადაგება გაუფასურებული კრედიტის მქონე აქტივების განმარტებას. ზემოთ მოცემული განმარტება გამოიყენება ჯგუფის ყველა სახის ფინანსური აქტივებისთვის.

იმის შეფასება, თავდაპირველი აღიარების შემდეგ ადგილი ჰქონდა თუ არა საკრედიტო რისკის მნიშვნელოვან გაზრდას ("SICR"), ტარდება ინდივიდუალურად. SICR-ის შეფასება ხდება ინდივიდუალურ საფუძველზე, ქვემოთ მოცემული მაჩვენებლების მონიტორინგის გამოყენებით. ტარდება SICR-ის გამოვლენისთვის გამოყენებული კრიტერიუმების მონიტორინგი და მათი სათანადოობა პერიოდულად გადაისინჯება ჯგუფის ხელმძღვანელობის მიერ. მიიჩნევა, რომ საკრედიტო რისკი მნიშვნელოვნად გაიზარდა თავდაპირველი აღიარების შემდეგ, როდესაც ფინანსური აქტივები 30 დღეზე მეტი ხნითა ვადაგადაცილებული და ამის უარყოფას ადგილი არ ჰქონია.

ჯგუფი მიიჩნევს, რომ ფინანსურმა ინსტრუმენტმა SICR განიცადა, როდესაც ქვემოთ მოცემული ხარისხობრივი, რაოდენობრივი ან შეკავების (backstop) კრიტერიუმებიდან ერთი ან მეტი დაკმაყოფილდება:

- 30 დღით ვადაგადაცილება; და
- კრედიტისადმი დაქვემდებარების რესტრუქტურიზაციის მოვლენა

წინამდებარე კონსოლიდირებულ და ინდივიდუალურ ფინანსურ ანგარიშგებაში აღიარებული ECL-ის დონე დამოკიდებულია იმაზე, მსესხებლის საკრედიტო რისკი გაიზარდა თუ არა თავდაპირველი აღიარების შემდეგ. ეს ECL-ის შეფასების სამ-ეტაპიანი მოდელია. ფინანსურ ინსტრუმენტს, რომლის კრედიტი გაუფასურებული არ არის თავდაპირველი აღიარებისას და მისი საკრედიტო რისკი მნიშვნელოვნად არ იზრდება თავდაპირველი აღიარების შემდეგ, აქვს 12-თვიან ECL-ზე დაფუძნებული საკრედიტო რისკის ანარიცხი (1-ლი ეტაპი). თუ თავდაპირველი აღიარების შემდეგ გამოვლინდა SICR-ის ზრდა, ფინანსური ინსტრუმენტი გადააქვთ მე-2 ეტაპზე, მაგრამ ის გაუფასურებული კრედიტის მქონედ არ მიიჩნევა და ზარალის ანარიცხი ეფუძნება მომსახურების ვადაში ECL-ს.

ფინანსური ინსტრუმენტის კრედიტის გაუფასურების შემთხვევაში ეს ფინანსური ინსტრუმენტი გადააქვთ მე-3 ეტაპზე და ზარალის ანარიცხი ეფუძნება მომსახურების ვადაში ECL-ს. აქტივის მე-3 ეტაპზე არსებობის შედეგია ის, რომ საწარმო წყვეტს მთლიანი საბალანსო ღირებულების საფუძველზე საპროცენტო შემოსავლის აღიარებას და საპროცენტო შემოსავლის გამოთვლისას იყენებს აქტივის ეფექტურ საპროცენტო განაკვეთს საბალანსო ღირებულებაზე, ECL-ის გარეშე.

თუ არსებობს მტკიცებულება, რომ SICR-ის კრიტერიუმები აღარ არის დაკმაყოფილებული, მაშინ ინსტრუმენტს ისევ 1-ელ ეტაპზე აბრუნებენ. თუ რისკი მე-2 ეტაპზე გადაიტანება ხარისხობრივი მაჩვენებლის საფუძველზე, ჯგუფი ახორციელებს მონიტორინგს, ეს ინდიკატორი ისევ არსებობს თუ შეიცვალა.

ჯგუფი ECL-ის შეფასებას ინდივიდუალურ საფუძველზე ახორციელებს იმ გაცემული სესხებისა და სავაჭრო და სხვა მოთხოვნებისთვის, რომლის ნაშთები 50,000 ლარს აღემატება. სავაჭრო და სხვა მოთხოვნების ნაშთები, რომელიც 50,000 ლარზე ნაკლებია, ფასდება კოლექტიურად.

ECL-ის ინდივიდუალურად შეფასება ტარდება საკრედიტო ზარალის სხვადასხვა შესაძლო შედეგის შეფასების შეწონვით თითოეული შედეგის ალბათობით. ჯგუფი განსაზღვრავს სულ მცირე ორ შესაძლო შედეგს თითოეული შეფასებული სესხისთვის, საიდანაც ერთ-ერთი განაპირობებს საკრედიტო ზარალს, თუნდაც მსგავსი შედეგის ალბათობა ძალიან დაბალი იყოს.

როგორც წესი, ECL არის საკრედიტო რისკის შემდეგი პარამეტრების ნამრავლი: EAD, PD და LGD (რომლებიც განმარტებული და ახსნილია ზემოთ), რომელიც ახლანდელ ღირებულებამდე დისკონტირდება ინსტრუმენტის ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეშვეობით. ECL განისაზღვრება საკრედიტო რისკის პარამეტრების წინასწარი შეფასებით (EAD, PD და LGD) თითოეული სამომავლო [თვე / წელი]-სა და მომსახურების ვადის პერიოდისთვის, თითოეული რისკის ან კოლექტიური სეგმენტისთვის. ეს სამი კომპონენტი ერთმანეთზე მრავლდება და შესწორდება გადარჩენის ალბათობით (ანუ, რისკი დაიფარა ან დეფოლტს ჰქონდა ადგილი გასულ თვეში). ასე ეფექტურად გამოითვლება ECL თითოეული სამომავლო პერიოდისთვის, რომელიც შემდეგ დისკონტირდება საანგარიშგებო თარიღამდე და ჯამდება. ECL-ის გამოთვლებში გამოყენებული დისკონტირების განაკვეთი არის თავდაპირველი ეფექტური საპროცენტო განაკვეთი ან მისი მიახლოებითი მნიშვნელობა.

ECL მოდელებში ჩართული პერსპექტიული ინფორმაცია. ორივე, SICR-ის შეფასება და ECL-ის გამოთვლა გულისხმობს პერსპექტიული ინფორმაციის გამოყენებას. ჯგუფი გამოავლენს გარკვეულ ძირითად ეკონომიკურ ცვლადებს, რომლებიც კორელაციაშია საკრედიტო რისკსა და ECL-თან. საპროგნოზო ეკონომიკური ცვლადები („საბაზისო ეკონომიკური სცენარი“) მოწოდებულია ჯგუფის მიერ და წარმოადგენს მოსალოდნელი მაკროეკონომიკური მდგომარეობის საუკეთესო შეფასებას მომდევნო ერთი წლის განმავლობაში.

საკრედიტო რისკის კონცენტრაცია. ჯგუფი არ ექვემდებარება საკრედიტო რისკის კონცენტრაციის რისკს 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით.

საბაზრო რისკი. ჯგუფს გააჩნია საბაზრო რისკები. საბაზრო რისკი წარმოიქმნება ღია პოზიციებიდან (ა) უცხოურ ვალუტასთან, (ბ) აქტივებსა და ვალდებულებებთან მიმართებით, რომელთაც პროცენტი ერიცხებათ. ხელმძღვანელობა ადგენს რისკის ზღვრებს, რომლის მიღებაც შესაძლებელია, რის მონიტორინგსაც ყოველდღიურად ახორციელებს. თუმცა, ამ მიდგომის გამოყენება არ უზრუნველყოფს ზარალის თავიდან აცილებას ამ ზღვრების მიღმა უფრო მნიშვნელოვანი საბაზრო ცვლილებების შემთხვევაში.

სავალუტო რისკი. სავალუტო რისკთან დაკავშირებით ხელმძღვანელობა ადგენს რისკის ზღვრებს ვალუტების მიხედვით და მთლიანობაში. მისი მონიტორინგი ყოველთვიურად ხორციელდება.

ქვემოთ მოცემულ ცხრილში შეჯამებულია ჯგუფის დაქვემდებარება უცხოური ვალუტის გაცვლის კურსის რისკისადმი საანგარიშო პერიოდის ბოლოს:

	2024 წლის 31 დეკემბერი			2023 წლის 31 დეკემბერი		
ქართული ლარი	მონეტარული ფინანსური აქტივები	მონეტარული ფინანსური ვალდებულებები	წმინდა საბალანსო პოზიცია	მონეტარული ფინანსური აქტივები	მონეტარული ფინანსური ვალდებულებები	წმინდა საბალანსო პოზიცია
ქართული ლარი	74,016,586	(10,114,803)	63,901,783	47,126,420	(3,597,640)	43,528,780
აშშ დოლარი	128,362,495	(198,876,151)	(70,513,656)	43,589,119	(150,415,715)	(106,826,595)
ევრო	127,185	(15,045,325)	(14,918,140)	155,717	(15,772,739)	(15,617,022)
სულ	**202,506,266**	**(224,036,279)**	**(21,530,013)**	**90,871,257**	**(169,786,094)**	**(78,914,837)**

ქვემოთ მოცემულ ცხრილში შეჯამებულია კომპანიის დაქვემდებარება უცხოური ვალუტის გაცვლის კურსის რისკისადმი საანგარიშო პერიოდის ბოლოს:

	2024 წლის 31 დეკემბერი			2023 წლის 31 დეკემბერი		
ქართული ლარი	მონეტარული ფინანსური აქტივები	მონეტარული ფინანსური ვალდებულებები	წმინდა საბალანსო პოზიცია	მონეტარული ფინანსური აქტივები	მონეტარული ფინანსური ვალდებულებები	წმინდა საბალანსო პოზიცია
ქართული ლარი	37,169,546	(10,114,803)	27,054,744	28,259,777	(1,125,604)	27,134,173
აშშ დოლარი	125,017,162	(198,876,555)	(73,859,393)	40,873,911	(150,415,715)	(109,541,803)
ევრო	127,185	(15,045,325)	(14,918,140)	155,717	(15,772,739)	(15,617,022)
სულ	**162,313,894**	**(224,036,683)**	**(61,722,790)**	**69,289,405**	**(167,314,058)**	**(98,024,653)**

ზემოთ მოცემული ანალიზი მოიცავს მხოლოდ მონეტარულ აქტივებსა და ვალდებულებებს. არა-მონეტარული აქტივები არ მოიაზრება, როგორც არსებითი სავალუტო რისკის ზრდის გამომწვევი. ქვემოთ მოცემულ ცხრილში ნაჩვენებია მოგება-ზარალის მგრძნობელობა საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს სავალუტო კურსების გონივრულად შესაძლებელი ცვლილებებისადმი ჯგუფის სამუშაო ვალუტასთან მიმართებით, როდესაც დანარჩენი ცვლადები უცვლელია:

ქართული ლარი	2024 წლის 31 დეკემბერი	2023 წლის 31 დეკემბერი
აშშ დოლარის გამყარება 20%-ით (2023: გამყარება 20%-ით)	(14,102,731)	(21,365,319)
აშშ დოლარის გაუფასურება 20%-ით) (2023: გაუფასურება 20%-ით)	14,102,731	21,365,319
ევროს გამყარება 20%-ით) (2023: გამყარება 20%-ით)	(2,983,628)	(3,123,404)
ევროს გაუფასურებ20%-ით) (2023: გაუფასურება 20%-ით)	2,983,628	3,123,404

ქვემოთ მოცემულ ცხრილში ნაჩვენებია მოგება-ზარალის და კაპიტალის მგრძნობელობა საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს სავალუტო კურსების გონივრულად შესაძლებელი ცვლილებებისადმი კომპანიის სამუშაო ვალუტასთან მიმართებით, როდესაც დანარჩენი ცვლადები უცვლელია:

ქართული ლარი	2024 წლის 31 დეკემბერი	2023 წლის 31 დეკემბერი
აშშ დოლარის გამყარება 20%-ით (2023: გამყარება 20%-ით)	(14,771,879)	(21,908,361)
აშშ დოლარის გაუფასურება 20%-ით) (2023: გაუფასურება 20%-ით)	14,771,879	21,908,361
ევროს გამყარება 20%-ით) (2023: გამყარება 20%-ით)	(2,983,628)	(3,123,404)
ევროს გაუფასურებ20%-ით) (2023: გაუფასურება 20%-ით)	2,983,628	3,123,404

დაქვემდებარება გამოთვლილია მხოლოდ მონეტარული ნაშთებისთვის, რომელიც დენომინირებულია ჯგუფის შესაბამისი საწარმოს ფუნქციური ვალუტისგან განსხვავებულ ვალუტებში.

საპროცენტო განაკვეთის რისკი. ჯგუფსა და კომპანიაზე მოქმედებს გავრცელებული საბაზრო საპროცენტო განაკვეთების მერყეობა, რაც, საბაზრო საპროცენტო განაკვეთების გავრცელებულ დონეზე, ზეგავლენას ახდენს მათ ფინანსურ მდგომარეობასა და ფულად ნაკადებზე.

ქვემოთ მოცემულ ცხრილში შეჯამებულია ჯგუფის საპროცენტო განაკვეთის რისკები. ცხრილში ნაჩვენებია ჯგუფის ფინანსური აქტივების და ვალდებულებების მთლიანი თანხა საბალანსო ღირებულებით, რომელიც დაჯგუფებულია საპროცენტო განაკვეთის სახელშეკრულებო გადაფასების ან დაფარვის ვადების მიხედვით:

ქართული ლარი	12 თვემდე	1-დან 5 წლამდე	5 წლის შემდეგ	სულ
2024 წ. 31 დეკემბერი				
სულ ფინანსური აქტივები	68,705,725	121,525,042	12,050,869	202,281,636
სულ ფინანსური ვალდებულებები	(79,930,903)	(78,983,720)	(70,207,654)	(229,122,276)
წმინდა საპროცენტო მგრძნობელობის სხვაობა 2024 წლის 31 დეკემბერს	**(11,225,178)**	**42,541,323**	**(58,156,784)**	**(26,840,640)**
2023 წ. 31 დეკემბერი				
სულ ფინანსური აქტივები	53,962,504	27,336,702	9,373,424	90,672,629
სულ ფინანსური ვალდებულებები	(26,922,221)	(121,193,829)	(21,719,902)	(169,835,951)
წმინდა საპროცენტო მგრძნობელობის სხვაობა 2023 წლის 31 დეკემბერს	**27,040,282**	**(93,857,127)**	**(12,346,478)**	**(79,163,322)**

ქვემოთ მოცემულ ცხრილში შეჯამებულია კომპანიის საპროცენტო განაკვეთის რისკები. ცხრილში ნაჩვენებია კომპანიის ფინანსური აქტივების და ვალდებულებების მთლიანი თანხა საბალანსო ღირებულებით, რომელიც დაჯგუფებულია საპროცენტო განაკვეთის სახელშეკრულებო გადაფასების ან დაფარვის ვადების მიხედვით:

ქართული ლარი	12 თვემდე	1-დან 5 წლამდე	5 წლის შემდეგ	სულ
2024 წ. 31 დეკემბერი				
სულ ფინანსური აქტივები	28,959,818	119,457,058	13,963,489	162,380,364
სულ ფინანსური ვალდებულებები	(72,161,499)	(78,983,720)	(70,207,654)	(221,352,872)
წმინდა საპროცენტო მგრძნობელობის სხვაობა 2024 წლის 31 დეკემბერს	**(43,201,681)**	**40,473,338**	**(56,244,165)**	**(58,972,508)**
2023 წ. 31 დეკემბერი				
სულ ფინანსური აქტივები	35,374,885	24,342,471	9,373,424	69,090,779
სულ ფინანსური ვალდებულებები	(24,405,226)	(121,193,829)	(21,719,902)	(167,318,957)
წმინდა საპროცენტო მგრძნობელობის სხვაობა 2023 წლის 31 დეკემბერს	**10,969,658**	**(96,851,358)**	**(12,346,478)**	**(98,228,177)**

ლიკვიდურობის რისკი. ლიკვიდურობის რისკი არის რისკი, რომ საწარმოს პრობლემები ექნება ფინანსურ ვალდებულებებთან დაკავშირებული მოვალეობების შესრულებაში. კომპანია ყოველდღიურად იღებს მოთხოვნებს თავის ხელმისაწვდომ ფულად რესურსებზე. ლიკვიდურობის რისკის მართვას ხელმძღვანელობა ახორციელებს კომპანიის ფულადი ნაკადების მცოცავი პროგნოზის ყოველთვიური მონიტორინგით. კომპანია ცდილობს სტაბილური დაფინანსების ბაზის შენარჩუნებას, რაც, ძირითადად, მოიცავს სავაჭრო და სხვა ვალდებულებებს.

ქვემოთ მოცემულ ცხრილში ნაჩვენებია ვალდებულებები მათი დარჩენილი საკონტრაქტო დაფარვის ვადების მიხედვით. დაფარვის ვადის ცხრილში ნაჩვენები ვალდებულებების თანხები წარმოადგენენ საკონტრაქტო, არადისკონტირებულ ფულად ნაკადებს. მსგავსი არადისკონტირებული ფულადი ნაკადები განსხვავდება ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში ასახული თანხებისაგან, რადგან ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში ასახული თანხები ეფუძნება დისკონტირებულ ფულად ნაკადებს.

როდესაც დავალიანების თანხა არ არის დაფარული, გამჟღავნებული თანხა განისაზღვრება საანგარიშო პერიოდის ბოლოს არსებული პირობების მიხედვით. გადახდები უცხოურ ვალუტაში კონვერტირდება საანგარიშო პერიოდის ბოლოს არსებული ოფიციალური გაცვლითი კურსის გამოყენებით.

ჯგუფის ფინანსური ვალდებულებების დაფარვის ვადის ანალიზი 2024 წლის 31 დეკემბერს:

ქართული ლარი	12 თვემდე	1-დან 5 წლამდე	5 წლის შემდეგ	სულ	საბალანსო ღირებულება
ვალდებულებები					
ნასესხები სახსრები (შენიშვნა 15)	67,440,303	78,983,720	70,207,654	216,631,676	216,631,676
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები (შენიშვნა 17)	12,490,600	-	-	12,490,600	12,490,600
სულ სამომავლო გადახდები, ძირი თანხის და პროცენტის გადახდების ჩათვლით	**79,930,903**	**78,983,720**	**70,207,654**	**229,122,276**	**229,122,276**

ჯგუფის ფინანსური ვალდებულებების დაფარვის ვადის ანალიზი 2023 წლის 31 დეკემბერს:

ქართული ლარი	12 თვემდე	1-დან 5 წლამდე	5 წლის შემდეგ	სულ	საბალანსო ღირებულება
ვალდებულებები					
ნასესხები სახსრები (შენიშვნა 15)	87,912,182	91,427,645	-	179,339,827	164,801,809
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები (შენიშვნა 17)	5,034,142	-	-	5,034,142	5,034,142
სულ სამომავლო გადახდები, ძირი თანხის და პროცენტის გადახდების ჩათვლით	**92,946,324**	**91,427,645**	**-**	**184,373,969**	**169,835,951**

კომპანიის ფინანსური ვალდებულებების დაფარვის ვადის ანალიზი 2024 წლის 31 დეკემბერს:

ქართული ლარი	12 თვემდე	1-დან 5 წლამდე	5 წლის შემდეგ	სულ	საბალანსო ღირებულება
ვალდებულებები					
ნასესხები სახსრები (შენიშვნა 15)	67,440,707	78,983,720	70,207,654	216,632,080	216,632,080
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები (შენიშვნა 17)	4,720,793	-	-	4,720,793	4,720,793
სულ სამომავლო გადახდები, ძირი თანხის და პროცენტის გადახდების ჩათვლით	**72,161,499**	**78,983,720**	**70,207,654**	**221,352,872**	**221,352,872**

კომპანიის ფინანსური ვალდებულებების დაფარვის ვადის ანალიზი 2023 წლის 31 დეკემბერს:

ქართული ლარი	12 თვემდე	1-დან 5 წლამდე	5 წლის შემდეგ	სულ	საბალანსო ღირებულება
ვალდებულებები					
ნასესხები სახსრები (შენიშვნა 15)	87,912,182	91,427,645	-	179,339,827	164,801,809
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები (შენიშვნა 17)	2,516,944	-	-	2,516,944	2,516,944
სულ სამომავლო გადახდები, ძირი თანხის და პროცენტის გადახდების ჩათვლით	**90,429,126**	**91,427,645**	**-**	**181,856,771**	**167,318,753**

26 კაპიტალის მართვა

კაპიტალის მართვა. კაპიტალის მართვასთან დაკავშირებით ჯგუფის მიზნებია გააგრძელოს საქმიანობა, როგორც ფუნქციონირებადმა საწარმომ, რათა უზრუნველყოს უკუგება მფლობელისთვის და სარგებელი სხვა დაინტერესებული მხარეებისათვის, ასევე, შეინარჩუნოს კაპიტალის ოპტიმალური სტრუქტურა, რათა შეამციროს კაპიტალის ღირებულება. კაპიტალის სტრუქტურის შენარჩუნების ან კორექტირებისათვის ჯგუფმა შეიძლება შეცვალოს მფლობელისთვის გადახდილი დივიდენდების ოდენობა, დაუბრუნოს მას კაპიტალი ან გაყიდოს აქტივები ვალის შესამცირებლად. ხელმძღვანელობა თვლის, რომ მის მიერ მართული მთლიანი კაპიტალი, წარმოადგენს საკუთარ კაპიტალს, როგორც ეს ნაჩვენებია ფინანსური მდგომარეობის კონსოლიდირებულ და ინდივიდუალურ ანგარიშგებაში და რეგულარულად ახორციელებს კაპიტალის სტრუქტურის მიმოხილვას.

27 რეალური ღირებულების შეფასება

რეალური ღირებულების შეფასებების ანალიზი რეალური ღირებულების იერარქიაში შემდეგნაირად ხორციელდება: (i) პირველი დონეა იდენტური აქტივების ან ვალდებულებების აქტიურ ბაზარზე კოტირებული (დაუკორექტირებელი) ფასებით შეფასება; (ii) მეორე დონის შეფასება გახლავთ შეფასების ხერხების გამოყენებით შეფასება, როდესაც აქტივის ან ვალდებულების ყველა არსებითი რესურსი დაკვირვებადია ან პირდაპირ (მაგ., ფასები) ან ირიბად (მაგ., წარმოებულია ფასებიდან) და (iii) მესამე დონის შეფასებებია, რომლებიც არ ეფუძნება მხოლოდ დაკვირვებად საბაზრო მონაცემებს (ანუ არა-დაკვირვებადი მონაცემები). ხელმძღვანელობა ფინანსური ინსტრუმენტების რეალური ღირებულების იერარქიის მეშვეობით დაჯგუფებისათვის იყენებს განსჯას. თუ რეალური ღირებულების შეფასებისას გამოიყენება დაკვირვებადი მონაცემები, რაც მოითხოვს მნიშვნელოვან შესწორებას, მაშინ ეს შეფასება მე-3 დონეა. შეფასების მონაცემის მნიშვნელობა ფასდება, მთლიანობაში რეალური ღირებულების შეფასების საპირისპიროდ.

აქტივები და ვალდებულებები, რომლებიც სამართლიანი ღირებულებით არ ფასდება, მაგრამ რომელთა სამართლიანი ღირებულება უნდა გამჟღავნდეს. აქტივებისთვის, რომლებიც არ ფასდება სამართლიანი ღირებულებით, სამართლიანი ღირებულების ანალიზი სამართლიანი ღირებულების იერარქიის მიხედვით და საბალანსო ღირებულება შემდეგია:

	2024 წ. 31 დეკემბერი			
ქართული ლარი	1-ლი დონის რეალური ღირებულება	მე-2 დონის რეალური ღირებულება	მე-3 დონის რეალური ღირებულება	საბალანსო ღირებულება
აქტივები				
ფინანსური აქტივები ამორტიზირებული ღირებულებით				
- სავაჭრო მოთხოვნები	-	-	9,926,968	9,926,968
- სხვა ფინანსური მოთხოვნები	-	-	1,530,050	1,530,050
- გაცემული სესხები	-	-	124,693,493	124,693,493
- ფული და ფულის ეკვივალენტები	12,099	44,941,375	-	44,953,475
სულ აქტივები	**12,099**	**44,941,375**	**136,150,512**	**181,103,986**
ვალდებულებები				
ფინანსური ვალდებულებები				
- ნასესხები სახსრები	-	216,631,676	-	216,631,676
- სავაჭრო ვალდებულებები	-	-	9,441,147	9,441,147
- სხვა ფინანსური ვალდებულებები	-	-	3,049,453	3,049,453
სულ ვალდებულებები	**-**	**216,631,676**	**12,490,600**	**229,122,276**

	2023 წ. 31 დეკემბერი			
ქართული ლარი	1-ლი დონის რეალური ღირებულება	მე-2 დონის რეალური ღირებულება	მე-3 დონის რეალური ღირებულება	საბალანსო ღირებულება
აქტივები				
ფინანსური აქტივები ამორტიზირებული ღირებულებით				
- სავაჭრო მოთხოვნები	-	-	7,508,775	7,508,775
- სხვა ფინანსური მოთხოვნები	-	-	713,784	713,784
- გაცემული სესხები	-	-	33,617,275	33,617,275
- ფული და ფულის ეკვივალენტები	33,399,980	-	-	33,399,980
სულ აქტივები	**33,399,980**	**-**	**41,839,834**	**75,239,814**
ვალდებულებები				
ფინანსური ვალდებულებები				
- ნასესხები სახსრები	-	164,802,013	-	164,802,013
- სავაჭრო ვალდებულებები	-	-	3,118,343	3,118,343
- სხვა ფინანსური ვალდებულებები	-	-	1,915,800	1,915,800
სულ ვალდებულებები	**-**	**164,802,013**	**5,034,143**	**169,836,156**

კომპანიის აქტივებისთვის, რომლებიც არ ფასდება რეალური ღირებულებით, რეალური ღირებულების ანალიზი რეალური ღირებულების იერარქიის მიხედვით და საბალანსო ღირებულება შემდეგია:

	2024 წ. 31 დეკემბერი			
ქართული ლარი	1-ლი დონის რეალური ღირებულება	მე-2 დონის რეალური ღირებულება	მე-3 დონის რეალური ღირებულება	საბალანსო ღირებულება
აქტივები				
ფინანსური აქტივები ამორტიზირებული ღირებულებით				
- სავაჭრო მოთხოვნები	-	-	8,195,974	8,195,974
- სხვა ფინანსური მოთხოვნები	-	-	1,099,503	1,099,503
- გაცემული სესხები	-	-	122,275,355	122,275,355
- ფული და ფულის ეკვივალენტები	12,099	10,255,876	-	10,267,976
სულ აქტივები	**12,099**	**10,255,876**	**131,570,833**	**141,838,809**
ვალდებულებები				
ფინანსური ვალდებულებები				
- ნასესხები სახსრები	-	216,632,080	-	216,632,080
- სავაჭრო ვალდებულებები	-	-	1,706,140	1,706,140
- სხვა ფინანსური ვალდებულებები	-	-	3,014,653	3,014,653
სულ ვალდებულებები	**-**	**216,632,080**	**4,720,793**	**221,352,872**

	2023 წ. 31 დეკემბერი			
ქართული ლარი	1-ლი დონის რეალური ღირებულება	მე-2 დონის რეალური ღირებულება	მე-3 დონის რეალური ღირებულება	საბალანსო ღირებულება
აქტივები				
ფინანსური აქტივები ამორტიზირებული ღირებულებით				
- სავაჭრო მოთხოვნები	-	-	7,044,148	7,044,148
- სხვა ფინანსური მოთხოვნები	-	-	713,784	713,784
- გაცემული სესხები	-	-	31,449,452	31,449,452
- ფული და ფულის ეკვივალენტები	14,997,964	-	-	14,997,964
სულ აქტივები	**14,997,964**	**-**	**39,207,384**	**54,205,348**
ვალდებულებები				
ფინანსური ვალდებულებები				
- ნასესხები სახსრები	-	164,802,012	-	164,802,012
- სავაჭრო ვალდებულებები	-	-	601,144	601,144
- სხვა ფინანსური ვალდებულებები	-	-	1,915,800	1,915,800
სულ ვალდებულებები	**-**	**164,802,012**	**2,516,944**	**167,318,956**

რეალური ღირებულების იერარქიაში მე-2 და მე-3 დონის რეალური ღირებულებები შეფასდა დისკონტირებული ფულადი ნაკადების შეფასების მეთოდით. მცოცავი განაკვეთის ინსტრუმენტების, რომლებიც არ არიან კოტირებული აქტიურ ბაზარზე, რეალური ღირებულება უტოლდება მათ საბალანსო ღირებულებას. არაკოტირებული ფიქსირებული საპროცენტო განაკვეთის მქონე ინსტრუმენტები შეფასებულია სამომავლო ფულადი ნაკადების დისკონტირებით მიმდინარე საპროცენტო განაკვეთებით ახალი ინსტრუმენტებისთვის, რომელთაც მსგავსი საკრედიტო რისკი და დარჩენილი დაფარვის ვადა გააჩნიათ.

ამორტიზებული ღირებულებით აღრიცხული ფინანსური აქტივები.. მცოცავ-განაკვეთიანი ინსტრუმენტების შეფასებული რეალური ღირებულება ემყარება შეფასებულ სამომავლო ფულად ნაკადებს, რომელთა მიღება მოსალოდნელია რომ იქნება მიმდინარე საპროცენტო განაკვეთებით დისკონტირებული, ახალი ინსტრუმენტებისთვის, რომელთაც მსგავსი საკრედიტო რისკი და დარჩენილი დაფარვის ვადა აქვთ. გამოყენებული დისკონტირების განაკვეთები დამოკიდებულია კონტრაჰენტის საკრედიტო რისკზე.

ამორტიზებული ღირებულებით აღრიცხული ვალდებულებები. ფიქსირებული საპროცენტო განაკვეთების, გაცხადებული დაფარვის ვადის მქონე ინსტრუმენტები შეფასებულ იქნა მიმდინარე საპროცენტო განაკვეთებით, დისკონტირებული მოსალოდნელი ფულადი ნაკადების საფუძველზე, ახალი ინსტრუმენტებისთვის, რომელთაც მსგავსი საკრედიტო რისკები და დარჩენილი დაფარვის ვადები აქვთ.

28 ფინანსური ინსტრუმენტების წარდგენა შეფასების კატეგორიების მიხედვით

შეფასების მიზნებისთვის ფასს 9-ით „ფინანსური ინსტრუმენტები“, ფინანსური აქტივები კლასიფიცირებულია შემდეგ კატეგორიებად: (a) ფინანსური აქტივები FVTPL-ით; (b) სავალო ინსტრუმენტები FVOCI-ით, (c) წილობრივი ინსტრუმენტები FVOCI-ით და (c) ფინანსური ინსტრუმენტები ამორტიზებული ღირებულებით. FVTPL-ით შეფასებულ ფინანსურ ინსტრუმენტებს ორი ქვე-კატეგორია აქვს: (i) აქტივები, რომელთა შეფასება სავალდებულოა FVTPL-ით, და (ii) აქტივები, რომლებიც ამგვარად არის კლასიფიცირებული თავდაპირველი აღიარებისას. ჯგუფის ყველა ფინანსური ვალდებულება გატარებული იყო ამორტიზირებული ღირებულებით.

2024 წლის 31 დეკემბრისა და 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ჯგუფისა და კომპანიის ყველა ფინანსური ვალდებულება გატარებული იყო ამორტიზირებული ღირებულებით.

29 საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები

2025 წლის 14 თებერვალს კომპანიამ გამოაცხადა დივიდენდი 7,000 ათასი ლარის ოდენობით, რაც ნაწილობრივ დაიფარა 2025 წლის 17 თებერვალს და 1 მარტს.

30 ფინანსური ანგარიშგების დამტკიცება

ჯგუფისა და კომპანიის ფინანსური ანგარიშგება 2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის მენეჯმენტის მიერ დამტკიცებულია 2025 წლის 7 მაისს.

მოკლე ინფორმაცია ჯგუფის შესახებ

აი ჯი დეველოფმენტ ჯორჯია
იურიდიული ფორმა: შეზღუდული პასუხისმგებლობის კომპანია
საიდენტიფიკაციო ნომერი: 404851503
ძირითადი საქმიანობა: სავაჭრო ცენტრებისა და ბიზნეს ცენტრის მართვა

შპს აი ჯი დეველოფმენტ ჯორჯია (შემდგომში ”ჯგუფი”), არის უძრავი ქონების დეველოპერი ჯგუფი, რომელიც დარეგისტრირდა 2010 წელს, როგორც შეზღუდული პასუხისმგებლობის კომპანია. ჯგუფი ფლობს სამ სავაჭრო ცენტრს, კერძოდ ქავთარაძის, ვაჟა-ფშაველას, გლდანის სითი მოლებს და ბიზნეს ცენტრს - სითი თაუერი. მისი ძირითადი საქმიანობა მოიცავს სავაჭრო ცენტრებში მის საკუთრებაში არსებული ქონების იჯარით გაცემას, ქონების მენეჯმენტსა და მოვლა-პატრონობას. ასევე, ჯგუფმა დაიწყო ერთ-ერთი ყველაზე დიდი დეველოპერული პროექტი თბილისში და ასევე აპირებს ინვესტირებას რაჭაში სტუმართმოყვარეობის ინდუსტრიაში.
ცენტრები წარმოდგენილია 300-ზე მეტი მაღაზიით, მათ შორისაა როგორც საერთაშორისოდ აღიარებული ბრენდები და საცალო მოვაჭრეები, ასევე ადგილობრივი მწარმოებლები, მათ შორის სუპერმარკეტები, სწრაფი კვების ობიექტები და სხვა.
ამ დოკუმენტის შემდგომი მითითებები „მმართველობის ანგარიშზე“ ეხება ჯგუფის კომპანიის მენეჯმენტის კონსოლიდირებულ და ცალკეულ ანგარიშს.

ჯგუფის სამომავლო განვითარების გეგმები

ჯგუფი კომპანია კონცენტრირებულნი არიან მასზე, რომ გახდნენ სავაჭრო ცენტრის წამყვანი ქსელი საქართველოში და იფუნქციონიროს სრული დატვირთვით. „აი ჯი დეველოფმენტ ჯორჯიამ“ დაიწყო “სითი მოლი გლდანის“ გაფართოება და ორი ახალი პროექტის განხორციელება: მულტი-საოჯახო და კომერციული უძრავი ქონების მშენებლობა თბილისში და სასტუმროს მშენებლობა რაჭაში.
„აი ჯი დეველოფმენტ ჯორჯია“ არის მაღალი სოციალური პასუხისმგებლობის მქონე ჯგუფი; მისი მიზანია შექმნას ყველაზე თანამედროვე კომერციული სივრცე, რომელიც თანხვედრაშია საერთაშორისო სტანდარტებთან, სადაც საერთაშორისოდ აღიარებული და ადგილობრივ მერჩენდაიზერებს შეეძლებათ იმუშაონ სრული დატვირთვით. ჯგუფი და კომპანია მიზნად ისახავენ წამყვანი ბრენდებისა და ქართველი მეწარმეების საერთო სივრცეში ინტეგრაციას მათი საერთო თანამშრომლობის, გამოცდილების გაცვლის, საუკეთესო გამოცდილებების მხარდასაჭერად სამეწარმეო საქმიანობებისა და მიდგომების ორგანიზების უზრუნველსაყოფად.

ჯგუფის მიერ წარმოებული სამეცნიერო-კვლევითი სამუშაოების მიმოხილვა

სითი თაუერსა და სავაჭრო ცენტრებში მოიჯარეების რაოდენობის ზრდა ჯგუფისათვის წარმოქმნის ახალი, საერთაშორისოდ აღიარებული Business Intelligence პროგრამული უზრუნველყოფის Qlik Sense-ის დანერგვის აუცილებლობას, რაც აი ჯი დეველოფმენტ ჯორჯიასათვის გააადვილებს ასობით მოიჯარის კონტროლს და ყოველდღიურად გარკვეული ოდენობის ანალიტიკური ანგარიშების მომზადებას. ჯგუფმა ჩათვალა საჭიროდ ვიზიტორებისთვის ახალი ლოიალობის პროგრამის გაცნობა, რომელიც სულ უფრო პოპულარული ხდება ვიზიტორებში. ჯგუფმა ასევე შექმნა აპლიკაცია „Cityzen app“, რომელიც აადვილებს კლიენტების ინფორმირებას გადახდების შესახებ.

ინფორმაცია ჯგუფის ფილიალების შესახებ

ჯგუფის საკუთრებაში არსებული სამი სავაჭრო ცენტრის ადგილმდებარეობებია - საბურთალო (ქავთარაძის ქ. №1), სადაც წარმოდგენილია სითი მოლ ქავთარაძე და სითი მოლ ვაჟა, ასევე გლდანი (ვეკუას ქ. №1), ხოლო ადმინისტრაციული ოფისი გადავიდა ჯგუფის მიერვე აშენებულ სითი თაუერში.

მთავარი ფინანსური და არაფინანსური ინდიკატორები

ჯგუფის სტრუქტურიდან და საქმიანობიდან გამომდინარე, საინტერესოა რამდენიმე ფინანსური მაჩვენებელი.

ფინანსური ინდიკატორების 2024 წლისათვის:

	ინდიკატორი	*თანხა ლარებში*
1.	ამონაგები	100,621,487
2.	საოპერაციო მოგების მარჟა [1]	67%
3.	წმინდა მოგების მარჟა[2]	54%
4.	ბრუნვა კაპიტალზე (ROE)[3]	31%
5.	ვალი აქტივების მიმართ[4]	38%

კომპანიის ფინანსური მაჩვენებლებია:.

	ინდიკატორი	*თანხა ლარებში*
1.	ამონაგები	100,929,340
2.	საოპერაციო მოგების მარჟა	71%
3.	წმინდა მოგების მარჟა	56%
4.	ბრუნვა კაპიტალზე (ROE)	32%
5.	ვალი აქტივების მიმართ	50%

შემდეგი ინდიკატორები დაკავშირებულია ჯგუფისა და კომპანიის შემოსავლისა და მომგებიანობის ანალიზთან:

1. კომპანიის შემოსავალი წინა წელთან შედარებით გაიზარდა 10%-ზე მეტით. ამის მთავარი მიზეზი ის იყო, რომ მოიჯარეების ბრუნვა მთელი წლის განმავლობაში გაიზარდა და ახალმა ბრენდებმაც დაიწყეს ქირავნობა.

2. 2024 წლის საოპერაციო მოგების მარჟა იყო 70%, რაც გვიჩვენებს ჯგუფის შემოსავლების ნაწილს საოპერაციო ხარჯების დაფარვის შემდეგ. საოპერაციო ხარჯები მოიცავს ხარჯებს, რომლებიც დაკავშირებულია სავაჭრო ცენტრისა და ბიზნეს ცენტრის პირდაპირ საოპერაციო ხარჯებთან და ასევე ზოგად ადმინისტრაციულ ხარჯებთან.

3. წმინდა მოგების მარჟა აჩვენებს, რომ ჯგუფი წარმატებით მუშაობს.

4. ბრუნვა კაპიტალზე (ROE) - ეს სპეციფიური მაჩვენებელი განსხვავებულია სხვადასხვა ინდუსტრიებისთვის. ხელმძღვანელობას მიაჩნია, ROE მისაღებია 2024 წლისთვის.

[1] საოპერაციო მოგების მარჟა = საოპერაციო მოგება / შემოსავალი
[2] წმინდა მოგების მარჟა = მთლიანი მოგება /შემოსავალი
[3] ბრუნვა კაპიტალზე = წმინდა მოგება/ საშუალო კაპიტალი
[4] ვალი აქტივების მიმართ = სესხი / აქტივები

5. ვალის კოეფიციენტი გვაძლევს საერთო წარმოდგენას ჯგუფის მიერ გამოყენებულ ლევერიჯის თანხის ოდენობაზე. მნიშვნელოვანია ჯგუფის კრედიტუნარიანობის კუთხით გათვალისწინება, რომელთაგან ერთერთიც აქტივების თვალსაზრისით ვალის (სესხის) წილია.

გარემოსდაცვითი საკითხები.
საქართველოში გარემოსდაცვითი რეგულირება ჩამოყალიბების ეტაპზეა, შესაბამისად მთავრობის უფლებამოსილება აღსრულებაზე მუდმივ გადასინჯვას ექვემდებარება. ჯგუფი პერიოდულად ახორციელებს თავისი მოვალეობების შეფასებას გარემოსდაცვითი რეგულირების ფარგლებში. მოვალეობების განსაზღვრისთანავე ხდება მათი აღიარება. პოტენციური ვალდებულებების, რომლებიც შეიძლება წარმოიქმნას არსებული რეგულირების, სამოქალაქო საქმეზე სასამართლო პროცესის ან კანონმდებლობის ცვლილების შედეგად, შეფასება შეუძლებელია, მაგრამ შეიძლება არსებითი იყოს. არსებულ აღსრულების პირობებში და არსებული კანონმდებლობის გათვალისწინებით, ხელმძღვანელობას სჯერა, რომ გარემოზე ზიანის მიყენებისათვის არ არსებობს რაიმე მნიშვნელოვანი ვალდებულებები.

არაფინანსური ინდიკატორები

ადამიანური რესურსების მართვის სფეროში ჯგუფის პრიორიტეტს წარმოადგენს ორგანიზაციული სტრუქტურის სრულყოფა, თანამშრომელთა შრომის და სოციალური დაცვის გაუმჯობესება და შრომის ეფექტურობის ზრდა.
დასაქმებულ პირთა სტატისტიკა
აი ჯი დეველოფმენტ ჯორჯიას მიერ 2024 წელს დასაქმებული პირთა რაოდენობა იყო 160. ყველა მათგანი დასაქმებულია თბილისში, საქართველოს დედაქალაქში,
თანამშრომლები შემდეგ კატეგორიებად შეიძლება დაიყოს: (1) ადმინისტრაცია და (2) სავაჭრო ცენტრები. ადმინისტრაციაში დასაქმებული ქალების რაოდენობა თითქმის ორჯერ აღემატება იმავე კატეგორიაში დასაქმებული მამაკაცების რაოდენობას, თუმცა ამის საწინააღმდეგო თანაფარდობაა სავაჭრო ცენტრში დასაქმებულებთან შედარებით. ეს სავაჭრო ცენტრების სპეციფიკიდან გამომდინარეობს.

დეტალური ინფორმაცია საკუთარი აქციების შეძენის შესახებ

2024 წელს ჯგუფის არ შეუძენია საკუთარი აქციები.

ჯგუფის საკრედიტო, საბაზრო, ლიკვიდობის და ფულადი ნაკადების რისკებისა და მათი მართვის მექანიზმების მიმოხილვა

აი ჯი დეველოფმენტ ჯორჯია მოიჯარეებთან უმეტესწილად ერთიდაიმავე პირობებით მუშაობს, თუმცა არსებობს შემთხვევები, როდესაც ჯგუფი კონტრაჰენტის გადახდისუნარიანობას და სხვა ინდიკატორების ანალიზს ახორციელებს სახელშეკრულებო პირობების შესაცვლელად.

მთავარი რისკები და გაურკვევლობები, საწარმოს მიზანი და პოლიტიკა ფინანსური რისკის მართვის კუთხით

მთავარი რისკები და გაურკვევლობები უკავშირდება სავალუტო, საპროცენტო და ლიკვიდობის რისკებს.

სავალუტო რისკი. სავალუტო რისკთან დაკავშირებით, ხელმძღვანელობა ადგენს ზღვარს რისკის დაქვემდებარებაზე ვალუტის მიხედვით და მთლიანად. ეს პოზიციები ყოველთვიურ მონიტორინგს ექვემდებარება.
ქვემოთ მოცემულ ცხრილში შეჯამებულია ჯგუფის უცხოური ვალუტის გაცვლის კურსის რისკისადმი დაქვემდებარება საანგარიშო პერიოდის ბოლოს:

	2024 წლის 31 დეკემბერი			2023 წლის 31 დეკემბერი		
ქართულ ლარში	მონეტარული ფინანსური აქტივები	მონეტარული ფინანსური ვალდებულებები	წმინდა პოზიცია	მონეტარული ფინანსური აქტივები	მონეტარული ფინანსური ვალდებულებები	წმინდა პოზიცია
ქართული ლარი	74,016,586	(10,114,803)	63,901,783	47,126,420	(3,597,640)	43,528,780
აშშ დოლარი	128,362,495	(198,876,151)	(70,513,656)	43,589,119	(150,415,715)	(106,826,595)
ევრო	127,185	(15,045,325)	(14,918,140)	155,717	(15,772,739)	(15,617,022)
სულ	**202,506,266**	**(224,036,279)**	**(21,530,013)**	**90,871,257**	**(169,786,094)**	**(78,914,837)**

ქვემოთ მოცემულ ცხრილში შეჯამებულია კომპანიის უცხოური ვალუტის გაცვლის კურსის რისკისადმი დაქვემდებარება საანგარიშო პერიოდის ბოლოს:

	2024 წლის 31 დეკემბერი			2023 წლის 31 დეკემბერი		
ქართულ ლარში	მონეტარული ფინანსური აქტივები	მონეტარული ფინანსური ვალდებულებები	წმინდა პოზიცია	მონეტარული ფინანსური აქტივები	მონეტარული ფინანსური ვალდებულებები	წმინდა პოზიცია
ქართული ლარი	37,169,546	(10,114,803)	27,054,744	28,259,777	(1,125,604)	27,134,173
აშშ დოლარი	125,017,162	(198,876,555)	(73,859,393)	40,873,911	(150,415,715)	(109,541,803)
ევრო	127,185	(15,045,325)	(14,918,140)	155,717	(15,772,739)	(15,617,022)
სულ	**162,313,894**	**(224,036,683)**	**(61,722,790)**	**69,289,405**	**(167,314,058)**	**(98,024,653)**

ზემოთ მოცემული ანალიზი მხოლოდ მონეტარულ აქტივებს და ვალდებულებებს მოიცავს. გათვალისწინებული არ არის, რომ არამონეტარული აქტივები გაზრდის არსებით სავალუტო რისკს.

საპროცენტო განაკვეთის რისკი. ჯგუფი და კომპანია ექვემდებარებიან საბაზრო საპროცენტო განაკვეთების გავრცელებულ დონეებში რყევების გავლენას მის ფინანსურ მდგომარეობასა და ფულად ნაკადებზე.

ქვემოთ მოცემული ცხრილი აჯამებს ჯგუფის დაქვემდებარებას საპროცენტო განაკვეთის რისკისადმი. ცხრილი წარმოადგენს ჯგუფის ფინანსური აქტივების და ვალდებულებების აგრეგირებულ თანხებს მათი საბალანსო ღირებულებით, რაც კლასიფიცირებულია სახელშეკრულებო პროცენტების გადაანგარიშებას ან დაფარვის ვადებს შორის უფრო ადრინდელით.

ქართულ ლარში	12 თვემდე	1-დან 5 წლამდე	5 წელზე მეტი	სულ
2024 წლის 31 დეკემბერი				
სულ ფინანსური აქტივები	68,705,725	121,525,042	12,050,869	202,281,636
სულ ფინანსური ვალდებულებები	(79,930,903)	(78,983,720)	(70,207,654)	(229,122,276)
საპროცენტო მგრძნობელობის დაშორება წმინდად 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	**(11,225,178)**	**42,541,323**	**(58,156,784)**	**(26,840,640)**
2023 წლის 31 დეკემბერი				
სულ ფინანსური აქტივები	53,962,504	27,336,702	9,373,424	90,672,629
სულ ფინანსური ვალდებულებები	(26,922,221)	(121,193,829)	(21,719,902)	(169,835,951)
საპროცენტო მგრძნობელობის დაშორება წმინდად 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	**27,040,282**	**(93,857,127)**	**(12,346,478)**	**(79,163,322)**

ქვემოთ მოცემული ცხრილი აჯამებს კომპანიის დაქვემდებარებას საპროცენტო განაკვეთის რისკისადმი. ცხრილი წარმოადგენს კომპანიის ფინანსური აქტივების და ვალდებულებების აგრეგირებულ თანხებს მათი საბალანსო ღირებულებით, რაც კლასიფიცირებულია სახელშეკრულებო პროცენტების გადაანგარიშებას ან დაფარვის ვადებს შორის უფრო ადრინდელით.

ქართულ ლარში	12 თვემდე	1-დან 5 წლამდე	5 წელზე მეტი	სულ
2024 წლის 31 დეკემბერი				
სულ ფინანსური აქტივები	28,959,818	119,457,058	13,963,489	162,380,364
სულ ფინანსური ვალდებულებები	(72,161,499)	(78,983,720)	(70,207,654)	(221,352,872)
საპროცენტო მგრძნობელობის დაშორება წმინდად 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	**(43,201,681)**	**40,473,338**	**(56,244,165)**	**(58,972,508)**
2023 წლის 31 დეკემბერი				
სულ ფინანსური აქტივები	35,374,885	24,342,471	9,373,424	69,090,780
სულ ფინანსური ვალდებულებები	(24,405,226)	(121,193,829)	(21,719,902)	(167,318,957)
საპროცენტო მგრძნობელობის დაშორება წმინდად 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	**10,969,658**	**(96,851,358)**	**(12,346,478)**	**(98,228,177)**

ლიკვიდობის რისკი. ლიკვიდობის რისკი არის რისკი, რომ ჯგუფის პრობლემები ექნება ფინანსურ ვალდებულებებთან დაკავშირებული მოვალეობების შესრულებაში. ჯგუფი ყოველდღიურად იღებს მოთხოვნებს მის ხელმისაწვდომ ფულად რესურსებზე. ხელმძღვანელობა ახორციელებს ჯგუფის ფულადი ნაკადების მცოცავი პროგნოზის ყოველთვიურ მონიტორინგს. ჯგუფი ცდილობს შეინარჩუნოს სტაბილური საფინანსო ბაზა, რომელიც უპირველესად შედგება ნასესხების სახსრებისგან და სავაჭრო და სხვა ვალდებულებებისგან.

კორპორაციული მართვა

წინამდებარე ანგარიშში აღწერილია შპს ,,აი ჯი დეველოფმენტ ჯორჯიას" კორპორაციული მართვის სისტემის კორპორაციულ მართვის კოდექსის მოთხოვნებთან შესაბამისობა, აგრეთვე წარმოდგენილია მოთხოვნებთან შესაბამისობის ალტერნატივა.
კომპანიის მიერ შემუშავებულ სხვადასხვა პოლიტიკასა და პროცედურებში გათვალისწინებულია კორპორაციული მართვის კოდექსის მოთხოვნები, აგრეთვე განსაზღვულია მოთხოვნებთან შესაბამისობის ალტერნატივა.
შპს ,,აი ჯი დეველოფმენტ ჯორჯიას" კორპორაციული მართვის კოდექსის მოთხოვნებთან შესაბამისობაზე პასუხისმგებელია სამეთვალყურეო საბჭო. კომპანიის დირექტორი უზრუნველყოფს სამეთვალყურეო საბჭოს მიერ დამტკიცებული კორპორაციული მართვის სხვადასხვა პოლიტიკის ეფექტიან შესრულებას. კომპანიის მმართველი ორგანოს ნებისმიერი წევრი უფლებამოსილია საწარმოს კორპორაციული მართვის სისტემასთან არსებულ პრობლემურ საკითხებზე მიმართოს სამეთვალყურეო საბჭოს.

სამართლებრივი და მართვის სტრუქტურა

კომპანიას გააჩნია მკაფიოდ განსაზღვრული ორგანიზაციული და მმართველობის სტრუქტურა, სადაც არავინ სარგებლობს შეუზღუდავი უფლებამოსილებებით და რომელიც უზრუნველყოფს პასუხისმგებლობების განსაზღვრის, რისკების ეფექტიანი იდენტიფიცირების, მართვის, მონიტორინგისა და ანგარიშგების პროცესებს, შესაბამის შიდა კონტროლის მექანიზმებს, მათ შორის ჯანსაღი ადმინისტრირებისა და სააღრიცხვო პროცედურებს, რისკების მართვის ეფექტურ საინფორმაციო სისტემებსა და კონტროლებს, ანაზღაურების პოლიტიკასა და პროცედურებს.

კომპანიის წესდება

კომპანიის წესდება განსაზღვრავს სამეთვალყურეო საბჭოსა და დირექტორის ფუნქციებსა და პასუხისმგებლობებს იმგვარად, რომ უზრუნველყოფილია მათ მიერ საკუთარი უფლებამოსილებების შესრულება და ეფექტიანი გადაწყვეტილების მიღების პროცესი.
საერთო კრების 2024 წლის 27 დეკემბრის გადაწყვეტილებით დამტკიცდა კომპანიის წესდების ახალი რედაქცია და კომპანიამ უზრუნველყო წესდების საჯარო ხელმისაწვდომობა კომპანიის ვებ–გვერდზე.

ეთიკის კოდექსი

კომპანიას გააჩნია ეთიკის კოდექსი, რომელიც უზრუნველყოფს თანამშრომლების და მმართველი ორგანოს წევრების ეთიკური ქცევის მაღალ სტანდარტებს. კომპანიის ეთიკის კოდექსი სრულად აკმაყოფილებს კორპორაციული მართვის კოდექსით გათვალისწინებულ მოთხოვნებს.
ეთიკის კოდექსი არის საჯაროდ ხელმისაწვდომი და საჭიროების შემთხვევაში, ექვემდებარება განახლდებას პერიოდულად. ეთიკის კოდექსის აღსრულების საკითხებზე მონიტორინგს ახორციელებს სამეთვალყურეო საბჭომ.

სტრატეგიისა და მდგრადი განვითარების მიზნები

კომპანიას გააჩნია სტრატეგია და სათანადო რესურსები, რათა მიღწეულ იქნეს დასახული მიზნები, მათ შორის მდგრადი განვითარების მიზნები;
კომპანიას გააჩნია მდგრადი განვითარების მიზნები, მათ შორის გარემოსდაცვითი და სოციალური მმართველობის საკითხები, რომლებიც მოიცავს ისეთ საკითხებს, როგორიცაა:

ა) ადამიანური რესურსების პოლიტიკა, რომელიც ეფუძნება როგორც ქართულ კანონმდებლობას, ასევე საერთაშორისოდ აღიარებულ შრომით სტანდარტებს და ადამიანის უფლებების დაცვას;
ბ) თანამშრომლებისთვის უსაფრთხო და ჯანსაღი სამუშაო გარემოს უზრუნველყოფა;

გ) გარემოს დაცვა გარემოსდაცვითი რეგულაციებისა და საერთაშორისო სტანდარტებისა და სახელმძღვანელოების შესაბამისად;

სამეთვალყურეო საბჭო

2024 წლის 27 დეკემბრამდე, სამეთვალყურეო საბჭო შედგებოდა 5 (ხუთი) წევრისგან. საერთო კრების 2024 წლის 27 დეკემბრის გადაწყვეტილებით კომპანიის სამეთვალყურეო საბჭოს წევრთა რაოდენობა გაიზარდა და შედგება 6 (ექვსი) წევრისგან. სამეთვალყურეო საბჭოს წევრებს გააჩნიათ თავიანთი ფუნქციების შესრულებისთვის აუცილებელი დრო, რესურსი, სათანადო კვალიფიკაცია, პროფესიული გამოცდილება, შესაბამისი კომპეტენცია და საქმისადმი კეთილსინდისიერი დამოკიდებულება, რაც უზრუნველყოფს კომპანიის საქმიანობის სათანადოდ წარმართვას და რისკების მართვის ეფექტური ექსპერტიზის შესაძლებლობას. სამეთვალყურეო საბჭოში არიან განსხვავებული უნარ-ჩვევების, კვალიფიკაციის და გამოცდილების მქონე პირები. საერთო კრების 2024 წლის 27 დეკემბრის გადაწყვეტილებით საბჭოს შემადგენლობაში არჩეულ იქნა ქალი. სამეთვალყურეო საბჭოს სამ წევრს აქვს ფინანსური ანგარიშგების ანალიზის უნარი და ფინანსურ, ეკონომიკურ და აუდიტორულ სფეროებში მუშაობის გამოცდილება.
სამეთვალყურეო საბჭოს ჰყავს თავჯდომარე, რომელიც არ არის კომპანიის დირექტორი და რომელიც პასუხისმგებელია საბჭოს ეფექტიან ფუნქციონირებაზე. სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარე არ არის დამოუკიდებელი წევრი, თუმცა თავმჯდომარისთვის მიკუთვნებულ ყველა იმ გადაწყვეტილებას, რომელმაც შესაძლებელია უარყოფითი გავლენა იქონიოს კომპანიის ინვესტორთა ინტერესებზე, თავმჯდომარე იღებს დამოუკიდებელი წევრის თანხმობით. გადაწყვეტილების მიღების პროცესში ინტერესთა კონფლიქტის აღმოჩენის შემთხვევაში, სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე პასუხისმგებელია არსებული და პოტენციური ინტერესთა კონფლიქტის არიდებასა და გამორიცხვაზე.
2024 წლის 27 დეკემბრამდე, სამეთვალყურეო საბჭოს შემადგენლობაში ირიცხებოდა ერთი დამოუკიდებელი წევრი, თუმცა საერთო კრების 2024 წლის 27 დეკემბრის გადაწყვეტილებით, კორპორაციული მართვის კოდექსის მოთხოვნებთან შესაბამისობის მიზნით, სამეთვალყურეო საბჭოს შემადგენლობაში არჩეულ იქნა დამატებით 1 (ერთი) დამოუკიდებელი წევრი. შესამაბისად, 2024 წლის 27 დეკემბრიდან, სამეთვალყურეო საბჭოს შემადგენლობაში არის 2 (ორი) დამოუკიდებელი წევრი. დამოუკიდებელ წევრს საქმიანობის განხორციელებისას აქვს ობიექტური და დამოუკიდებელი ან სხვა გარე მხარის გავლენის/პოტენციური გავლენის გარეშე გადაწყვეტილებების მიღების შესაძლებლობა, ამასთან, დამოუკიდებელ წევრს აქვს შესაძლებლობა უზრუნველყოს ნებისმიერი არსებითი ინტერესთა კონფლიქტის სათანადოდ განხილვა/აღმოფხვრა.
სამეთვალყურეო საბჭო მუდმივად ინარჩუნებს მზადყოფნას, განახორციელოს შესაბამისი ანგარიშგება ზედამხედველ ორგანოსთან საწარმოში არსებული პოლიტიკისა და სტრატეგიების თაობაზე.
კომპანიაში არსებობს სამეთვალყურეო საბჭოს შერჩევის კრიტერიუმებთან შესაბამისობის შესაბამისი პოლიტიკა და პროცედურები. თუ სამეთვალყურეო საბჭოს წევრი ვერ შეასრულებს დაკისრებულ ფუნქციებს ან აღარ შეესაბამება კანონმდებლობით განსაზღვრულ მოთხოვნებს, სამეთვალყურეო საბჭო მიიღებს შესაბამის ზომებს, მათ შორის, მოითხოვოს სამეთვალყურეო საბჭოს წევრის შეცვლას, მაგრამ, ერთდროულად, არაუმეტეს საბჭოს წევრთა ერთი მესამედისა.
საერთო კრების 2024 წლის 27 დეკემბრის გადაწყვეტილებით დამტკიცებული წესდების ახალი რედაქცია ითვალისწინებს სამეთვალყურეო საბჭოს სხდომების, სულ მცირე, კვარტალში ერთხელ ჩატარებას, აუცილებლობის შემთხვევებში, სხდომების სიხშირის გაზრდის პირობით.
საკუთარი ფუნქციების შესრულებისას, სამეთვალყურეო საბჭო, პირველ რიგში, ითვალისწინებს პარტნიორებისა და სხვა დაინტერესებული მხარეების ინტერესებს, ამასთან უზრუნველყოფს პარტნიორებთან და დაინტერესებულ მხარეებთან ეფექტურ კომუნიკაციას და თანამშრომლობას.
კომპანიის სამეთვალყურეო საბჭოს წევრები ინდივიდუალურად და ერთობლივად პასუხისმგებელნი არიან:
ა) კომპანიის ღირებულებების და სამართლიანად მართვის, კომპეტენტურობის, პროფესიონალიზმისა და ეთიკის პრინციპების სრულ დაცვაზე;
ბ) სამეთვალყურეო საბჭოსა და დირექტორთა საბჭოს უფლებამოსილებების შესრულების და ეფექტიანი გადაწყვეტილების მიღების პროცესის უზრუნველყოფაზე;

გ) კომპანიის ეთიკის პრინციპების დაცვაზე, ჯანსაღი კორპორაციული და ეთიკური კულტურის დამყარებასა და შენარჩუნებაზე, მათ შორის არსებულ კანონმდებლობასთან, კორპორაციულ მართვის კოდექსთან, ასევე, კომპანიის ეთიკის კოდექსთან და საწარმოს შიდა სტანდარტებთან მუდმივ შესაბამისობაზე;
დ) კომპანიის ყოველწლიური ბიუჯეტის დამტკიცებაზე, საწარმოს სტრატეგიის განსაზღვრაზე და დირექტორთა საბჭოს მიერ სტრატეგიული მიზნების შესრულების მონიტორინგზე;
ე) დირექტორთა საბჭოს საქმიანობაზე მონიტორინგის განხორციელებაზე და მის მიერ მიღებული გადაწყვეტილებების შეფასებაზე;
ვ) დირექტორთა საბჭოს მიერ სამეთვალყურეო საბჭოს წევრებისთვის საკმარისი ინფორმაციის, მათ შორის დირექტორთა საბჭოს საქმიანობის სამეთვალყურეო საბჭოს მიერ დამტკიცებულ სტრატეგიასა და რისკების მართვის ჩარჩოსთან სრულად შეესაბამისობის შესახებ ინფორმაციის მიწოდების უზრუნველყოფაზე;
ზ) შრომის ანაზღაურების სისტემის გამართულად მუშაობის მონიტორინგზე, მათ შორის დირექტორთა ანაზღაურების საკითხების განხილვაზე და მონიტორინგზე, საწარმოს რისკის კულტურისა და რისკის მართვის ჩარჩოსთან შესაბამისობის უზრუნველყოფაზე;
თ) დირექტორთა საბჭოსა და სხვა მნიშნელოვანი თანამშრომლების ჩანაცვლების ეფექტური სისტემის გამართულად მუშაობაზე და მონიტორინგზე;
სამეთვალყურეო საბჭო სხვა ფუნქციებთან ერთად:
ა) განიხილავს რისკის სტრატეგიებს როგორც აგრეგირებული, ისე ინდივიდუალური რისკის ჭრილში;
ბ) ამზადებს ანგარიშგებას საწარმოში არსებული რისკის კულტურის შესახებ და განიხილავს საწარმოს რისკის პოლიტიკას, სულ მცირე, ყოველწლიურად;
გ) მონიტორინგს უწევს დირექტორთა საბჭოს მხრიდან კომპანიის საქმიანობის რისკის პოლიტიკასთან შესაბამისობის უზრუნველყოფას;
დ) განიხილავს რისკის სტრატეგიებს და სხვადასხვა პოლიტიკის ეფექტურობას, მათ შორის, იდენტიფიცირებული რისკებისთვის საკმარისი კაპიტალის შენარჩუნებასა და განაწილებაზე;
ე) რეგულარულად განიხილავს კომპანიის ანაზღაურების პოლიტიკას. უზრუნველყოფს ანაზღაურების პოლიტიკის ეფექტურობას და მისი კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასებას, მათ შორის ძირითადი საქმიანობის შედეგების ინდიკატორებთან მიმართებით;
ვ) ყოველწლიურად ამზადებს რეკომენდაციებს მმართველი ორგანოს ანაზღაურებასთან დაკავშირებით და წარუდგენს დასამტკიცებლად საერთო კრებას;
ზ) უზრუნველყოფს კომპანიის შიდა მმართველობითი სტრუქტურის შესაბამისობას კორპორაციული მართვის საკითხების მომწესრიგებელ კანონმდებლობის მოთხოვნებთან და ორგანიზაციის შიდა წესებთან/დოკუმენტებთან;
თ) უზრუნველყოფს კომპანიის შიგნით ისეთი გადაწყვეტილებების მიღების სისტემის არსებობას, რომელიც, თავის მხრივ, უზრუნველყოფს გადაწყვეტილებების მიღებისას ორგანიზაციის რეპუტაციული რისკების შეფასებას და ამასთან, სრულ შესაბამისობას კანონმდებლობასთან და ორგანიზაციის შიდა სტანდარტებთან.
ი) განიხილავს დირექტორთა საბჭოს კანდიდატურებს;
კ) რეგულარულად განიხილავს აღმასრულებელი დირექტორის და ფინანსური დირექტორის და სხვა პირთა დანიშვნის საფუძვლებს;
ლ) უზრუნველყოფს, რომ საწარმოში არსებობდეს ადეკვატური პოლიტიკები და პროცედურები დირექტორთა საბჭოს წევრების დანიშვნის, გათავისუფლებისა და გადარჩევის კუთხით. სამეთვალყურეო საბჭო აქტიურად უნდა იყოს ჩართული ამ მიმართულებებით კომპანიაში მიმდინარე პროცესებში;
მ) ჩართული უნდა იყოს კომპანიის ადამიანური რესურსების პოლიტიკის მონიტორინგის პროცესში, ამასთან აქტიურად აფასებდეს დირექტორთა საბჭოს ეფექტურობას;
სამეთვალყურეო საბჭოში ამ ეტაპზე არსებობს მხოლოდ აუდიტის კომიტეტი და არ არსებობს სხვა ფუნქციის მქონე კომიტეტი, თუმცა სამეთვალყურეო საბჭო სრულად უზრუნველყოფს რისკების მართვის, ანაზღაურების, ნომინაციისა და კორპორაციული მართვის კომიტეტების ფუნქციების შესრულებას.

კომპანიის სტრუქტურული ერთეულები უზრუნველყოფენ კომპანიის მიმდინარე რისკის პროფილის, რისკის კულტურასთან დაკავშირებით შესაბამისი აქტივობების, საზღვრების, საზღვრების დარღვევებისა და მიტიგაციის გეგმებთან დაკავშირებით შესაბამის ანგარიშგების სამეთვალყურეო საბჭოსთვის მიწოდებას.
სამეთვალყურეო საბჭოს და აუდიტის კომიტეტს შორის არსებობს ეფექტური კომუნიკაცია და კოორდინაცია, რაც, მათ შორის, მოიცავს ინფორმაციის გაცვლას, ყველა სახის რისკის გათვალიწინებას, მათ შორის, ახლად გამოვლენილი რისკებისა და ასევე ნებისმიერი სახის საჭირო შესწორებების შეტანას საწარმოს რისკის მართვის ჩარჩოში.
სამეთვალყურეო საბჭოს სრული წვდომა აქვს როგორც დირექტორთა საბჭოს, რისკებისა და ფინანსური კონტროლის პერსონალთან, ასევე, სხვა შიდა და გარე მხარეებთან.
სამეთვალყურეო საბჭო ხელს უწყობს კომპანიის ანაზღაურების სისტემის ფუნქციონირებას, აგრეთვე ანაზღაურების სისტემის შეესაბამისობას მის კულტურასთან, გრძელვადიან ბიზნესს და რისკის მართვის ჩარჩოსთან, კომპანიის საქმიანობასთან და კონტროლის გარემოსთან ისევე, როგორც კანონმდებლობის/საზედამხედველო მოთხოვნებთან.
სამეთვალყურეო საბჭოში უზრუნველყოფილია უნარებისა და გამოცდილების ფართო სპექტრი და აღნიშნული გათვალისწინებული იქნება სამეთვალყურეო საბჭოს ახალი წევრის შერჩევის თითოეულ შემთხვევაში.
სამეთვალყურეო საბჭო ყოველწლიურ აფასებს საბჭოს სტრუქტურას, ზომას და შემადგენლობას, ასევე აუდიტის კომიტეტის სტრუქტურას და კოორდინაციას, საბჭოს თითოეული წევრის შესაბამისობას კანონმდებლობისა და კომპანიის შიდა წესების მოთხოვნებთან, აგრეთვე საბჭოს შიდა მმართველობითი პრაქტიკებისა და პროცედურების ეფექტურობას.
სამეთვალყურეო საბჭოს აქვს თვითშეფასების და შეფასების პროცედურები.
სამეთვალყურეო საბჭოს მმართველობითი ანგარიშგების განხილვის და დამტკიცების დღის მდგომარეობით გატარებული აქვს შიდა ღონისძიებები, რომლებიც უზრუნველყოფს შპს ,,აი ჯი დეველოფმენტ ჯორჯიას" კორპორაციული მართვის სისტემის კორპორაციულ მართვის კოდექსის მოთხოვნებთან შესაბამისობას, კომპანიის გამჭირვალობის ხარისხის გაზრდას და ინვესტორთა ნდობის ამაღლებას კომპანიის და მისი მმართველი ორგანოების მიმართ. სამეთვალყურეო საბჭომ დაამტკიცა არაერთი შიდა კორპორაციული დოკუმენტი, რომლის მიზანია კორპორაციული მართვის ძირითადი პრინციპების განსაზღვრა, კომპანიაში დასაქმებული პირების კორპორაციული კულტურის ამაღლება და მათ მიერ კორპორაციული მართვის სხვადასხვა პოლიტიკის ეფექტიანი შესრულება.
კომპანიამ იმუშავა მდგრადი განვითარების მიზნების შესაბამისად, განსაკუთრებული მნიშვნელობა მიანიჭა რესურსების ეფექტურ გამოყენებას და გარემოზე უარყოფითი ზემოქმედების პრევენციას. დაიცვა როგორც საერთაშორისო ასევე ადგილობრივი გარემოსდაცვითი კანონები და რეგულაციები, ოპერაციები აწარმოვა ეკოლოგიური და სოციალური პასუხისმგებლობით, გარემო ფაქტორების ზედმიწევნით გათვალისწინებით, გარემოსდაცვითი თვალსაზრისით გამართლებული და მდგრადი განვითარების პრინციპების დაცვით.

აუდიტის კომიტეტი

კომპანიის სამეთვალყურეო საბჭოში არსებობს ქვეკომიტეტი – აუდიტის კომიტეტი. სამეთვალყურეო საბჭოს 2024 წლის 27 დეკემბრის გადაწყვეტილებით აუდიტის კომიტეტის წევრთა რაოდენობა გაიზარდა და განისაზღვრა 3 (სამი) წევრით. აღნიშნულ პერიოდამდე, აუდიტის კომიტეტი შედგებოდა 2 (ორი) წევრისგან. აუდიტის კომიტეტის წევრებს აქვთ ფინანსური ანგარიშგების ანალიზის უნარი და ფინანსური განათლება/ფინანასური გამოცდილება. კომიტეტის თავმჯდომარე არის სამეთვალყურეო საბჭოს დამოუკიდებელი წევრი, რომელიც არ არის სამეთვალყურეო საბჭოს ან/და სხვა კომიტეტის თავმჯდომარე. საწარმოს მიმდინარე აუდიტის განმახორციელებელი ფირმის/აუდიტორის ყოფილი პარტნიორი ან დირექტორი არ არის საწარმოს აუდიტის კომიტეტის წევრი. კომიტეტის თავმჯდომარის ცვლილება ამ ეტაპზე არ განხორციელებულა, თუმცა კომიტეტის საქმიანობაში ახალი ხედვებისა და მიმართულებების წახალისების საჭიროების შემთხვევაში, კომპანია გონივრული პერიოდულობით განახორციელებს კომიტეტის თავმჯდომარის ცვლილებას.

აუდიტის კომიტეტი იკრიბება წელიწადში ოთხჯერ და წარუდგენს სამეთვალყურეო საბჭოს ანგარიშგებას წლიური და ნახევარწლიური ანგარიშგების დამტკიცების პერიოდის შესაბამისად, საჭიროების შემთხვევაში, მას შეუძლია მოითხოვოს დირექტორთა, შიდა და გარე აუდიტორების და სხვა დაქირავებულ პირების შეხვედრაზე დასწრება. კომიტეტის შეხვედრები წინ უძღვის სამეთვალყურეო საბჭოს სხდომებს.

კომიტეტის მიერ მიღებულ რეკომენდაციებსა და განხილვების შედეგებზე იწარმოება შესაბამისი ჩანაწერები. კომიტეტი გადაწყვეტილებებისა და რეკომენდაციების თაობაზე ანგარიშს რეგულარულად წარუდგენს სამეთვალყურეო საბჭოს.

აუდიტის კომიტეტი თავისი ფუნქციების შესრულებისას ხელმძღვანელობს სამეთვალყურეო საბჭოს მიერ დამტკიცებული კომიტეტის დებულების შესაბამისად, რომელშიც გაწერილია კომიტეტის მანდატი, საქმიანობის მიმართულებები და პროცედურები, მათ შორის კომიტეტის სამეთვალყურეო საბჭოსთან ანგარიშგების, კომიტეტის წევრობასთან დაკავშირებული შეზღუდვების, კომიტეტის წევრთა როლებისა და ფუნქციების შესახებ საკითხები. კომიტეტის დებულება პერიოდულად განახლდება და იქნება საჯაროდ ხელმისაწვდომი.

სამეთვალყურეო საბჭოსთან შექმნილი აუდიტის კომიტეტი სხვა ფუნქციებთან ერთად პასუხისმგებელია:

ა) განსაზღვროს შიდა აუდიტისა და ფინანსური ანგარიშგების პოლიტიკა;

ბ) მონიტორინგი გაუწიოს ფინანსური და არაფინანსური ანგარიშგების შედგენის პროცესებს;

გ) მონიტორინგი გაუწიოს და აქტიურად ითანამშრომლოს საწარმოს შიდა და გარე აუდიტორებთან;

დ) შეაფასოს გარე აუდიტორის ეფექტიანობა, გამოთქვას მოსაზრება გარე აუდიტორთა კანდიდატურებთან დაკავშირებით, წარუდგინოს შესაბამისი რეკომენდაციები სამეთვალყურეო საბჭოს ან აქციონერებს/პარტნიორებს მათ კანდიდატურებთან, დანიშვნასთან, ანაზღაურებასთან ან გათავისუფლებასთან დაკავშირებით;

ე) შეაფასოს შიდა აუდიტის სამსახურის საქმიანობის ეფექტიანობა და დამოუკიდებლობა;

ვ) უზრუნველყოს შიდა და გარე აუდიტორების ფუნქციების ადეკვატურობა, დამოუკიდებლობა და ეფექტური ურთიერთთანამშრომლობა;

ზ) განიხილოს გარე აუდიტორის მიერ მომზადებული სარეკომენდაციო წერილი და მონიტორინგი გაუწიოს დირექტორთა საბჭოს მიერ არსებული ნაკლოვანებების გამოსწორების მიზნით შესაბამის ზომების გატარებას;

თ) განიხილოს და სამეთვალყურეო საბჭოს დასამტკიცებლად წარუდგინოს ჩასატარებელი შიდა აუდიტის ფარგლები და ჩატარების სიხშირე;

ი) მიიღოს შიდა აუდიტის ანგარიშგებები და უზრუნველყოს საწარმოს დირექტორატის მხრიდან სათანადო ღონისძიებების დროულად გატარება აუდიტის პროცესში ან კონტროლის სხვა ფუნქციების მიერ იდენტიფიცირებული კონტროლის სისუსტეების, კანონმდებლობასთან შეუსაბამობის ან სხვა ნაკლოვანებათა აღმოსაფხვრელად;

კ) მონიტორინგი გაუწიოს საწარმოს სააღრიცხვო პოლიტიკისა და პრაქტიკის ჩამოყალიბებას;

ლ) განიხილოს საწარმოს რისკების მართვის მთლიანი ჩარჩო და შიდა კონტროლის სისტემების ეფექტურობა და სტრუქტურა, მათ შორის, განიხილოს მესამე პირთა მოსაზრებები აღნიშნულ საკითხებთან დაკავშირებით.

აუდიტის კომიტეტის წევრებს ჰქონდათ წვდომა დირექტორთა საბჭოს, შიდა აუდიტისა და რისკების მართვის ფუნქციებთან. აუდიტის კომიტეტმა განიხილა გარე აუდიტორთა დამოუკიდებლობის საკითხი.

გარე აუდიტორებზე მთლიანი საანგარიშგებო პერიოდის განმავლობაში გაცემული ანაზღაურება შეადგენს 103,852 ლარს.

გარე აუდიტორებს, აუდიტორული მომსახურებისა გარდა, არ გაუწევია კომპანიისთვის სხვა სახის მომსახურება.

გენერალური დირექტორი

კომპანიის დირექტორი სხვა ფუნქციებთან ერთად, აღასრულებს კომპანიის ბიზნეს სტრატეგიებს, სამეთვალყურეო საბჭოსთან ერთად შექმნილი აქვს ფინანსური და არაფინანსური რისკების, მათ შორის

მდგრადი განვითარების, გარემოსდაცვითი, სოციალური და მართვის ეფექტური სისტემები, რისკის კულტურა, აწვდის სამეთვალყურეო საბჭოს ფუნქციების შესრულებისთვის საჭირო ინფორმაციას. აღნიშნული, მათ შორის, მოიცავს იმ ინფორმაციას, რაც საჭიროა სამეთვალყურეო საბჭოს მიერ დირექტორთა საბჭოს საქმიანობის შეფასებისა და ზედამხედველობის ფუნქციის ეფექტურად შესრულებისთვის. სამეთვალყურეო საბჭოს რეგულარულად მიეწოდება ინფორმაცია კომპანიის მნიშვნელოვან საკითხებსა და პრობლემებზე. კომპანიის დირექტორი ასევე პასუხისმგებელია კომპანიის თანამშრომელთა ფუნქცია-მოვალეობების სწორად გადანაწილებასა და ეფექტური მმართველობის სტრუქტურის შექმნაზე, რომელიც უზრუნველყოფს კომპანიის შიგნით ანგარიშვალდებულებასა და გამჭვირვალობას.
კომპანიის დირექტორის ფუნქციები და პასუხისმგებლობები განსაზღვრულია საწარმოს წესდებით.
კომპანიის დირექტორს გააჩნია საჭირო გამოცდილება, კომპეტენცია და რესურსები, აგრეთვე სათანადო კვალიფიკაცია და უნარები.
კომპანიის დირექტორი პასუხისმგებელია საწარმოს შიდა ოპერაციებზე, შესაბამისობასა და საქმიანობაზე. მის დანიშვნაზე გადაწყვეტილებას სამეთვალყურეო საბჭო იღებს.
კომპანიის დირექტორს გააჩნია თავისი ფუნქციების შესრულებისთვის აუცილებელი დრო, რესურსი, სათანადო კვალიფიკაცია, პროფესიული გამოცდილება, შესაბამისი კომპეტენცია, საქმის და საწარმოს მდგრადი განვითარებისადმი კეთილსინდისიერი დამოკიდებულება.

კორპორაციული მდივნის ფუნქციები

კომპანიას ჰყავს კორპორაციული მდივანი, რომელიც:
ა) ეხმარება საერთო კრებას, სამეთვალყურეო საბჭოს (კომიტეტის ჩათვლით) და დირექტორთა საბჭოს თავიანთი საქმიანობის განხორციელებაში;
ბ) აძლევს სამეთვალყურეო საბჭოს და დირექტორთა საბჭოს კორპორაციულ დოკუმენტაციასთან და პროცედურულ საკითხებთან დაკავშირებულ რჩევებს;
გ) მჭიდროდ თანამშრომლობს სამეთვალყურეო საბჭოს და დირექტორთა საბჭოსთან მათი სხდომის დღის წესრიგის შედგენისა და დაგზავნის, სხდომის ორგანიზებისა და ჩატარების, აგრეთვე, შეტყობინებების დაგზავნის საკითხებში;
დ) საჭიროების შემთხვევაში, გეგმავს საჭირო ტრენინგებს და მოსამზადებელ საორიენტაციო შეხვედრებს უკვე მომუშავე თუ ახლად დანიშნულ/არჩეულ სამეთვალყურეო საბჭოსა და დირექტორთა საბჭოს წევრებისათვის;
ე) აწარმოებს და ინახავს ყველა კორპორაციულ დოკუმენტს, ოქმი თუ სხვა საჭირო საბუთს და ინფორმაციას მინიმუმ 6 წლის ვადით;
ვ) ახორციელებს დამაკავშირებელი რგოლის ფუნქციას პარტნიორებს, სამეთვალყურეო საბჭოსა და დირექტორთა საბჭოს შორის;
ზ) ორგანიზებას უკეთებს პარტნიორთა საერთო კრების ჩატარებას, რიგგარეშე კრების მოწვევას და უზრუნველყოფს ყველა საჭირო ვადებისა და პროცედურების დაცვას კრების ჩასატარებლად. უზრუნველყოფს, რომ კრების ოფიციალური მოწვევის განმახორციელებელ პირს მიეწოდოს სრული ინფორმაცია იმ საკითხების შესახებ, რომელთა დღის წესრიგში შეტანა, კანონმდებლობის და წესდების დაცვით, მოთხოვნილ იქნა აქციონერთა/პარტნიორთა, სამეთვალყურეო საბჭოსა თუ დირექტორთა საბჭოს წევრების მიერ;
თ) უზრუნველყოფს მარეგულირებელი/ზედამხედველი ორგანოების მიერ მიღებულ კორპორაციულ მართვასთან დაკავშირებულ საკანონმდებლო და ასევე, საწარმოს მიერ მიღებული კორპორაციული მართვის კოდექსით გათვალისწინებულ პრინციპებთან შესაბამისობას;
ი) ახორციელებს სამეთვალყურეო საბჭოს სხდომების, აგრეთვე პარტნიორთა საერთო კრების მდივნის ფუნქციას და აწარმოებს ოქმებს.
კორპორაციული მდივანის ფუნქციების განმახორციელებელი პირი ახორციელებს საწარმოს მმართველი ორგანოს, პარტნიორებისა და სხვა დაინტერესებული პირების ინფორმაციულ და ორგანიზაციულ უზრუნველყოფას. კორპორაციული მდივანის ფუნქციების შესრულების დროს, აღნიშნული პირი ექვემდებარება სამეთვალყურეო საბჭოს.

სამეთვალყურეო საბჭოს დეტალურად აქვს განსაზღვრული კორპორაციული მდივნის ფუნქციების განმახორციელებელი პირის უფლებები და ვალდებულებები, ფუნქციების ჩამონათვალი, საჭირო განათლებისა და კვალიფიკაციის შესახებ მოთხოვნები.
კორპორაციული მდივანის ფუნქციების განმახორციელებელი პირი არ არის კომპანიის მმართველი ორგანოს წევრი და არ აქვს მინიჭებული გადაწყვეტილებების მიღების უფლებამოსილება, ამასთან, არ არის დაკავშირებული კომპანიასთან ისეთი ფორმით, რამაც შეიძლება ხელი შეუშალოს მას თავისი მოვალეობების მიუკერძოებლად და დამოუკიდებლად შესრულებაში.

შვილობილი კომპანია

შპს ,,აი ჯი დეველოფმენტ ჯორჯია" წარმოადგენს ჰოლდინგურ კომპანიას. მისი შვილობილი კომპანიის – შპს ,,სითი დეველოფმენტის" მმართველობითი სისტემის შექმნასა და ფუნქციონირებაზე პასუხისმგებელია შპს ,,აი ჯი დეველოფმენტ ჯორჯიას" სამეთვალყურეო საბჭო. შვილობილი კომპანიის მმართველობითი სისტემა შეესაბამდება ჯგუფის სტრუქტურას, ბიზნეს-საქმიანობასა და რისკებს.
შპს ,,აი ჯი დეველოფმენტ ჯორჯიას" სამეთვალყურეო საბჭო სრულად ფლობს ინფორმაციას იმ არსებითი რისკებისა და საკითხების შესახებ, რასაც შესაძლოა გარკვეული გავლენა ჰქონდეს მასზე და მის შვილობილ საწარმოზე. შპს ,,აი ჯი დეველოფმენტ ჯორჯიას" სამეთვალყურეო საბჭო ახორციელებს მონიტორინგს შვილობილ კომპანიაზე, თუმცა ამ პროცესში შენარჩუნებულია შპს ,,სითი დეველოფმენტის" მმართველი ორგანოს სამართლებრივი და მმართველობითი პასუხისმგებლობა.
შპს ,,სითი დეველოფმენტის" დირექტორი პასუხისმგებელია კომპანიის (იგულისხმება შპს ,,სითი დეველოფმენტი") შიგნით რისკების მართვის ეფექტური პროცესების შენარჩუნებაზე. მშობელი და შვილობილი საწარმოები ხელს უწყობენ ჯგუფის დონეზე რისკების მართვის ეფექტურობას.
შპს ,,აი ჯი დეველოფმენტ ჯორჯიას" მმართველი ორგანო აფასებს ჯგუფის ცალკეული პოლიტიკის შესაბამისობას ადგილობრივ კანონმდებლობასა და საზედამხედველო მოთხოვნებთან და საჭიროების შემთხვევაში, შეიტანს ცვლილებებს და შესწორებებს, თუ ჯგუფის პოლიტიკები არ იქნება შესაბამისობაში საკანონმდებლო/საზედამხედველო მოთხოვნებთან ან/და აღნიშნული ზიანის მომტანი იქნება შვილობილი საწარმოს ჯანსაღი და პრუდენციული მართვის მიზნებისათვის.
კომპანიის სამეთვალყურეო საბჭო ეფექტურობის გაზრდის მიზნით პერიოდულად მიმოიხილავს შვილობილი კომპანიის სტრუქტურას, მისი კონტროლისა და საქმიანობის შესახებ ისევე, როგორც ინფორმაციას მის მიერ დამტკიცებულ სტრატეგიასთან შესაფერისობის თაობაზე.

რისკის მართვა და შიდა კონტროლი

რისკების მართვის სისტემის შექმნასა და მონიტორინგზე საბოლოო პასუხისმგებლობა სამეთვალყურეო საბჭოს აკისრია. საწარმოს რისკის იდენტიფიცირების, შემცირებისა და მონიტორინგის სისტემები შეესაბამება საწარმოს ზომით კატეგორიას კომპლექსურობასა და რისკის პროფილს.
სამეთვალყურეო საბჭო სრულყოფილად იცნობს კომპანიის ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებას, საწარმოს რისკებს, მათ შორის გარემოსდაცვით და სოციალურ რისკებს, ასევე, რისკებს ჯგუფისა და ბიზნეს საქმიანობის დონეზე, რაც მოიცავს როგორც მიმდინარე რისკების შესახებ ანალიზს, ასევე ახალი და მომავალი რისკების იდენტიფიცირების საკითხებს.
კომპანიაში დოკუმენტურად არის განსაზღვრული საწარმოს რისკის მართვის ჩარჩო, რომელიც მჭიდროდ ებმის საწარმოს სტრატეგიას, კაპიტალს, ფინანსურ გეგმებსა და ანაზღაურების პრაქტიკებს.
რისკის მართვის ჩარჩო არის თანმიმდევრული და გასაგები, გათვლილი საწარმოს მოკლევადიან, საშუალოვადიან და გრძელვადიან პერსპექტივებზე. სამეთვალყურეო საბჭომ გადახედა რისკის მართვის ჩარჩოს.
კომპანიას გააჩნია რისკების მართვის სისტემა და დამტკიცებული პროცესები/პროცედურები ახალ პროდუქტებთან თუ მომსახურებასთან, გარემოსდაცვით და სოციალურ საკითხებთან, ბიზნეს ხაზთან და მსხვილ და კომპლექსურ ტრანზაქციებთან, გამოყენებულ ტექნოლოგიებსა და მათ

უსაფრთხოებასთან მიმართებით, რაც მნიშვნელოვან რესურსებს მოითხოვს ან/და რთულად განსაზღვრადი რისკები აქვს.
რისკების იდენტიფიცირება და შეფასების მიდგომები არსებობს შპს ,,აი ჯი დებელოფმენტ ჯორჯიას" შვილობილ კომპანიაშიც.
სამეთვალყურეო საბჭომ განიხილა დირექტორთან საწარმოს ძირითადი პოლიტიკები და კონტროლის მექანიზმები.
რისკების ეფექტური მართვის ფუნქციის მიზნებისთვის, კომპანიაში დანერგილია ჯანსაღი შიდა კონტროლის სისტემები. შიდა კონტროლის სისტემების მართვას და ეფექტურად ფუნქციონირებას უზრუნველყოფს სამეთვალყურეო საბჭო. ამ მიზნით:
ა) სამეთვალყურეო საბჭოს ჰქონდა სრულ წვდომა კომპანიაში არსებულ ინფორმაციასთან, ჩანაწერებთან, ოქმებთან და სხვა მონაცემებთან;
ბ) სამეთვალყურეო საბჭომ შეაფასა რისკების მართვის სისტემების და პროცესების ეფექტიანობა;
გ) სამეთვალყურეო საბჭომ შეაფასა რისკების მართვის სისტემის შესაბამისობა შიდა და საერთაშორისო პროფესიულ სტანდარტებთან;
დ) სამეთვალყურეო საბჭომ მიმოიხილა დირექტორთა საბჭოს მხრიდან რისკებთან დაკავშირებული რეკომენდაციები;
იდენტიფიცირებულ პრობლემურ საკითხებსა და შეფასების შედეგებზე დაუყოვნებლივ მიეწოდა ინფორმაცია კომპანიის დირექტორს.
აუდიტის კომიტეტმა შეაფასა კომპანიის შიდა კონტროლის და რისკების მართვის სისტემების ეფექტურობა და ამის თაობაზე მოახსენა პარტნიორთა საერთო კრებას.
კომპანიაში არსებოებს რისკების მართვის ჩარჩო, რომელშიც გათვალისწინებულია კონკურენტული გარემო, შესაძლო სამომავლო რეგულაციები, გარემოსდაცვითი, სოციალური და მმართველობის საკითხები, საწარმოს გრძელვადიანი ინტერესები, რისკების ეფექტური მართვის, მონიტორინგისა და შიდა კონტროლის ფუნქციები;

შრომის ანაზღაურების პოლიტიკა

კომპანიას დოკუმენტურად აქვს განსაზღვრული ანაზღაურების პოლიტიკა, რაც სხვა საკითხებთან ერთად მოიცავს საქმიანობის შესაბამის ზომებს, ანაზღაურების ფორმებსა და მათ კომბინაციებს, მათ შორის, ფიქსირებული და ცვალებადი ანაზღაურების ფორმებს, ბონუსური სისტემის ელემენტებს და ასევე გადახდების გრაფიკებისა და პერიოდულობის საკითხებს. სამეთვალყურეო საბჭომ დაამტკიცა ანაზღაურების პოლიტიკა, ოდენობა და ამასთან, განახორციელა მონიტორინგი. ანაზღაურების პოლიტიკა შეიცავს კორპორაციული მართვის კოდექსით გათვალისწინებულ ელემენტებს.
მმართველი ორგანოს ანაზღაურების ოდენობისა და სტრუქტურის დამტკიცებაზე პასუხისმგებელია საერთო კრება.
კომპანიის ანაზღაურების პოლიტიკა შეესაბამება კომპანიის საერთო სტრატეგიას, კორპორატიულ კულტურას, ბიზნეს საქმიანობას და საბაზრო პრაქტიკას, აგრეთვე არის კონკურენტუნარიანი საქართველოს შრომის ბაზარზე არსებულ შესაბამის პოზიციებთან შედარებით.
ანაზღაურების სისტემა შედგება ფიქსირებული და ცვალებადი ანაზღაურებისგან. სახელმწიფო საპენსიო სქემაში მონაწილეობის უფლება აქვს ყველა დასაქმებულს. კომპანია თავაზობს დასაქმებულებს კორპორატიული ჯანმრთელობის დაზღვევის პაკეტს.
კომპანიის მმართველობითი ორგანოს წევრების ანაზღაურება განისაზღვრება შემდეგი ოდენობით: 6,700,755 ლარით.
დირექტორთა საბჭოს მიერ ანაზღაურების სისტემის ეფექტური ფუნქციონირების მონიტორინგზე პასუხისმგებელია სამეთვალყურეო საბჭო, რომელმაც შეაფასა ანაზღაურების გეგმები, პროცესები და შედეგები.
კომპანიის დირექტორის ანაზღაურება არის საკმარისი, მაგრამ არა გაუმართლებლად დიდი, ანაზღაურების განსაზღვრისას გათვალისწინებული იყო დირექტორის მოვალეობები და პასუხისმგებლობა, აგრეთვე საწარმოს ფინანსური, საოპერაციო მაჩვენებლები და კონკურენტების პოზიციები ბაზარზე.

სამეთვალყურეო საბჭოს წევრთა ანაზღაურება შეესაბამება მათ ჩართულობას, დაკისრებულ პასუხისმგებლობებს, გაწეულ ძალისხმევასა და დროის რესურსს. ანაზღაურება რისკის ქვეშ არ აყენებს მათ დამოუკიდებლობას. სამეთვალყურეო საბჭოს წევრთა 2024 წლის ანაზღაურება იყო ფიქსირებული.

პარტნიორთა და სხვა მონაწილე პირთა უფლებები

კომპანიის პარტნიორი კარგად აცნობიერებს კორპორაციული მართვის პრინციპებს და აქვს შესაბამისი განმარტებები კოდექსიდან გადახვევის შემთხვევაში, ასევე, აქვს საშუალება გამოთქვას თავისი დასაბუთებული მოსაზრება აღნიშნულთან დაკავშირებით.

სამეთვალყურეო საბჭომ და დირექტორმა უზრუნველყო: ა) თანაბარი მოპყრობა ფასიანი ქაღალდების ყველა მფლობელის მიმართ; ბ) ინფორმაციისა და საშუალებების ხელმისაწვდომობა ფასიანი ქაღალდების მფლობელთა უფლებების სათანადოდ განსახორციელებლად; და გ) ფასიანი ქაღალდის მფლობელთა უფლებების და ფასიანი ქაღალდების პირობების ცვლილების გასაჯაროვება შესაბამისი წესით.

კომპანიის პარტნიორს აქვთ შესაძლებელობა დაიცვას საკუთარი უფლებები და კანონით გათვალისწინებულ შემთხვევებში, მოითხოვოს მიყენებული ზიანის ანაზღაურება.

კომპანიის პარტნიორს შეუძლია სამეთვალყურეო საბჭოსა და დირექტორისაგან მოითხოვოს საჭირო ინფორმაციის მიღება, ასევე რიგგარეშე საერთო კრების მოწვევა მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

სამეთვალყურეო საბჭო და დირექტორი პარტნიორთა საერთო კრების მეშვეობით უზრუნველყოფს ეფექტურ და სამართლიან ურთიერთობას პარტნიორებთან, ამასთან ხელს უწყობს პარტნიორის აქტიურ მონაწილეობას საერთო კრების მუშაობაში.
საერთო კრების მუშაობას უხელმძღვანელა სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარემ. მმართველი ორგანოს და აუდიტის კომიტეტების ყველა წევრი ესწრებოდა საერთო კრებას. კომპანიამ გაასაჯაროვა საერთო კრების ოქმი.

კომპანიაში დანერგილია პოლიტიკა, რომელიც ითვალისწინებს დაინტერესებულ მხარეთა ინტერესებს და უზრუნველყოფს ინფორმაციის გამჟღავნების ადეკვატურ დონეს.
კომპანიის ვებ-გვერდი გამართულად ფუნქციონირებს. ინვესტორებს და დაინტერესებულ პირებს აქვთ წვდომა კომპანიის ფინანსურ და სხვა სახის ინფორმაციაზე, მათ შორის კორპორაციულ მართვასთან და გარემოსდაცვით, სოციალურ მმართველობასთან დაკავშირებულ ინფორმაციაზე.
სამეთვალყურეო საბჭოსა და დირექტორს გააზრებული აქვთ დაინტერესებულ მხარეთა უფლებები და ინტერესები, ამასთან უზრუნველყოფილია მათთან ეფექტური ურთიერთობა.

ანონიმური ინფორმირების სისტემა

კომპანიაში დანერგილია ანონიმური მხილების ეფექტური სისტემა, რომლის ფარგლებშიც თანამშრომლებს და დაინტერესებულ მხარეებს შეუძლიათ უკანონო/შეუსაბამო/არაეთიკური ფაქტების კონფიდენციალურად, ყოველგვარი დისკრიმინაციული და არასათანადო მოპყრობის საფრთხის გარეშე დაფიქსირება. ანონიმური მხილების სისტემის სათანადო აღსრულების საკითხებზე მონიტორინგს ახორციელებს სამეთვალყურეო საბჭომ.

პასუხისმგებლობის განცხადება

მმართველობითი ანგარიშგება და კონსოლიდირებული და ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგება მომზადდა მოქმედი კანონმდებლობისა და რეგულაციების შესაბამისად.

ჩვენ ვადასტურებთ, რომ ჩვენი ცოდნის მიხედვით:

• ჯგუფის (კომპანია მის შვილობილ კომპანიასთან ერთად) ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ფასს სტანდარტების შესაბამისად და იძლევა უტყუარ და სამართლიან თვალსაზრისს ჯგუფის აქტივების, ვალდებულებების, ფინანსური მდგომარეობისა და მოგება ან ზარალის შესახებ და, მთლიანობაში, კონსოლიდაციაში შემავალ ვალდებულებებს;

• მმართველობითი ანგარიშგება მოიცავს ჯგუფის პოზიციის, ბიზნესის განვითარების, საქმიანობის შედეგის სამართლიან მიმოხილვას, არსებული ძირითადი რისკებისა და გაურკვევლობების აღწერასთან ერთად;

• მმართველობითი ანგარიშგება და კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება, მთლიანობაში, არის სამართლიანი, დაბალანსებული, გასაგები და მოიცავს საჭირო ინფორმაციას ჯგუფის პოზიციის, საქმიანობის შედეგის, ბიზნესისა და სტრატეგიის შესაფასებლად,

პასუხისმგებლობის განცხადება დამტკიცებულია სამეთვალყურეო საბჭოსა და დირექტორთა საბჭოს მიერ:

2025 წლის 7 მაისი

_____	_____
მინდია საბანაძე	ლევან მესხელი
სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარე	გენერალური დირექტორი

შპს აი ჯი დეველოფმენტ ჯორჯია ჯგუფი

ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტებით მომზადებული კონსოლიდირებული და ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგება და დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა

2024 წლის 31 დეკემბერი

შპს აი ჯი დეველოფმენტ ჯორჯია ჯგუფი

შინაარსი

ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობის ანგარიში 2024 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წლის მდგომარეობით ფინანსური ანგარიშგებისა და მმართველობითი ანგარიშის მომზადებასა დამტკიცებაზე.....1-2

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა.....3-8

კონსოლიდირებული და ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგება

ფინანსური მდგომარეობის კონსოლიდირებული ანგარიშგება 9
მოგების ან ზარალის და სხვა სრული შემოსავლის კონსოლიდირებული ანგარიშგება 10
საკუთარი კაპიტალის ცვლილებების კონსოლიდირებული ანგარიშგება.....11
ფულადი ნაკადების კონსოლიდირებული ანგარიშგება.....12
ფინანსური მდგომარეობის ინდივიდუალური ანგარიშგება 13
მოგების ან ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ინდივიდუალური ანგარიშგება 14
საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ინდივიდუალური ანგარიშგება.....15
ფულადი ნაკადების ინდივიდუალური ანგარიშგება.....16

კონსოლიდირებული და ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

1 აი ჯი დეველოფმენტ ჯორჯია და მისი საქმიანობა.....17
2 ჯგუფის საოპერაციო გარემო 17
3 ბუღალტრული აღრიცხვის მნიშვნელოვანი პოლიტიკები.....18
4 მნიშვნელოვანი საღრიცხვო შეფასებები და განსჯა საღრიცხვო პოლიტიკის გამოყენებისას.....32
5 ახალი და შესწორებული ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების მიღება 33
6 ნაშთები და ოპერაციები მეკავშირე მხარეებთან 36
7 საინვესტიციო ქონება.....38
8 ძირითადი საშუალებები.....39
9 ინვესტიცია შვილობილ საწარმოში 40
10 მარაგებისთვის განკუთვნილი საკუთრება.....41
11 გაცემული სესხები 42
12 სავაჭრო და სხვა მოთხოვნები.....48
13 ფული და ფულის ეკვივალენტები და შეზღუდული ფული 50
14 საწესდებო და მთლიანად ანაზღაურებული საქციო კაპიტალი 51
15 ნასესხები სახსრები.....51
16 მარაგებისთვის განკუთვნილი ქონებისთვის მიღებული ავანსები.....54
17 სავაჭრო და სხვა ვალდებულებები 54
18 მოიჯარეებისგან მიღებული ავანსები 55
19 ამონაგები.....55
20 სხვა საოპერაციო შემოსავალი.....56
21 პირდაპირი საოპერაციო ხარჯები.....56
22 ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯები.....57
23 ფინანსური (ხარჯები) / შემოსავალი, ნეტო 58
24 გაუთვალისწინებელი მოვლენები და ვალდებულებები.....58
25 ფინანსური რისკის მართვა.....60
26 კაპიტალის მართვა.....67
27 რეალური ღირებულების შეფასება.....67
28 ფინანსური ინსტრუმენტების წარდგენა შეფასების კატეგორიების მიხედვით.....69
29 საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები.....70
30 ფინანსური ანგარიშგების დამტკიცება.....70

კონსოლიდირებული და ინდივიდუალური მმართველობის ანგარიშგება.....71

შპს აი ჯი დეველოფმენტ ჯორჯია ჯგუფი

ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობის ანგარიში 2024 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წლის მდგომარეობით ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და დამტკიცებაზე

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია კონსოლიდირებული და ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგების მომზადებაზე, რომელიც სამართლიანად ასახავს შპს „აიჯი დეველოფმენტ ჯორჯიას“ („კომპანია“) და მისი შვილობილი კომპანიების (ერთობლივად „ჯგუფი“) ფინანსურ მდგომარეობას 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, მისი ოპერაციების შედეგებს, კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგებასა და ფულადი ნაკადების ანგარიშგებას ამავე თარიღით დასრულებული წლისათვის, ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების („ფასს“) შესაბამისად, როგორც ეს გამოქვეყნებულია საერთაშორისო ბუღალტრული აღრიცხვის სტანდარტების საბჭოს მიერ. ხელმძღვანელობა აგრეთვე პასუხისმგებელია მმართველობის ანგარიშის მომზადებაზე ბუღალტრული აღრიცხვის, ფინანსური ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ საქართველოს კანონის შესაბამისად.

ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას, ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია:

- სათანადო ბუღალტრული პრინციპების არჩევასა და მათ თანმიმდევრულ შესრულებაზე;
- ინფორმაციის წარდგენაზე, ბუღალტრული პოლიტიკის ჩათვლით, რომელიც უზრუნველყოფს მართებულ, საიმედო, შესადარის და გასაგებ ინფორმაციას;
- დამატებითი ინფორმაციის წარდგენის უზრუნველყოფაზე, იმ შემთხვევაში, თუ ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების სპეციფიური მოთხოვნები არ არის საკმარისი იმისათვის, რომ მომხმარებელმა გააანალიზოს კონკრეტული გარიგების, სხვა მოვლენებისა და პირობების გავლენა კომპანიის ფინანსურ მდგომარეობასა და შედეგებზე;
- კომპანიის მიერ ფუნქციონირებადი საწარმოს დაშვების პრინციპის საფუძველზე მუშაობის უნარის შეფასებაზე;
- მმართველობის ანგარიშში ბუღალტრული აღრიცხვის, ფინანსური ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ საქართველოს კანონით გათვალისწინებული ინფორმაციის განმარტებაზე;
- მმართველობის ანგარიშის მომზადებაზე ფინანსური ანგარიშგების შესაბამისად.

ხელმძღვანელობა აგრეთვე პასუხისმგებელია:

- კომპანიაში ეფექტური და მყარი შიდა კონტროლის სისტემის შემუშავებაზე, დანერგვასა და შენარჩუნებაზე;
- ისეთი ბუღალტრული ჩანაწერების წარმოებაზე, რომელიც წარმოადგენს და ხსნის კომპანიის გარიგებებს და ნებისმიერ დროს უზრუნველყოფს კომპანიის ფინანსური მდგომარეობის საკმარისი სიზუსტით წარდგენას და ფასს-ის მოთხოვნებთან ფინანსური ანგარიშგების შესაბამისობას;
- სავალდებულო ბუღალტრული ჩანაწერების წარმოებაზე საქართველოს კანონმდებლობისა და ბუღალტრული სტანდარტების შესაბამისად;
- კომპანიის აქტივების უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად საჭირო ქმედებების განხორციელებასა; და
- თაღლითობისა და სხვა დარღვევების აღმოჩენასა და თავიდან აცილებაზე.

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია მმართველობის ანგარიშის მომზადებაზე „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონის (კანონი) მოთხოვნის შესაბამისად, და იმგვარი შიდა კონტროლის სისტემის არსებობის უზრუნველყოფაზე, რომელიც, მისი აზრით, აუცილებელია ისეთი მმართველობის ანგარიშის მოსამზადებლად, რომელიც არ შეიცავს შეცდომით ან თაღლითობით გამოწვეულ არსებით უზუსტობებს.

შპს აი ჯი დეველოფმენტ ჯორჯია ჯგუფი

ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობის ანგარიში 2024 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წლის მდგომარეობით ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და დამტკიცებაზე

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია შემდეგზე:

- 2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლის მმართველობის ანგარიში მომზადებულია „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგების და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონის მოთხოვნების დაცვით;
- 2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლის მმართველობის ანგარიში მოიცავს „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგების და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებულ ინფორმაციას; და
- 2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლის მმართველობის ანგარიშში მოყვანილი ინფორმაცია ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით შეესაბამება 2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის მომზადებულ ფინანსურ ანგარიშგებას.

2024 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის წარმოდგენილი კონსოლიდირებული და ცალკეული ფინანსური ანგარიშგებები და მმართველობის ანგარიში კომპანიის მენეჯმენტის მიერ დამტკიცებულია გამოსაშვებად 2025 წლის 7 მაისს.

დირექტორთა საბჭოს სახელით:

გენერალური დირექტორი	**ფინანსური დირექტორი**
ლევან მესხელი	**ლაშა კახიშვილი**
თბილისი, საქართველო	**თბილისი, საქართველო**

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა

შპს „აიჯი დეველოფმენტ ჯორჯიას“ აქციონერებსა და სამეთვალყურეო საბჭოს

პირობითი მოსაზრება

ჩვენ ჩავატარეთ შპს „აიჯი დეველოფმენტ ჯორჯიას“ („კომპანია“) და მისი შვილობილი კომპანიის (ერთობლივად „ჯგუფი“) კონსოლიდირებული და ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგების აუდიტი, რომელიც მოიცავს 2024 წლის 31 დეკემბრისთვის ფინანსური მდგომარეობის, 2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლის მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგებებს, კაპიტალის ცვლილების ანგარიშგებასა და ფულადი ნაკადების ანგარიშგებას და ფინანსური ანგარიშგების ახსნა-განმარტებით შენიშვნებს, ბუღალტრული აღრიცხვის მნიშვნელოვანი პოლიტიკების მოკლე მონახაზის ჩათვლით.

ჩვენი აზრით, წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგება, ჩვენი დასკვნის ქვეთავში „პირობითი მოსაზრების საფუძველი“ აღწერილი საკითხის გარდა, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით, სამართლიანად ასახავს კომპანიისა და ჯგუფის ფინანსურ მდგომარეობას 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, მისი საქმიანობის შედეგებსა და ფულად ნაკადებს მოცემული თარიღით დასრულებული წლისათვის ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების (ფასს) შესაბამისად როგორც ეს გამოქვეყნებულია საერთაშორისო ბუღალტრული აღრიცხვის სტანდარტების საბჭოს მიერ.

პირობითი მოსაზრების საფუძველი

როგორც ეს აღწერილია კონსოლიდირებული და ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგების მესამე შენიშვნაში, ჯგუფისა და კომპანიის საინვესტიციო ქონება მოცემულია თვითღირებულებით, აუცილებლობის შემთხვევაში, დაგროვილი ცვეთისა და გაუფასურების ანარიცხების გამოკლებით. სტანდარტის ბასს 40 „საინვესტიციო ქონება“ და სტანდარტის ფასს 13 „სამართლიანი ღირებულების შეფასება“ მოთხოვნების მიუხედავად, კონსოლიდირებულ და ინდივიდუალურ ფინანსურ ანგარიშგებაში არ არის მოცემული საინვესტიციო ქონების სამართლიანი ღირებულების განმარტება. იმ პირობებში, როდესაც მენეჯმენტისეული შეფასება მოცემული არ იყო, ჩვენ შეუძლებლად ჩავთვალეთ ჩვენი ანგარიშის ამ თავში გამოტოვებული განმარტებების შეტანა.

აუდიტი ჩატარდა აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების (ასს) შესაბამისად. აღნიშნული სტანდარტებით განსაზღვრული ჩვენი პასუხისმგებლობა განმარტებულია ჩვენი ანგარიშის ქვეთავში *“აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე”*. ჩვენ ვმოქმედებდით ჯგუფისგან დამოუკიდებლად, როგორც ამას მოითხოვს ბუღალტერთა ეთიკის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს დოკუმენტი “პროფესიონალ ბუღალტერთა ეთიკის კოდექსი” (პბეკ კოდექსი). შესაბამისად, ჩვენ მიერ შესრულებული ეთიკური ვალდებულებები შეესაბამებოდა როგორც პბეკ კოდექსის, აგრეთვე საქართველოში ფინანსური ანგარიშგების აუდიტისათვის დადგენილი მოთხოვნებით განსაზღვრულ სტანდარტებს. ჩვენი ღრმა რწმენით, ჩვენ მიერ მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულებები საკმარისია პროფესიული დასკვნის გასაკეთებლად.

აუდიტისათვის საყურადღებო საკითხი

აუდიტისთვის საყურადღებო საკითხებია ის საკითხები, რომლებიც, ჩვენი პროფესიული შეფასებით, ყველაზე მნიშვნელოვანი იყო მიმდინარე პერიოდის კონსოლიდირებული და ცალკეული ფინანსური ანგარიშგების აუდიტის დროს. ეს საკითხები განხილული იქნა მთლიანად კონსოლიდირებული და ცალკეული ფინანსური ანგარიშგების აუდიტის კონტექსტში და მათზე ჩვენი დასკვნის ფორმირებისას და ჩვენ არ წარმოვადგენთ ცალკე დასკვნას ამ საკითხებზე.

რატომ ჩაითვალა ეს საკითხი აუდიტისათვის საყურადღებოდ	**როგორ მივუდექით საკითხს აუდიტის პროცესში**
მეკავშირე მხარეებზე გაცემული სესხების მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის ანარიცხების შეფასება როგორც ეს ნაჩვენებია ფინანსური ანგარიშგების მე-11 შენიშვნაში, ჯგუფის მიერ გაცემული სესხების მთლიანი ღირებულება 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით შეადგენს 145,871,143 ლარს (კომპანიის მიერ გაცემული სესხები: 142,816,911 ლარი), ხოლო შესაბამისი მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის ანარიცხები - 21,177,650 ლარს (კომპანიისათვის: 20,541,556 ლარი). სესხების მნიშვნელობის გათვალისწინებით, მენეჯმენტი მოსალოდნელ საკრედიტო ზარალს განსაზღვრავს ჯგუფურად ან ინდივიდუალურად. მენეჯმენტისეული განსჯის მნიშვნელობისა და სუბიექტურობის, აგრეთვე, სესხების მოცულობის გამო, მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის შეფასება ჩავთვალეთ აუდიტისათვის საყურადღებო საკითხად. კერძოდ, განსაკუთრებული ყურადღება დავუთმეთ სესხებზე მსზ-ის შეფასებაში გამოყენებულ საბაზისო ინფორმაციას, რაც შეიძლება შეცდომებს შეიცავდეს. მსზ-ის შეფასებაში გამოყენებული ინფორმაციის მცდარობამ შეიძლება უარყოფითად იმოქმედოს ისეთ რისკ-ფაქტორებზე, როგორებიცაა დეფოლტის ალბათობა (PD), ზარალი დეფოლტის შემთხვევაში (LGD), სარისკო თანხა დეფოლტის ქვეშ (EAD), მიგრაციის მატრიცა, რომელიც დეფოლტების სტატისტიკას ეფუძნება და ზარალის განაკვეთები.	ჩვენ შევისწავლეთ მსზ-ის რეზერვირების პროცესი და კონტროლის პროცედურები, კერძოდ, შემდეგი შემთხვევებისა: საკრედიტო რისკის საგრძნობი ზრდისა (SICR ან „მე-2 ეტაპი“) და კრედიტგაუარესებული სეხების („მე-3 ეტაპი“) დადგენა, მსზ-ის მოდელირება; დავადგინეთ, სათანადოდ აისახება თუ არა ეს ეტაპები მსზ-ის გამომთვლელ მეთოდში. გაუფასურებაზე ჯგუფურად შემოწმებული სესხებისთვის ჩვენ შევამოწმეთ მსზ მოდელების სისწორე და მათემატიკური სიზუსტე. ჩვენ ეჭვქვეშ დავაყენეთ ზარალის ჯგუფური რეზერვირების სათანადოობა და მისი შესაბამისობა სტანდარტის ფასს 9 „ფინანსური ინსტრუმენტები“ მოთხოვნებთან. ჩვენ შევამოწმეთ მოდელში შემავალი მონაცემების სიზუსტე და სისრულე, კერძოდ, შემდეგი მაჩვენებლებისა: სესხის ძირის ნაშთი, სესხების გადანაწილება ვადაგადაცილებული დღეების მიხედვით; შევამოწმეთ სხვა მოდელის პარამეტრები, კერძოდ, რესტრუქტურიზაციის ხდომილებები და მაქსიმალური ვადაგადაცილება ერთ კლიენტზე. ინდივიდუალურად შეფასებულ სესხებზე გავაანალიზეთ ყველა სესხის ეტაპებზე განაწილების გონივრულობა და შევამოწმეთ, კმაყოფილდებოდა თუ არა სხვა პირობები, მათ შორის, ვადაგადაცილებული დღეების რაოდენობა, რესტრუქტურიზაცია და მსესხებლის მიმდინარე ფინანსური

რატომ ჩაითვალა ეს საკითხი აუდიტისათვის საყურადღებოდ	როგორ მივუდექით საკითხს აუდიტის პროცესში
ინდივიდუალურად შეფასებული სესხების გაუფასურების ეტაპის სათანადოდ დადგენა რაოდენობრივი და ხარისხობრივი ინფორმაციის საკმაოდ მნიშვნელოვან განსჯას მოითხოვს. ინდივიდუალურად მნიშვნელოვანი სესხების მსზ-ის ინდივიდუალური შეფასება გულისხმობს მსესხებლის ფინანსური მაჩვენებლების, პროცენტის ან სესხის ძირის გადახდის დაგვიანების, აგრეთვე რესტრუქტურიზაციის ხდომილებების ანალიზს, კერძოდ, იმის დადგენას, ხომ არ მომხდარა სესხების თავდაპირველი აღიარების შემდეგ საკრედიტო რისკის საგრძნობი ზრდა ან კრედიტისთვის უარყოფითი ხდომილებები. გარდა ამისა, მე-2 და მე-3 ეტაპის მნიშვნელოვანი სესხებისათვის ანალიზსი შედის სხვადასხვა სცენარში ალბათობაზე შეწონილი მომავალი ფულადი ნაკადების შეფასება. მსზ-ის ანარიცხები აუდიტისთვის საყურადღებო საკითხად განისაზღვრა სესხების ნაშთის სიდიდისა და განსჯის ხარისხისა და შეფასების განუსაზღვრელობის ხარისხებიდან გამომდინარე, რაც განხილულია ფინანსური ანგარიშგების მე-3, მე-4 და მე-11 შენიშვნებში.	მაჩვენებლები, სესხების ეტაპებზე გადანაწილებისას. ჩვენ ხელახლა გამოვითვალეთ მე-2 და მე-3 ეტაპების ინდივიდუალურად მნიშვნელოვანი სესხების მსზ-ის ანარიცხები. მათ შორის, შევამოწმეთ ჯგუფის მიერ დოკუმენტირებული მსესხებლის საკრედიტო შეფასება; ეჭვქვეშ დავაყენეთ მსზ-ის გამოთვლაში გამოყენებული დასკვნები, მათ შორის, მომავალი ფულადი ნაკადების პროგნოზირება. ჩვენ შევაფასეთ, თუ რამდენად საკმარისი და სრულია კონსოლიდირებულ და ინდივიდუალურ ფინანსურ ანგარიშგებაში მოცემული ის განმარტებები, რომლებიც ეხება გაცემულ სესხებს ფასს მოთხოვნების თვალსაზრისით.

სხვა ინფორმაცია

სხვა ინფორმაციაზე პასუხისმგებლობა ეკისრება ხელმძღვანელობას. სხვა ინფორმაცია მოიცავს ინფორმაციას მმართველობის ანგარიშში, რომელიც მომზადებულია ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ საქართველოს კანონის შესაბამისად.

ჩვენი დასკვნა ფინანსურ ანგარიშგებაზე არ მოიცავს სხვა ინფორმაციას და ჩვენ არ გამოვხატავთ რაიმე ტიპის დასკვნას მის თაობაზე.

ფინანსური ანგარიშგების ჩვენ მიერ ჩატარებული აუდიტის ღონისძიებებთან დაკავშირებით ჩვენი პასუხისმგებლობა მოიცავს სხვა ინფორმაციის გაცნობას და ამ პროცესში იმის დადგენას, არის თუ არა სხვა ინფორმაცია ფინანსური ანგარიშგებისა და აუდიტის პროცესში მოპოვებული ინფორმაციის არსებითად შეუსაბამო ან სხვაგვარად არსებითად მცდარი. თუ, ამ აუდიტის დასკვნის თარიღამდე მოპოვებულ სხვა ინფორმაციაზე ჩვენ მიერ ჩატარებული სამუშაოს საფუძველზე, დავასკვნით, რომ ამ სხვა ინფორმაციასთან არსებითი სახის შეუსაბამობა არსებობს, ჩვენ ვალდებულები ვართ, განვაცხადოთ ამ ფაქტის შესახებ. ამ თვალსაზრისით არაფერი გვაქვს მოსახსენებელი.

ხელმძღვანელობისა და ფინანსურ ანგარიშგებაზე პასუხისმგებელ პირთა მოვალეობები

ხელმძღვანელობა ვალდებულია, მოამზადოს და ობიექტურად წარმოადგინოს ფინანსური ანგარიშგება ფასს-ების შესაბამისად და უზრუნველყოს იმგვარი შიდა კონტროლის სისტემის არსებობა, რომელიც, მისი აზრით აუცილებელია ისეთი ფინანსური ანგარიშგების მოსამზადებლად, რომელიც არ შეიცავს შეცდომით და თაღლითობით გამოწვეულ არსებით უზუსტობებს.

ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას, ხელმძღვანელობა ვალდებულია, შეაფასოს კომპანიის მხრიდან საქმიანობის გაგრძელების (უწყვეტი საწარმოს პრინციპის) უნარი, აგრეთვე, აუცილებლობის შემთხვევაში, განმარტოს უწყვეტი საწარმოს პრინციპთან დაკავშირებული საკითხები და აღნიშნული პრინციპი გამოიყენოს ბუღალტრული აღრიცხვის საფუძვლად გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც ხელმძღვანელობა მიზნად ისახავს კომპანიის ლიკვიდაციას ან საქმიანობის შეწყვეტას, ან არ გააჩნია ამისგან განსხვავებული ქმედების რეალური ალტერნატივა.

ზედამხედველობაზე პასუხისმგებელი პირები ვალდებული არიან, თვალყური ადევნონ კომპანიის ფინანსური ანგარიშგების პროცესს.

აუდიტორის მოვალეობები ფინანსური ანგარიშგების აუდიტის პროცესში

ჩვენი ამოცანაა, მოვიპოვოთ იმის საფუძვლიანი რწმენა, რომ ფინანსური ანგარიშგება მთლიანობაში არ შეიცავს შეცდომით და თაღლითობით გამოწვეულ არსებით უზუსტობებს და გამოვუშვათ აუდირებული რეპორტი რომელიც მოიცავს ჩვენს დასკვნას. საფუძვლიანი რწმენა მაღალი ხარისხის რწმენას წარმოადგენს, მაგრამ, ამავდროულად, არ არის იმის გარანტია, რომ აუდიტის საერთაშორისო სტანდარტებით ჩატარებული აუდიტი ყოველთვის გამოავლენს არსებითი ხასიათის უზუსტობას ასეთის არსებობის შემთხვევაში. უზუსტობები შეიძლება წარმოიშვას როგორც თაღლითობის, აგრეთვე შეცდომის შედეგად და არსებითად ითვლება მაშინ, როდესაც, დამოუკიდებლად თუ ერთობლივად, შეიძლება პოტენციურად ზეგავლენას ახდენდეს ამ ფინანსური ანგარიშგების საფუძველზე მის მომხმარებელთა მიერ მიღებულ ეკონომიკურ გადაწყვეტილებებზე.

აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების საფუძველზე, აუდიტის მთელი პროცესის განმავლობაში გამოვთქვამთ პროფესიულ თვალსაზრისს და ვინარჩუნებთ პროფესიულ სკეპტიციზმს. გარდა ამისა:

- ჩვენ ამოვიცნობთ და ვაფასებთ ფინანსურ ანგარიშგებაში თაღლითობითა თუ შეცდომით გამოწვეული არსებითი უზუსტობის რისკებს; ვგეგმავთ და ვატარებთ აუდიტის პროცედურებს ამ რისკებზე რეაგირების თვალსაზრისით და მოვიპოვებთ ისეთ აუდიტორულ მტკიცებულებას, რაც საკმარისი და ადეკვატური საფუძველი იქნება ჩვენი დასკვნის ჩამოსაყალიბებლად. თაღლითობით გამოწვეული არსებითი უზუსტობის ვერშემჩნევის რისკი შეცდომის შედეგად გაპარული არსებითი უზუსტობის ვერშემჩნევის რისკს აღემატება, რადგან თაღლითობა შეიძლება ხდებოდეს საიდუმლო გარიგების, გაყალბების, ინფორმაციის წინასწარგანზრახული გამოტოვების, ინფორმაციის არასწორად წარმოდგენის ან შიდა კონტროლის მექანიზმის დარღვევის გზით;
- მოცემული ვითარებისათვის შესაფერისი აუდიტის პროცედურების დაგეგმვის მიზნით, ვიქმნით წარმოდგენას არსებული შიდა კონტროლის მექანიზმების თაობაზე, რაც არ გულისხმობს კომპანიის შიდა კონტროლის ეფექტურობის თაობაზე აზრის გამოთქმის განზრახვას;
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები. სავაჭრო და სხვა ვალდებულებების დარიცხვა ხდება მაშინ, როდესაც კონტრაჰენტი ხელშეკრულების ფარგლებში ასრულებს თავის მოვალეობებს. იგი თავდაპირველად რეალური ღირებულებით აღიარდება, შემდგომში კი აღირიცხება ამორტიზებული ღირებულებით, ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით.

აქტივებთან დაკავშირებული გრანტები. საინვესტიციო ქონების შეძენასთან დაკავშირებული გრანტები შეყვანილია გრძელვადიან ვალდებულებებში, როგორც გადავადებული შემოსავალი და დარიცხულია მოგებაში ან ზარალში წრფივი მეთოდის საფუძველზე, დაკავშირებული აქტივების მოსალოდნელი სასარგებლო მომსახურების ვადის განმავლობაში.

ნასესხები სახსრები. ნასესხები სახსრები თავდაპირველად რეალური ღირებულებით აღიარდება, შემცირებული გარიგების დანახარჯებით, შემდგომ კი ამორტიზებული ღირებულებით აღირიცხება, ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით.

სესხით სარგებლობასთან დაკავშირებული დანახარჯების კაპიტალიზება. სესხით სარგებლობასთან დაკავშირებული საერთო და სპეციფიკური დანახარჯები, რომლებიც პირდაპირ მიკუთვნებადია აქტივის შეძენაზე, მშენებლობაზე ან შექმნაზე რასაც მნიშვნელოვანი დრო სჭირდება განზრახული მიზნით მოხმარებისათვის ან გასაყიდად მოსამზადებლად (განსაკუთრებული აქტივი), შეადგენს ამ აქტივების თვითღირებულების ნაწილს, თუ კაპიტალიზების დაწყების თარიღია 2016 წლის 1 იანვარი ან შემდეგი თარიღი.

კაპიტალიზაციის დაწყების თარიღია, როდესაც: (ა) ჯგუფი ეწევა დანახარჯებს განსაკუთრებული აქტივისათვის; (ბ) იგი ეწევა სესხით სარგებლობასთან დაკავშირებულ დანახარჯებს; და (გ) იგი ახორციელებს ღონისძიებებს, რაც აუცილებელია აქტივის გამიზნული მოხმარებისთვის ან გასაყიდად მოსამზადებლად.

ნასესხები სახსრების ხარჯების კაპიტალიზაცია გრძელდება, სანამ აქტივის გამიზნული მოხმარებისთვის ან გასაყიდად მომზადებისათვის საჭირო ყველა ღონისძიება დასრულდება.

ჯგუფი ახორციელებს სესხით სარგებლობასთან დაკავშირებული იმ დანახარჯების კაპიტალიზებას, რომელთა თავიდან აცილება შესაძლებელი იქნებოდა კაპიტალ-დანახარჯები რომ არ გაწეულიყო განსაკუთრებულ აქტივებზე. კაპიტალიზებული სესხით სარგებლობასთან დაკავშირებული დანახარჯები გამოითვლება ჯგუფის საშუალო დაფინანსების დანახარჯის (შეწონილი საშუალო საპროცენტო განაკვეთი მრავლდება განსაკუთრებულ აქტივებზე გაწეულ დანახარჯებზე), გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც თანხები ნასესხებია კონკრეტულად განსაკუთრებული აქტივის შეძენისათვის. ასეთ შემთხვევაში, კაპიტალიზდება კონკრეტულ ნასესხებ თანხასთან დაკავშირებით, სესხით სარგებლობასთან მიმართებით, ფაქტობრივად გაწეული დანახარჯები, შემცირებული ნებისმიერი საინვესტიციო შემოსავლით ამ ნასესხები თანხების დროებითი ინვესტირებიდან.

მოგების გადასახადი. მოგების გადასახადი ფინანსურ ანგარიშგებაში ასახულია ძალაში შესული ან საანგარიშგებო პერიოდისთვის ფაქტობრივად ძალაში შესული კანონმდებლობის შესაბამისად.

2016 წლის 13 მაისს საქართველოს მთავრობამ მიიღო ცვლილებები საქართველოს საგადასახადო კოდექსში, რომლის მიხედვითაც კომპანიებს (ბანკების, საკრედიტო დაწესებულებების, სადაზღვეო კომპანიების და ლომბარდების გარდა) 2017 წლის 1 იანვრიდან არ უწევთ მოგების გადასახადის გადახდა მანამ, სანამ არ მოხდება აღნიშნული მოგების განაწილება დივიდენდის სახით ან არ ჩაითვლება განაწილებულად. ფიზიკურ პირებზე ან არარეზიდენტ იურიდიულ პირებზე დივიდენდის გაცემის მომენტში ხდება 15% მოგების გადასახადის დარიცხვა 'აგროსილ' ღირებულებაზე (მაგ. წმინდა დივიდენდები 'აიგროსება' შემადგენელი 5%-იანი გადასახადით, საჭიროებისამებრ, და გაიყოფა 0.85-ზე). მიღებული მოგებიდან რეზიდენტ იურიდიულ პირებზე დივიდენდის გაცემა 2017 წლის 1 იანვრიდან თავისუფლდება მოგების გადასახადისგან.

2008 წლის 1 იანვრიდან 2017 წლის 1 იანვრამდე დაგროვილი გაუნაწილებელი მოგებიდან გაცემული დივიდენდები იბეგრება მოგების გადასახადით გამოანგარიშებამდე მთლიანი მოგების დადგენილ ღირებულებაზე, რომელიც შემცირებულია შესაბამისი საგადასახადო ჩათვლით, რომელიც ითვლება როგორც დასაბეგრ მოგებაზე გამოცხადებული და გადახდილი მოგების გადასახადის წილი იმავე წლის მთლიან წმინდა მოგებაში, გამრავლებული გასაცემ დივიდენდებზე. აღსანიშნავია, რომ საგადასახადო ჩათვლის ოდენობა არ უნდა აღემატებოდეს დივიდენდების განაწილებიდან წარმოქმნილ რეალურ მოგების გადასახადს.

დივიდენდების განაწილების შედეგად წარმოქმნილი მოგების გადასახადი აღირიცხება, როგორც მოგების გადასახადის ხარჯი იმ პერიოდში, როდესაც გამოცხადდა დივიდენდები, მიუხედავად ფაქტიურად გადახდის თარიღისა, ან იმ პერიოდში, როდესაც განხორციელდა დივიდენდების გადახდა.

დივიდენდების განაწილების გარდა გადასახადი გადასახდელია იმ ხარჯებსა და სხვა გადახდებზე, რომლებიც არ არიან დაკავშირებულნი ეკონომიკურ საქმიანობასთან - აქტივების ან მომსახურების უფასო მიწოდება და წარმომადგენლობითი დანახარჯები, რაც აღემატება საქართველოს საგადასახადო კოდექსით განსაზღვრულ მაქსიმალურ თანხას. ყველა გადახდილი ავანსი საწარმოებზე, რომლებიც რეგისტრირებულნი არიან პრივილეგირებული საგადასახადო რეჟიმის მქონე იურისდიქციებში და სხვა გარკვეული ოპერაციები მსგავს საწარმოებთან, ისევე როგორც ფიზიკურ პირებზე ან არარეზიდენტ პირებზე გაცემული სესხები, მაშინვე დაბეგვრადია. მსგავსი გადასახადები, სხვა გადასახადებთან ერთად, პრივილეგირებული საგადასახადო რეჟიმის მქონე იურისდიქციებში დარეგისტრირებული საწარმოებისაგან აღნიშნული გადახდილი ავანსის სანაცვლოდ მიღებულ აქტივებზე ან

მომსახურებებზე მოთხოვნილი საგადასახადო კრედიტის გამოკლებით, ან ფიზიკურ პირებზე ან არარეზიდენტებზე გაცემული სესხების ამოღების გამოკლებით, აღირიცხება საოპერაციო ხარჯებში ასახულ მუხლში - „გადასახადი, მოგების გადასახადის გარდა“.

გაურკვეველი საგადასახადო პოზიცია. ხელმძღვანელობა ჯგუფის გაურკვეველ საგადასახადო პოზიციას ხელახლა აფასებს ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს. ვალდებულებები აღირიცხება მოგების გადასახადისთვის, რაც განისაზღვრება ხელმძღვანელობის მიერ, რომ უფრო მეტად სავარაუდოა, რომ გამოიწვევს დამატებითი გადასახადების დაკისრებას საგადასახადო ორგანოების მხრიდან კითხვები რომ დაისვას. აღნიშნული შეფასება ეფუძნება იმ საგადასახადო კანონმდებლობის ან მსგავს საკითხებზე სასამართლო გადაწყვეტილებების ინტერპრეტირებას, რომლებიც ძალაშია ამჟამად ან ძალაში იქნება საანგარიშგებო პერიოდის დასასრულისთვის. საურავებთან, პროცენტთან და მოგების გარდა სხვა გადასახადებთან დაკავშირებული ვალდებულებები აღიარდება საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს ვალდებულებების დასაფარად საჭირო ხარჯების ხელმძღვანელების საუკეთესო შეფასების საფუძველზე. გაურკვეველი საგადასახადო პოზიციის კორექტირება აღირიცხება მოგების გადასახადის ხარჯში.

დამატებული ღირებულების გადასახადი. წარმოებულ ღირებულებაზე დამატებითი გადასახადი, დაკავშირებული გაყიდვებთან, საგადასახადო ორგანოებისათვის გადახდილ უნდა იქნეს შემდეგი მოვლენებისას, რომელიც უფრო ადრე მოხდება: (ა) მოთხოვნების ამოღება კლიენტებისაგან, ან (ბ) საქონლის ან მომსახურების მიწოდება კლიენტებისათვის. საზოგადოდ, გადასახდელი დღგ ამოღებადია ჩასათვლელი დღგ-ის საპირისპიროდ, დღგ-ის ანგარიშ-ფაქტურის მიღებისას. საგადასახადო ორგანოების მიერ ნებადართულია დღგ-ის ჩათვლა ნეტო საფუძველზე. შემავალი დღგ, რომელიც უკავშირდება ძირითადი საშუალებების საგნების შეძენას, გადავადებულია 5-დან 10 წლამდე იმ საწარმოებისთვის, რომლებსაც 20%-ზე მეტი დღგ-სგან გათავისუფლებული ბრუნვა აქვთ.

სხვა გადასახადები. 2015 წლის 7 დეკემბერს, საქართველოს ფინანსთა სამინისტრომ გამოსცა ბრძანება #407, რის მიხედვითაც გადასახადის გადამხდელთა ვალდებულებები ყველა გადასახადში, კორპორაციული მოგების გადასახადის ჩათვლით და ყველა გადასახადის გადამხდელთა საგადასახადო გადახდა აღირიცხებოდა კონსოლიდირებულ საგადასახადო ანგარიშზე. შედეგად, ყველა საგადასახადო ვალდებულება და საგადასახადო აქტივები წარდგენილი იყო წმინდა საფუძველზე. საგადასახადო აქტივებისა და ვალდებულებების შედეგობრივი ნაშთები მოხსენებულია სხვა საგადასახადო მოთხოვნაში, წმინდად და სხვა საგადასახადო დავალიანებაში, წმინდად.

მარაგები. მარაგები აღირიცხება თვითღირებულებასა და ნეტო სარეალიზაციო ღირებულებას შორის უმცირესით. მარაგების თვითღირებულება მოიცავს შესყიდვის ფასს, იმპორტის ვალდებულებებს , არა ანაზღაურებად გადასახადებსა და ტრანსპორტს, საქონლის შესყიდვასთან და შენახვასთან პირდაპირ მიკუთვნებად ხარჯებთან. მარაგების თვითღირებულება განისაზღვრება საშუალო შეწონილი მეთოდის საფუძველზე. ნეტო სარეალიზაციო ღირებულება არის შეფასებული გასაყიდი ფასი ჩვეულებრივი ბიზნესსაქმიანობისას, შემცირებული დასრულების შეფასებული დანახარჯებით და გაყიდვის ხარჯებით.

გადახდილი ავანსი. გადახდილი ავანსი აღირიცხება თვითღირებულებით, შემცირებული გაუფასურების ანარიცხებით. გადახდილი ავანსი კლასიფიცირდება, როგორც გრძელვადიანი, როდესაც მოსალოდნელია, რომ გადახდილ ავანსთან დაკავშირებული საქონელი ან მომსახურება მიღებული იქნება ერთი წლის შემდეგ, ან, როდესაც გადახდილი ავანსი დაკავშირებულია აქტივთან, რომელიც საწყისი აღიარებისას კლასიფიცირებული იქნება როგორც გრძელვადიანი. აქტივის შესაძენად გადახდილი ავანსები გადადის ამ აქტივის საბალანსო ღირებულებაში ჯგუფის მიერ აქტივზე კონტროლის მოპოვების შემდეგ და როდესაც მოსალოდნელია, რომ ამ აქტივთან დაკავშირებული სამომავლო ეკონომიკური სარგებელი კომპანიაში შემოვა. სხვა გადახდილი ავანსები მოგება-ზარალში ჩამოიწერება გადახდილ ავანსთან დაკავშირებული საქონლის ან მომსახურების მიღებისას. როდესაც არსებობს მინიშნება, რომ აქტივები, საქონელი ან მომსახურება, დაკავშირებული გადახდილ ავანსთან,

არ იქნება მიღებული, მაშინ გადახდილი ავანსის საბალანსო ღირებულება შესაბამისად ჩამოიწერება და შესაბამისი გაუფასურების ზარალი აღიარდება წლის მოგებაში ან ზარალში.

მარაგებისთვის განკუთვნილი საკუთრება. მარაგებისათვის განკუთვნილი საკუთრება აღირიცხება სტანდარტით ბასს 2 „მარაგები". საქმიანობის ჩვეულებრივი მიმდინარეობისას, გასაყიდად და არა გასაქირავებლად, ან სამომავლო განვითარებისთვის შეძენილი, ან აშენებული ქონება, ფლობილია, როგორც მარაგებისთვის განკუთვნილი საკუთრება და ფასდება თვითღირებულებისა და წმინდა სარეალიზაციო ღირებულებას შორის უმცირესით. ღირებულებაში შედის:

- მიწის ღირებულება;
- სამშენებლო მასალებისთვის გადასახდელი თანხები, მათ შორის ქვეკონტრაქტორების ხარჯები და პირდაპირი შრომის ანაზღაურების ხარჯები;
- სესხით სარგებლობის ხარჯები, რომლებიც გაწეულია მანამდე, სანამ საკუთრება მზად იქნება გასაყიდად, დაგეგმვისა და დიზაინის ხარჯები, ტერიტორიის მომზადების ხარჯები, იურიდიული მომსახურების პროფესიული საზღაური, დაზღვევის ხარჯები, სამშენებლო ზედნადები ხარჯები, ადმინისტრაციული ხარჯები და სხვა დაკავშირებული ხარჯები.

ნეტო სარეალიზაციო ღირებულება არის შეფასებული გასაყიდი ფასი ჩვეულებრივი ბიზნესსაქმიანობისას, რომელიც ეფუძნება საანგარიშგებო თარიღისთვის არსებულ საბაზრო ფასს და დისკონტირებულია ფულის დროითი ღირებულებისთვის, თუ ეს არსებითია, შემცირებული დასრულების დანახარჯებით და შეფასებული გაყიდვის ხარჯებით.

დასანგრევად და შემდგომ გასაშენიანებლად შეძენილი ქონება ნაჩვენებია მარაგებისთვის განკუთვნილი საკუთრების მუხლში, განმარტებით შენიშვნაში, დამოუკიდებელი ქვე-ანგარიშის სახით.

გასვლისას მოგებაში ან ზარალში აღარებული მარაგების ღირებულება განისაზღვრება გაყიდულ საკუთრებაზე გაწეული სპეციფიური ხარჯების და გაყიდული საკუთრების შესაბამის ზომაზე ნებისმიერი არა-სპეციფიური ხარჯების განაწილების მითითებით.

საწესდებო კაპიტალი და მთლიანად ანაზღაურებული სააქციო კაპიტალი. ჯგუფის გაცხადებული საწესდებო კაპიტალი განისაზღვრება ჯგუფის მფლობელის მიერ. ჯგუფის გაცხადებულ საწესდებო კაპიტალში ცვლილებები უნდა განხორციელდეს მხოლოდ ჯგუფის მფლობელის გადაწყვეტილების საფუძველზე. გაცხადებული საწესდებო კაპიტალი სიჭარბე/(ნაკლებობა) ფაქტობრივი შენატანის ღირებულებამდე აღირიცხება, როგორც მთლიანად ანაზღაურებული (აუნაზღაურებელი) კაპიტალი, შესაბამისად. ამას გარდა, ჯგუფის მფლობელის მიერ განხორციელებული ფულადი თუ არაფულადი კაპიტალ შენატანები, რომლებიც მიმართული იყო ჯგუფის კაპიტალის გაზრდაზე, თუმცა არ იყო ასახული ჯგუფის წესდებაში საბალანსო უწყისის თარიღით, აღიარდება, როგორც დამატებითი შენატანი კაპიტალში.

დივიდენდები. დივიდენდები აღირიცხება როგორც ვალდებულება იმ პერიოდში, როდესაც მოხდა მათი გამოცხადება და დამტკიცება. საანგარიშგებო პერიოდის დასრულების შემდეგ და ანგარიშგების გამოცემის დამტკიცებამდე გამოცხადებული დივიდენდები აისახება შემდგომი მოვლენების შესახებ განმარტებით შენიშვნაში.

ვალდებულებებისა და ხარჯების ანარიცხები. ვალდებულებებისა და ხარჯების ანარიცხები არის გაურკვეველი ვადის და ოდენობის არაფინანსური ვალდებულებები. მათი დარიცხვა ხდება მაშინ, როდესაც ჯგუფს გააჩნია მიმდინარე იურიდიული ან კონსტრუქციული მოვალეობა წარსული მოვლენების შედეგად და მოსალოდნელია, რომ ამ მოვალეობის დასაფარად საჭირო იქნება ეკონომიკური სარგებლის შემცველი რესურსების გადინება, და შესაძლებელია ამ მოვალეობის თანხის საიმედოდ შეფასება. ანარიცხების შეფასება ხდება ვალდებულების ანგარიშსწორებისათვის საჭირო მოსალოდნელი დანახარჯების დისკონტირებული ღირებულებით, დაბეგვრამდე განაკვეთის

გამოყენებით, რაც ასახავს ფულის დროითი ღირებულების საბაზრო შეფასებებს და ამ მოვალეობისათვის სპეციფიკურ რისკებს. დროის გასვლის გამო ანარიცხების ზრდა აღიარდება საპროცენტო ხარჯის სახით.

გადასახადები და ხარჯები, როგორიცაა, მაგალითად მოგების გადასახადის გარდა სხვა გადასახადები ან მარეგულირებლის საფასური, დაფუძნებული იმ პერიოდთან დაკავშირებულ ინფორმაციაზე, რომელიც წინ უსწრებს გადახდის მოვალეობის წარმოქმნას, ვალდებულებების სახით აღიარდება მაშინ, როდესაც მოხდება მავალდებულებელი მოვლენა, რომელიც გადასახადის გადახდის ვალდებულებას წარმოქმნის; თუ გადასახადი მავალდებულებელი მოვლენის მოხდენამდე გადაიხდება, იგი აღიარდება გადახდილი ავანსების სახით.

როდესაც ჯგუფი მოელის ანარიცხების ანაზღაურებას, მაგალითად სადაზღვევო კონტრაქტის ფარგლებში, ეს ანაზღაურება აღიარდება ცალკე აქტივის სახით, მაგრამ მხოლოდ მაშინ, როდესაც ანაზღაურება ფაქტობრივად გარდუვალია.

ამონაგების აღიარება. ამონაგები არის შემოსავალი, რომელიც წარმოიქმნება ჯგუფის ჩვეულებრივი საქმიანობისას. ამონაგები აღიარდება გარიგების ფასით. გარიგების ფასი არის ანაზღაურება, რომლის მიღებასაც ჯგუფი მოელის დაპირებულ საქონელზე ან მომსახურებაზე მომხმარებლისთვის კონტროლის გადაცემის შედეგად, მესამე მხარის სახელით ამოღებული თანხების გარეშე. ამონაგები აღიარდება ფასდათმობების, საქონლის დაბრუნების და დღგ-ის გარეშე.

საიჯარო და მომსახურების ამონაგები. ჯგუფი მომსახურებას ფიქსირებულფასიანი და ცვალებადფასიანი ხელშეკრულებების საფუძველზე ეწევა. მომსახურების გაწევიდან ამონაგები იმ სააღრიცხვო პერიოდში აღიარდება, როდესაც გაწეულ იქნა მომსახურება. ფიქსირებულფასიანი ხელშეკრულებების შემთხვევაში ამონაგები ეფუძნება საანგარიშგებო პერიოდის დასრულებამდე ფაქტობრივად გაწეული მომსახურების წილს მთლიანად გასაწევ მომსახურებაში, რადგან მომხმარებელი სარგებელს მყისიერად იღებს და მოიხმარს. ეს განისაზღვრება ფაქტობრივად დასახული სამუშაო დღეების ფარდობით მთლიანად თვეში არსებულ სახელშეკრულებო სამუშაო დღეებზე.

როდესაც ხელშეკრულება სამუშაოს შესრულების რამდენიმე მოვალეობას შეიცავს, ოპერაციის ფასი თითოეულ სამუშაოს შესრულების მოვალეობაზე გადანაწილდება მათი ინდივიდუალური გასაყიდი ფასის საფუძველზე. თუ ეს ფასები პირდაპირ გაცხადებული არ არის, მაშინ ისინი შეფასდება მსგავს ხელშეკრულებებში დაკვირვებადი ფასების მიხედვით.

ფიქსირებულფასიანი ხელშეკრულებების შემთხვევაში მომხმარებელი ფიქსირებულ თანხას იხდის გადახდის განრიგის საფუძველზე. თუ ჯგუფის მიერ გაწეული მომსახურება გადააჭარბებს გადახდას, მაშინ სახელშეკრულებო აქტივი აღიარდება. თუ გადახდები გადააჭარბებს გაწეულ მომსახურებას, მაშინ სახელშეკრულებო ვალდებულება აღიარდება.

თუ ხელშეკრულება ცვალებად ანაზღაურებას შეიცავს, ამონაგები აღიარდება იმდენად, რამდენადაც არსებობს მაღალი ალბათობა იმისა, რომ ადგილი არ ექნება მსგავსი ამონაგების მნიშვნელოვანი ნაწილის ანულირებას.

მოიჯარეებისთვის გადახდილი ავანსები აღიარებულია, როგორც საიჯარო ამონაგების შემცირება, წრფივი მეთოდის საფუძველზე საიჯარო ხელშეკრულების ვადის განმავლობაში. იჯარის ვადა არის იჯარის შეუქცევადი პერიოდი ნებისმიერ შემდგომ პერიოდთან ერთად, როდესაც მოიჯარეს აქვს იჯარის გაგრძელების შესაძლებლობა და როდესაც იჯარის დაწყებისას, ჯგუფს გააჩნია გონივრული რწმუნება იმისა, რომ მოიჯარე გამოიყენებს ამ შესაძლებლობას.

შემოსავალი მარაგებისთვის განკუთვნილი ქონების გაყიდვიდან. ჯგუფი აშენებს და ყიდის საცხოვრებელ ფართებს. შემოსავალი აღიარებულია, როდესაც ქონებაზე კონტროლი გადაეცემა მომხმარებელს. უძრავი ქონების წინარე შესყიდვის შეთანხმების სტატუსის ქვეშ, ზოგადად, კომპანიას არ აქვს ალტერნატიული გამოყენება სახელშეკრულებო შეზღუდვების გამო. თუმცა, გადახდის უფლება

არ წარმოიშობა მანამ, სანამ არ მოხდება მიღება-ჩაბარების აქტის ხელმოწერა და შემდგომ კანონიერი უფლება გადაეცემა მომხმარებელს. აქედან გამომდინარე, შემოსავალი აღიარებულია იმ მომენტში, როდესაც კონტროლი გადადის მომხმარებელზე. შემოსავალი იზომება ხელშეკრულებით შეთანხმებული გარიგების ფასად. გათვალისწინება ხდება მანამ, სანამ კონტროლი არ გადავა.

დაფინანსების კომპონენტები. ხელშეკრულება შეიცავს მნიშვნელოვან დაფინანსების კომპონენტს, როდესაც დაპირებული საქონლისა და მომსახურების მომხმარებლისათვის გადაცემასა და მომხმარებლის მიერ გადახდას შორის პერიოდი ერთ წელს აღემატება. ამიტომ, ჯგუფი ფულის დროითი ღირებულების გასათვალისწინებლად აკორექტირებს ოპერაციის ფასებს. იხ. მე-16 შენიშვნა.

საპროცენტო შემოსავალი. საპროცენტო შემოსავალი აღირიცხება ყველა სავალო დარიცხვის საფუძველზე, ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდით. ამ მეთოდით საპროცენტო შემოსავლის სახით გადავადდება მხარეებს შორის ხელშეკრულების ყველა საკომისიო, რაც ეფექტური საპროცენტო განაკვეთის შემადგენელი ნაწილია, ასევე ყველა პრემია ან ფასდათმობა.

საკომისიო, რომელიც ეფექტური საპროცენტო განაკვეთის შემადგენელი ნაწილია, მოიცავს ჯგუფის მიერ ფინანსური აქტივის შექმნასთან ან შეძენასთან დაკავშირებულ საკომისიოს, მაგალითად, საკომისიო კრედიტუნარიანობის შეფასებისთვის, გარანტიების ან გირაოს შეფასებისა და აღრიცხვისთვის, ინსტრუმენტის პირობებზე მოლაპარაკებისთვის და ოპერაციის დოკუმენტების დამუშავებისთვის.

ფინანსური აქტივებისთვის, რომლებიც შეძენილი ან შექმნილი გაუფასურებული ფინანსური აქტივებისთვის ეფექტური საპროცენტო განაკვეთი არის განაკვეთი, რომლითაც მოსალოდნელი ფულადი ნაკადები (მათ შორის თავდაპირველი მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი) დისკონტირდება თავდაპირველი აღიარებისას რეალურ ღირებულებამდე (როგორც წესი შესყიდვის ფასი). შედეგად, ეფექტური საპროცენტო განაკვეთი კორექტირებულია კრედიტის გათვალისწინებით.

საპროცენტო შემოსავალი გამოითვლება ეფექტური საპროცენტო განაკვეთის ფინანსური აქტივის ბრუტო საბალანსო ღირებულების მიმართ გამოყენებით, გარდა (i) ფინანსური აქტივებისა, რომლებიც გაუფასურდა (მე-3 ეტაპი), რომელთა საპროცენტო შემოსავალი გამოითვლება ეფექტური საპროცენტო განაკვეთის ამორტიზებული ღირებულების, მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის ანარიცხის გარეშე, მიმართ გამოყენებით, და (ii) ფინანსური აქტივებისა, რომლებიც ილი ან შექმნილი გაუფასურებული ფინანსური აქტივებია, რომლებისთვისაც კრედიტით კორექტირებული საპროცენტო განაკვეთის ამორტიზებული ღირებულების მიმართ გამოყენებით.

დამატებითი დანახარჯები. ჯგუფი მომხმარებელთან გაფორმებული ხელშეკრულებების მოპოვების დამატებით ხარჯებს აქტივად აღიარებს თუ საწარმო ამ ხარჯების ანაზღაურებას მოელის. ხელშეკრულების გაფორმების დამატებითი ხარჯები წარმოადგენს იმ ხარჯებს, რომელსაც საწარმო გასწევს მომხმარებელთან ხელშეკრულების მოსაპოვებლად, რომელიც არ გაიწეოდა თუ ხელშეკრულება არ გაფორმდებოდა. ხელშეკრულების მოპოვების ის ხარჯები, რომლებიც გაწეულია მიუხედავად იმისა, ხელშეკრულება გაფორმდა თუ არა, აღიარდება როგორც ხარჯი, მისი გაწევისას, თუ ეს ხარჯები აშკარად არ ერიცხება მოხმარებელს, მიუხედავად იმისა, ხელშეკრულება მოპოვებულია თუ არა.

ქირავნობის ხარჯები. მოკლევადიან იჯარასთან დაკავშირებული გადასახადები აღიარებულია წრფივი მეთოდის საფუძველზე, როგორც ხარჯი, მოგებაში ან ზარალში. მოკლევადიანი იჯარების წარმოადგენს იჯარებს, საიჯარო ვადით 12 თვე ან ნაკლები.

თანამშრომელთა ანაზღაურება. ხელფასის, სარგოს, ანაზღაურებადი შვებულებისა და ბიულეტენის, ბონუსებისა და არაფულადი სარგებელის (როგორიცაა ჯანდაცვის მომსახურება და საბავშვო ბაღის მომსახურება) დარიცხვა ხორციელდება იმ წლის განმავლობაში, როდესაც გაწეულ იქნა დაკავშირებული მომსახურება ჯგუფის თანამშრომლების მიერ. ჯგუფს არ გააჩნია იურიდიული ან კონსტრუქციული მოვალეობა, რომ განახორციელოს საპენსიო ან მსგავსი სარგებლის გადახდები.

ცვლილებები ფინანსურ ანგარიშგებაში გამოცემის შემდეგ. წინამდებარე კონსოლიდირებულ და ინდივიდუალურ ფინანსურ ანგარიშგებაში გამოცემის შემდეგ ნებისმიერი ცვლილების განხორციელებისთვის საჭიროა ჯგუფის ხელმძღვანელობის დასტური, ვინც ამ ფინანსურ ანგარიშგებას გამოსაცემად ამტკიცებს.

4 მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები და განსჯა სააღრიცხვო პოლიტიკის გამოყენებისას

ჯგუფი აკეთებს შეფასებებს და დაშვებებს, რომლებიც გავლენას ახდენენ ფინანსურ ანგარიშგებაში ასახული აქტივებისა და ვალდებულებების თანხებზე მომდევნო ფინანსურ წელს. შეფასებების და განსჯის მუდმივი შეფასება ხორციელდება და ეფუძნება ხელმძღვანელობის გამოცდილებას და სხვა ფაქტორებს, მათ შორის სამომავლო მოვლენების მოლოდინს, რაც მიჩნეულია, რომ გონივრული იქნება არსებულ გარემოებებში. სააღრიცხვო პოლიტიკის გამოყენებისას შეფასებებთან ერთად ხელმძღვანელობა იყენებს აგრეთვე განსჯას. განსჯა, რომელსაც შეუძლია ყველაზე დიდი გავლენის მოხდენა ფინანსურ ანგარიშგებაში ასახულ თანხებზე და აქტივების და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებებზე მომდევნო ფინანსურ წელს, მოიცავს შემდეგს:

საინვესტიციო ქონების სასარგებლო მომსახურების ვადები. საინვესტიციო ქონების სასარგებლო მომსახურების ვადის განსაზღვრა ხელმძღვანელობის განსჯის საკითხია და ეფუძნება მსგავს აქტივებთან დაკავშირებულ გამოცდილებას. აქტივის სასარგებლო მომსახურების ვადის განსაზღვრისას, ხელმძღვანელობა ითვალისწინებს აქტივების მოსალოდნელ გამოყენებას, ფიზიკურ ცვეთას, ტექნიკურ მოძველებას და აქტივის ოპერირების ფიზიკურ გარემოს. ამ პირობებსა და დაშვებებში ცვლილებებმა შესაძლოა სამომავლო ცვეთის განაკვეთების კორექტირება გამოიწვიოს.

მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის შეფასება. მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის შეფასება მნიშვნელოვანი შეფასებაა და გულისხმობს მეთოდოლოგიის, მოდელებისა და მონაცემების გამოყენებას. მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის შეფასების მეთოდოლოგიის შესახებ ინფორმაცია გამჟღავნებულია 23-ე შენიშვნაში. საკრედიტო ზარალის ანარიცხზე მნიშვნელოვანი გავლენა აქვს შემდეგ კომპონენტებს: დეფოლტის განსაზღვრება, მნიშვნელოვნად გაზრდილი საკრედიტო რისკი (SICR), დეფოლტის ალბათობა ("PD"), დეფოლტის რისკი ("EAD") და ზარალი დეფოლტის შემთხვევაში ("LGD"), ისევე როგორც მაკროეკონომიკური სცენარების მოდელები. ჯგუფი რეგულარულად მიმოიხილავს და ამტკიცებს მოდელებსა და მონაცემებს, რათა შეამციროს სხვაობები მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის შეფასებებსა და ფაქტობრივ საკრედიტო ზარალს შორის. ჯგუფმა მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის შეფასებისთვის გამოიყენა დასაბუთებადი პერსპექტიული ინფორმაცია, ძირითადად საკუთარი მაკროეკონომიკური პროგნოზირების მოდელის შედეგი. ყველა მნიშვნელოვანი პერსპექტიული დაშვებები, რომლებიც ურთიერთკავშირშია მოსალოდნელ საკრედიტო ზარალთან, ასევე მათზე დაკისრებული შეწონვა არის უცხოური ვალუტის გაცვლისა და მშპ-ს ზრდის განაკვეთები.

საკრედიტო რისკის მნიშვნელოვანი ზრდა ("SICR"). იმისათვის, რომ განისაზღვროს ადგილი ჰქონდა თუ არა რისკის მნიშვნელოვან გაზრდას, ჯგუფი ფინანსური ინსტრუმენტის მომსახურების ვადის განმავლობაში დეფოლტის დადგომის რისკს საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს ადარებს თავდაპირველი აღიარებისას დეფოლტის რისკს. შეფასება მოიცავს საკრედიტო რისკის ფარდობით ზრდას და არა საკრედიტო რისკის კონკრეტული დონის მიღწევას საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს. ჯგუფი ითვალისწინებს ყველა გონივრულ და დასაბუთებად პერსპექტიულ ინფომრაციას, რომელიც ხელმისაწვდომია მეტისმეტი დანახარჯებისა და ძალისხმევის გარეშე, რაც მოიცავს ფაქტორების სპექტრს, მათ შორის კონკრეტული მომხმარებლის პორტფელის ქცევის ასპექტებს.

ჯგუფი საკრედიტო რისკის გაზრდის ქცევით ნიშნებს გამოავლენს გადახდისუუნარობის დადგომამდე და შესაფერის პერსპექტიულ ინფორმაციას ითვალისწინებს საკრედიტო რისკის შეფასებაში, ინდივიდუალური ინსტრუმენტის ან პორტფელის დონეზე. იხილეთ 23-ე შენიშვნა.

5 ახალი და შესწორებული ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების მიღება

მიმდინარე წლის განმავლობაში შპს „აიჯი დეველოფმენტ ჯორჯიამ" გამოიყენა ფასს სტანდარტების შემდეგი შესწორებები, რომლებიც გამოქვეყნებულია საერთაშორისო ბუღალტრული აღრიცხვის სტანდარტების საბჭოს მიერ და რომლებიც ვრცელდება 2024 წლის 1 იანვარს ან მას შემდეგ ძალაში შესულ პერიოდებზე. ამ შესწორებების მიღებას არ ჰქონია მნიშვნელოვანი ეფექტი წინამდებარე ფინანსურ ანგარიშგებაში მოცემულ თანხებზე ან აქ გაკეთებულ განმარტებებზე.

შესწორებები სტანდარტში ბასს 1 – „ვალდებულებათა კლასიფიკაცია მიმდინარედ ან გრძელვადიანად"	შპს „აიჯი დეველოფმენტ ჯორჯიამ" მიმდინარე წელს პირველად დანერგა ბასს 1 სტანდარტის 2020 წლის იანვარში გამოქვეყნებული შესწორებები. ეს შესწორებები ეხება მხოლოდ ვალდებულებების წარმოდგენას ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში მიმდინარედ ან გრძელვადიანად და არა რომელიმე აქტივის, ვალდებულების, შემოსავლის ან ხარჯების ოდენობასა თუ აღიარების დროს ან ამ მუხლების შესახებ განმარტებულ ინფორმაციას. შესწორებები განმარტავს, რომ ვალდებულებათა კლასიფიკაცია მიმდინარედ ან გრძელვადიანად ეფუძნება საანგარიშო პერიოდის ბოლოს არსებულ უფლებებს, აკონკრეტებს, რომ კლასიფიკაციაზე არ მოქმედებს მოლოდინი, გამოიყენებს თუ არა პირი უფლებას, გადაავადოს ვალდებულების დაფარვა, განმარტავს, რომ უფლებები არსებობს, თუ საანგარიშო პერიოდის ბოლოს დათქმები კმაყოფილდება და იმის ასახსნელად, რომ დაფარვა ნიშნავს კონტრაჰენტისათვის ფულის, კაპიტალის ინსტრუმენტების, სხვა აქტივების გადაცემას ან მომსახურების გაწევას, შემოაქვს დაფარვის კონკრეტული განსაზღვრება.
შესწორებები სტანდარტში ბასს 1 - გრძელვადიანი ვალდებულებები დათქმებით	შპს „აიჯი დეველოფმენტ ჯორჯიამ" მიმდინარე წელს პირველად გამოიყენა ბასს 1 სტანდარტის 2022 წლის ნოემბერში გამოქვეყნებული შესწორებები. შესწორებები აკონკრეტებს, რომ პირის უფლებაზე, ვალდებულების დაფარვა გადაავადოს საანგარიშო თარიღიდან სულ მცირე თორმეტი თვით,, მოქმედებს მხოლოდ ის დათქმები, რომელთა შესრულება პირს ევალება საანგარიშო პერიოდის ბოლო დღეს ან ბოლომდე (და ამდენად, უნდა მხედველობაში იქნეს მიღებული ვალდებულების მიმდინარედ ან გრძელვადიანად კლასიფიკაციისას). ამგვარი დათქმები განსაზღვრავს, არსებობს თუ არა უფლება საანგარიშო პერიოდის ბოლოს მაშინაც კი, როდესაც დათქმის შესრულების სტატუსის შეფასება შესაძლებელია მხოლოდ საანგარიშო პერიოდის შემდეგ (მაგალითად, საანგარიშო დღეს ფინანსურ მდგომარეობაზე დაფუძნებული დათქმა, რომლის შესრულება ფასდება მხოლოდ საანგარიშო დღის შემდეგ). ბასსს აგრეთვე აკონკრეტებს, რომ საანგარიშო თარიღიდან სულ მცირე თორმეტით თვით ვალდებულების დაფარვის გადავადების უფლებაზე არ მოქმედებს ის ფაქტი, რომ პირს დათქმის შესრულება მხოლოდ საანგარიშო პერიოდის შემდეგ ევალება. თუმცა, თუ პირის უფლება, გადაავადოს ვალდებულების დაფარვა დამოკიდებულია საანგარიშო პერიოდის გასვლიდან თორმეტი თვის განმავლობაში დათქმების შესრულებაზე, მაშინ პირმა უნდა განმარტოს ის ინფორმაცია, რომელიც ფინანსური ანგარიშგების მომხმარებლებს საშუალებას აძლევს, გააცნობიერონ იმის რისკი, რომ ვალდებულებების დაფარვა სავალდებულო ხდება საანგარიშო პერიოდის დასრულებიდან თორმეტი თვის

	განმავლობაში. ამაში შედის ინფორმაცია დათქმების (მათ შორის, დათქმების ბუნების თაობაზე და იმის შესახებ, თუ როდის ხდება სავალდებულო მათი შესრულება), შესაბამისი ვალდებულებების საბალანსო ღირებულებისა და ფაქტებისა და გარემოებების შესახებ, რაც მიუთითებს, რომ პირს შეიძლება ჰქონდეს ამ დათქმების შესრულების სირთულე.
შესწორებები სტანდარტში ფასს 16 - იჯარა - საიჯარო ვალდებულება გაყიდვისა და უკუიჯარის შემთხვევებში	კომპანიამ მიმდინარე წელს პირველად დანერგა შესწორებები სტანდარტში ფასს 16. ამ შესწორებით, გაყიდვისა და უკუიჯარის იმ ტრანზაქციებს, რომლებიც ფასს 15 სტანდარტით „მომხმარებლებთან გაფორმებული ხელშეკრულებებიდან მიღებული შემოსავალი“ აკმაყოფილებს გაყიდვის კრიტერიუმებს, დაემატა შემდგომი შეფასების მოთხოვნა. ამ შესწორებებით, გამყიდველი-მოიჯარე ვალდებულია, „საიჯარო გადახდები“ ან „კორექტირებული საიჯარო გადახდები“ იჯარის დაწყების შემდეგ იმგვარად დაადგინოს, რომ მან არ აღიაროს მოგება ან ზარალი, რომელიც უკავშირდება მის მიერ შენარჩუნებულ გამოყენების უფლებას. შესწორებები არ მოქმედებს გამყიდველი-მოიჯარის მიერ აღიარებულ მოგებასა თუ ზარალზე, რომელიც უკავშირდება იჯარის ნაწილობრივ ან სრულ შეწყვეტას. ამ ახალი მოთხოვნების გარეშე, გამყიდველ-მოიჯარეს შეიძლებოდა ეღიარებინა მოგება მის მიერ შენარჩუნებულ გამოყენების უფლებაზე მხოლოდ საიჯარო ვალდებულების გადაფასების გამო, რაც ფასს 16 სტანდარტის ზოგადი მოთხოვნა იყო (ეს შეიძლება მომხდარიყო, მაგალითად, იჯარის მოდიფიკაციის ან იჯარის პირობების ცვლილების შედეგად). ეს, კერძოდ, ხდებოდა ისეთ უკუიჯარაში, რომელიც მოიცავს ცვლად საიჯარო გადახდებს, რაც ინდექსზე ან განაკვეთზე არ არის დამოკიდებული. შესწორებების ფარგლებში, ბასსს საბჭომ აგრეთვე შეცვალა ფასს 16 სტანდარტში მოცემული საილუსტრაციო მაგალითი და დაამატა ახალი, რომელიც გვიჩვენებს აქტივის გამოყენების უფლებისა და საიჯარო ვალდებულების შემდგომ გადაფასებას გაყიდვისა და უკუიჯარის ტრანზაქციაში, სადაც საიჯარო გადახდები ცვლადია და არ არის დამოკიდებული ინდექსზე ან განაკვეთზე. საილუსტრაციო მაგალითები აგრეთვე განმარტავს, რომ ვალდებულება, რომელიც ფასს 15 სტანდარტით გაყიდვად კვალიფიცირებული გაყიდვისა და უკუიჯარის ტრანზაქცია არის საიჯარო ვალდებულება. გამყივებლი-მოიჯარე შესწორებებს იყენებს რეტროსპექტიულად, ბასს 8 სტანდარტის მიხედვით, გაყიდვისა და უკუიჯარის იმ ტრანზაქციებზე, რომლებიც გაფორმდა თავდაპირველი გამოყენების თარიღის შემდეგ. ეს უკანასკნელი კი განიმარტება, როგორც ფასს 16 სტანდარტის გამოყენების წლიური საანგარიშო პერიოდის დასაწყისი.
შესწორებები სტანდარტებში ბასს 7 და ფასს 7 „მიმწოდებლის ფინანსური გარიგებები“	კომპანიამ მიმდინარე წელს პირველად დანერგა შესწორებები სტანდარტებში ბასს 7 „ფულადი ნაკადების ანგარიშგება“ და ფასს 7 „ფინანსური ინსტრუმენტები: „მიმწოდებლის ფინანსური გარიგებებით დასათაურებული განმარტებები“. ამ შესწორებებით ბასს 7 სტანდარტს ემატება განმარტება, რომელიც ამბობს, რომ პირი ვალდებულია, განმარტოს ინფორმაცია მიმწოდებლის ფინანსურ გარიგებებთან დაკავშირებით, თუ ეს ინფორმაცია ეხმარება ფინანსური ანგარიშგებების მომხმარებლებს იმ ეფექტის შეფასებაში, რაც ამ გარიგებებს აქვს პირის ვალდებულებებსა და ფულად ნაკადებზე. გარდა ამისა, შეიცვალა ფასს 7 და მას დაემატა მიმწოდებლის ფინანსური გარიგებები, როგორც ლიკვიდურობის რისკის კონცენტრაციის შესახებ ინფორმაციის განმარტების მოთხოვნის მაგალითი. შესწორებებში მოცემულია კონკრეტული გარდამავალი დებულებები, რომლებიც იმოქმედებს პირველ საანგარიშო წლიურ პერიოდში, როდესაც ჯგუფი შესწორებებს გამოიყენებს. ამ გარდამავალი

	დებულებების მიხედვით, პირი არ არის ვალდებული, აჩვენოს შემდეგი: • შესადარი ინფორმაცია შესწორებების პირველი გამოყენების წლიური საანგარიშო პერიოდის დაწყებამდე წარმოდგენილი საანგარიშო პერიოდებისათის. • ინფორმაცია, რომელსაც სხვა შემთხვევაში მოითხოვდა სტანდარტი ბასს 7:44H(b)(ii)–(iii) შესწორებების პირველად გამოყენების წლიური საანგარიშო პერიოდის დასაწყისის მდგომარეობით.
ფასს S1 - მდგრადობასთან დაკავშირებული ფინანსური ინფორმაციის განმარტების ზოგადი მოთხოვნები.	პირს დანერგილი აქვს სტანდარტი ფასს S1 - მდგრადობასთან დაკავშირებული ფინანსური ინფორმაციის განმარტების ზოგადი მოთხოვნები, რომელშიც მოცემულია მდგრადობასთან დაკავშირებული ფინანსური ინფორმაციის საერთო მოთხოვნები, რაც მიზნად ისახავს, პირს მოეთხოვოს ისეთი ინფორმაციის გასაჯაროება, რაც უკავშირდება მდგრადობის რისკებსა და შესაძლებლობებს და გამოსადეგი იქნებოდა ზოგადი ფინანსური ანგარიშების პირველადი მომხმარებლებისათვის კომპანიისათვის რესურსების მიწოდების გადაწყვეტილებების მიღების პროცესში. ამ სტანდარტის მოქმედება სავალდებულოა 2024 წლის 1 იანვარს ან მას შემდეგ დაწყებული წლიური საანგარიშო პერიოდებისათვის.
ფასს S2 - კლიმატთან დაკავშირებული განმარტებები	კომპანიას დანერგილი აქვს ფასს S2 - კლიმატთან დაკავშირებული განმარტებები, რომელშიც მოცემულია კლიმატის რისკებთან და შესაძლებლობებთან დაკავშირებული ისეთი ინფორმაციის იდენტიფიცირება, გაზომვა და განმარტება, რაც გამოსადეგი იქნებოდა ზოგადი ფინანსური ანგარიშების პირველადი მომხმარებლებისათვის კომპანიისათვის რესურსების მიწოდების გადაწყვეტილებების მიღების პროცესში. ამ სტანდარტის მოქმედება სავალდებულოა 2024 წლის 1 იანვარს ან მას შემდეგ დაწყებული წლიური საანგარიშო პერიოდებისათვის.

ახალი გამოცემული სტანდარტები და ინტერპრეტაციები

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების დამტკიცების თარიღისათვის შპს „აიჯი დეველოფმენტ ჯორჯია“ არ იყენებს შემდეგ ახალ და რედაქტირებულ, გამოქვეყნებულ მაგრამ ძალაში ჯერ არშესულ ფასს-ებს, რომლებიც გამოქვეყნებულია საერთაშორისო ბუღალტრული აღრიცხვის სტანდარტების საბჭოს მიერ:

შესწორება სტანდარტში ბასს 21	ვალუტის გაცვლის შესაძლებლობის ნაკლებობა
შესწორება სტანდარტებში ფასს 9 და ფასს 7	ფინანსური ინსტრუმენტების კლასიფიკაცია და შეფასება
ფასს 18	ფინანსური ანგარიშგების წარდგენა და მასში მოცემული განმარტებები
ფასს 19	შვილობილი საწარმოები საჯარო ანგარიშვალდებულების გარეშე: განმარტებები
წლიური გაუმჯობესების ციკლები	ფასს სააღრიცხვო სტანდარტების წლიური გაუმჯობესება - მე-11 სერია

შპს „აიჯი დეველოფმენტ ჯორჯიას“ ხელმძღვანელობა არ ელის, რომ ზემოთ ჩამოთვლილი სტანდარტების ამოქმედება მნიშვნელოვან ზეგავლენას მოახდენს კონსოლიდირებულ და ინდივიდუალურ ფინანსურ ანგარიშგებაზე მომავალ პერიოდებში.

6 ნაშთები და ოპერაციები მეკავშირე მხარეებთან

მეკავშირე მხარეებთან ჯგუფის დაუფარავი ნაშთები იყო შემდეგი:

ქართული ლარი	შენიშვნა	2024 წლის 31 დეკემბერი	2023 წლის 31 დეკემბერი
ერთიანი კონტროლის ქვეშ მყოფ სუბიექტებზე გაცემული სესხების მთლიანი თანხა*	11	131,302,073	49,050,090
საკრედიტო ზარალის ანარიცხი ერთიანი კონტროლის ქვეშ მყოფ სუბიექტებზე გაცემულ სესხებზე	11	(10,858,711)	(15,432,815)
ერთიანი კონტროლის ქვეშ მყოფ სუბიექტებთან სავაჭრო და სხვა მოთხოვნების მთლიანი თანხა	12	1,255,486	1,128,863
სხვა დაკავშირებულ მხარეებთან სავაჭრო და სხვა მოთხოვნების მთლიანი თანხა	12	109,991	174,188
საკრედიტო ზარალის ანარიცხი ერთიანი კონტროლის ქვეშ მყოფ სუბიექტებთან სავაჭრო და სხვა მოთხოვნებზე	12	(315,088)	(315,088)
ერთიანი კონტროლის ქვეშ მყოფ სუბიექტებთან სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	17	(252,928)	(232,216)

**ერთიანი კონტროლის ქვეშ მყოფ სუბიექტებზე გაცემულ სესხებზე კონტრაქტული საპროცენტო განაკვეთი შეადგენს წლიურ 7-14% და დაფარვის ვადა 2031 წლამდეა.*

მეკავშირე მხარეებთან კომპანიის დაუფარავი ნაშთები იყო შემდეგი:

ქართული ლარი	შენიშვნა	2024 წლის 31 დეკემბერი	2023 წლის 31 დეკემბერი
ერთიანი კონტროლის ქვეშ მყოფ სუბიექტებზე გაცემული სესხების მთლიანი თანხა	11	128,247,841	46,334,884
საკრედიტო ზარალის ანარიცხი ერთიანი კონტროლის ქვეშ მყოფ სუბიექტებზე გაცემულ სესხებზე	11	(10,216,027)	(14,885,432)
ერთიანი კონტროლის ქვეშ მყოფ სუბიექტებთან სავაჭრო და სხვა მოთხოვნების მთლიანი თანხა	12	1,255,486	1,129,181
სხვა მეკავშირე მხარეებთან სავაჭრო და სხვა მოთხოვნების მთლიანი თანხა	12	109,991	174,188
საკრედიტო ზარალის ანარიცხი ერთიანი კონტროლის ქვეშ მყოფ სუბიექტებთან სავაჭრო და სხვა მოთხოვნებზე	12	(315,088)	(315,088)
სავაჭრო და სხვა გადასახდელები ერთიანი კონტროლის ქვეშ მყოფ ისუბიექტებისთვის	17	(252,578)	(231,341)

**ერთიანი კონტროლის ქვეშ მყოფ სუბიექტებზე გაცემულ სესხებზე კონტრაქტული საპროცენტო განაკვეთი შეადგენს წლიურ 7-14% და დაფარვის ვადა 2031 წლამდეა.*

ჯგუფის შემოსავლებისა და დანახარჯები მუხლები ერთიანი კონტროლის ქვეშ მყოფ სუბიექტებთან იყო შემდეგი:

ქართული ლარი	შენიშვნა	2024	2023
საიჯარო შემოსავალი საინვესტიციო ქონებიდან	18	4,667,173	4,470,657
ამონაგები მომხმარებლებთან გაფორმებული ხელშეკრულებებიდან	18	953,648	676,736
საპროცენტო შემოსავალი	22	4,759,590	3,058,103
გაცემულ სესხებზე გაუფასურების ზარალი	11	5,744,835	3,728,386
გაუფასურების ზარალი სავაჭრო და სხვა მოთხოვნებზე	12	107,671	398,737

კომპანიის შემოსავლებისა და დანახარჯები მუხლები ერთიანი კონტროლის ქვეშ მყოფ სუბიექტებთან იყო შემდეგი:

ქართული ლარი	შენიშვნა	2024	2023
საიჯარო შემოსავალი საინვესტიციო ქონებიდან	18	4,934,894	4,470,657
ამონაგები მომხმარებლებთან გაფორმებული ხელშეკრულებებიდან	18	986,096	676,736
საპროცენტო შემოსავალი	22	4,544,751	2,851,835
გაცემულ სესხებზე გაუფასურების ზარალი	11	5,656,124	3,714,490
გაუფასურების ზარალი სავაჭრო და სხვა მოთხოვნებზე	12	107,671	398,737

ხელმძღვანელი პირების ანაზღაურება. ჯგუფის ხელმძღვანელი პირები მოიცავს მაღალი რანგის 5 (2023: 4) ხელმძღვანელ პირს. მთავარი ხელმძღვანელი პირების ანაზღაურება წარმოდგენილია ქვემოთ:

ქართულ ლარში	2024 ხარჯი	2023 ხარჯი
მოკლევადიანი ბენეფიტები:		
- ხელფასები	5,395,957	4,998,910
- მოკლევადიანი პრემიები	1,304,798	455,943
სულ ხელმძღვანელობის ანაზღაურება	**6,700,755**	**5,454,853**

კომპანიის ხელმძღვანელი პირები მოიცავს მაღალი რანგის 4 (2023: 4) ხელმძღვანელ პირს.

მთავარი ხელმძღვანელი პირების ანაზღაურება წარმოდგენილია ქვემოთ:

ქართულ ლარში	2024 ხარჯი	2023 ხარჯი
მოკლევადიანი ბენეფიტები:		
- ხელფასები	5,395,957	4,998,910
- მოკლევადიანი პრემიები	1,304,798	455,943
სულ ხელმძღვანელობის ანაზღაურება	**6,700,755**	**5,454,853**

მოკლევადიანი ბონუსები გადასახდელია იმ პერიოდის დასრულების შემდეგ 12 თვის განმავლობაში, როდესაც ხელძღვანელობამ აღნიშნული მომსახურება გაწია.

7 საინვესტიციო ქონება

მოძრაობა ჯგუფის და კომპანიის საინვესტიციო ქონების საბალანსო ღირებულებებში შემდეგია:

ქართული ლარი	მიწა	შენობა-ნაგებობები და მათთან დაკავშირებული აღჭურვილობა	ავანსები და დაუმთავრებელი მშენებლობა	პარკინგი და ასთან დაკავშირებული სისტემები	სულ
ღირებულება 2023 წლის 1 იანვარს	33,901,599	159,447,187	3,125,922	2,233,836	198,708,544
დაგროვილი ცვეთა	-	(16,580,895)	-	(173,276)	(16,754,171)
საბალანსო ღირებულება 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	**33,901,599**	**142,866,292**	**3,125,922**	**2,060,560**	**181,954,373**
დამატებები	-	230,314	6,374,327	-	6,604,641
გადაცემა	-	3,123,773	(3,123,773)	-	-
ცვეთის საფასური	-	(4,215,051)	-	(115,770)	(4,330,821)
საბალანსო ღირებულება 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	**33,901,599**	**142,005,328**	**6,376,476**	**1,944,790**	**184,228,193**
ღირებულება 2023 წლის 31 დეკემბერს	33,901,599	163,071,274	6,376,476	2,233,836	205,583,185
დაგროვილი ცვეთა	-	(21,065,946)	-	(289,046)	(21,354,992)
საბალანსო ღირებულება 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	**33,901,599**	**142,005,328**	**6,376,476**	**1,944,790**	**184,228,193**
დამატებები	-	-	15,301,663	-	15,301,663
გადაცემები	-	920,903	(920,903)	-	-
ცვეთის საფასური	-	(4,291,123)	-	(115,940)	(4,407,063)
საბალანსო ღირებულება 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	**33,901,599**	**138,635,109**	**20,757,235**	**1,828,850**	**195,122,793**
ღირებულება 2024 წლის 31 დეკემბერს	33,901,599	163,992,178	20,757,235	2,233,836	220,884,848
დაგროვილი ცვეთა	-	(25,357,069)	-	(404,986)	(25,762,055)
საბალანსო ღირებულება 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	**33,901,599**	**138,635,109**	**20,757,235**	**1,828,850**	**195,122,793**

მიწისა და შენობა-ნაგებობების საბალანსო ღირებულებისთვის, რომლებიც დაგირავდა მესამე მხარეებზე, როგორც უზრუნველყოფა ნასესხები სახსრებისთვის იხილეთ 24-ე შენიშვნა.

მაშინ, როდესაც ჯგუფი ან კომპანია მეიჯარეა, სამომავლო მინიმალური საიჯარო გადახდები შეუქცევადი იჯარების მიხედვით არის შემდეგი:

ქართული ლარი	2024	2023
არაუგვიანეს 1 წლისა	74,124,312	64,799,679
1 წლის შემდეგ და არაუგვიანეს 5 წლისა	144,299,677	126,362,309
5 წლის შემდეგ	31,611,626	30,699,512
სულ საოპერაციო იჯარის გადახდის მოთხოვნა 31 დეკემბრის მდგომარეობით	**250,035,615**	**221,861,500**

8 ძირითადი საშუალებები

ჯგუფის ძირითადი საშუალებების საბალანსო ღირებულებებში მოძრაობა შემდეგია:

ქართული ლარი	შენობა-ნაგებობები	ავეჯი და მოწყობილობები	ბილბორდები და სარეკლამო აღჭურვილობა	სხვა აქტივები	სულ
ღირებულება 2022 წლის 31 დეკემბერს	1,634,069	3,610,470	565,564	1,760,497	7,570,600
დაგროვილი ცვეთა	(106,774)	(1,569,990)	(235,840)	(741,982)	(2,654,586)
საბალანსო ღირებულება 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	**1,527,295**	**2,040,480**	**329,724**	**1,018,515**	**4,916,014**
დამატებები	-	401,656	-	660,986	1,062,642
ცვეთის ხარჯი	(52,626)	(795,169)	(51,888)	(248,483)	(1,148,166)
საბალანსო ღირებულება 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	**1,474,669**	**1,646,967**	**277,836**	**1,431,018**	**4,830,490**
ღირებულება 2023 წლის 31 დეკემბერს	1,634,069	4,012,126	565,564	2,421,483	8,633,242
დაგროვილი ცვეთა	(159,400)	(2,365,159)	(287,728)	(990,465)	(3,802,752)
საბალანსო ღირებულება 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	**1,474,669**	**1,646,967**	**277,836**	**1,431,018**	**4,830,490**
დამატებები	-	157,112	1,211,145	1,777,388	3,145,645
ცვეთის ხარჯი	(52,626)	(665,911)	(68,589)	(373,530)	(1,160,657)
საბალანსო ღირებულება 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	**1,422,042**	**1,138,168**	**1,420,392**	**2,834,877**	**6,815,479**
ღირებულება 2024 წლის 31 დეკემბერს	1,634,069	4,169,238	1,776,709	4,198,872	11,778,888
დაგროვილი ცვეთა	(212,027)	(3,031,070)	(356,317)	(1,363,995)	(4,963,409)
საბალანსო ღირებულება 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	**1,422,042**	**1,138,168**	**1,420,392**	**2,834,877**	**6,815,479**

მოძრაობა კომპანიის ძირითადი საშუალებების საბალანსო ღირებულებებში შემდეგია:

ქართულ ლარში	შენობა-ნაგებობები	ავეჯი და მოწყობილობები	ბილბორდები და სარეკლამო აღჭურვილობა	სხვა აქტივები	სულ
ღირებულება 2022 წლის 31 დეკემბერს	1,532,401	3,572,228	565,564	1,631,886	7,302,079
დაგროვილი ცვეთა	(106,774)	(1,569,990)	(235,840)	(741,982)	(2,654,586)
საბალანსო ღირებულება 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	**1,425,627**	**2,002,238**	**329,724**	**889,904**	**4,647,493**
დამატებები	-	291,194	-	615,122	906,316
ცვეთის ხარჯი	(52,626)	(679,705)	(51,888)	(243,830)	(1,028,049)
საბალანსო ღირებულება 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	**1,373,001**	**1,613,727**	**277,836**	**1,261,196**	**4,525,760**
ღირებულება 2023 წლის 31 დეკემბერს	1,532,401	3,863,422	565,564	2,247,008	8,208,395
დაგროვილი ცვეთა	(159,400)	(2,249,695)	(287,728)	(985,812)	(3,682,635)
საბალანსო ღირებულება 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	**1,373,001**	**1,613,727**	**277,836**	**1,261,196**	**4,525,760**
დამატებები	-	82,700	965,017	1,732,575	2,780,292
ცვეთის ხარჯი	(52,626)	(620,897)	(68,589)	(307,428)	(1,049,540)
საბალანსო ღირებულება 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	**1,320,374**	**1,075,530**	**1,174,264**	**2,686,343**	**6,256,511**
ღირებულება 2024 წლის 31 დეკემბერს	1,532,401	3,946,122	1,530,581	3,979,583	10,988,687
დაგროვილი ცვეთა	(212,027)	(2,870,592)	(356,317)	(1,293,240)	(4,732,176)
საბალანსო ღირებულება 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	**1,320,374**	**1,075,530**	**1,174,264**	**2,686,343**	**6,256,511**

ნასესხები სახსრებისთვის უზრუნველყოფის სახით მესამე პირებთან დაგირავებული ძირითადი საშუალებების საბალანსო ღირებულების შესახებ იხილეთ შენიშვნა 24.

9 ინვესტიცია შვილობილ საწარმოში

2024 და 2023 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანიას გააჩნდა შვილობილი საწარმო შპს „სითი დეველოფმენტი". შვილობილი საწარმოს ძირითადი საქმიანობაა CITYZEN კომპლექსის განვითარება, რომელიც გააერთიანებს საცხოვრებელ, კომერციულ და რეკრეაციულ სივრცეებს 2023 წელს კომპანიის მიერ კაპიტალში შემოწირულ მიწის ნაკვეთებზე. იხილეთ შენიშვნა 10.

შვილობის საწარმოში ინვესტიციის საბალანსო ღირებულება შედგება გასავითარებელი მიწის ღირებულებისგან, რომელიც კომპანიამ შეწირა შპს „სითი დეველოფმენტის" კაპიტალში. ხელმძღვანელობამ შეაფასა შვილობილ საწარმოებში ინვესტიციების ამოღებადობის შესაძლებლობა და დაასკვნა, რომ ისინი სრულად ამოღებადია.

10 მარაგებისთვის განკუთვნილი საკუთრება

ჯგუფისა და კომპანიის მარაგებისათვის განკუთვნილი საკუთრება შეადგენდა შემდეგს:

ქართულ ლარში	2024 წლის 31 დეკემბერი	2023 წლის 31 დეკემბერი
საცხოვრებელი კომპლექსი სითიზენი	137,577,819	93,491,125
დანგრევისა და შემდგომი განაშენიანების მიზნით შეძენილი ქონება	3,682,588	-
სხვა მარაგებისათვის განკუთვნილი საკუთრება	10,591,818	6,533,371
სულ მარაგებისათვის განკუთვნილი საკუთრება	**151,852,225**	**100,024,496**

მარაგებისათვის განკუთვნილი საკუთრება მოიცავს უძრავი ქონების განაშენიანების რამდენიმე პროექტს და დანგრევისა და შემდგომი განაშენიანების მიზნით შეძენილ ქონებას. ჯგუფის მთავარი პროექტია მულტიფუნქციური კომპლექსი „სიტიზენი".

2021 წელს ჯგუფმა შეიძინა ვაკე-საბურთალოს რაიონში მდებარე მიწის ნაკვეთები, იმ განზრახვით, რომ ის გამოიყენოს CITYZEN მრავალფუნქციური კომპლექსის გასავითარებლად 2026 წლისთვის. ეს მიწის ნაკვეთები ჯგუფის კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში 2021 წლის 31 დეკემბრისთვის იყო, როგორც განაშენიანების მიწა, რადგან არქიტექტურული, დიზაინის და საპროექტო დაგეგმვის სამუშაოები ჯერ არ იყო დასრულებული.

2022 წლის ნოემბერში ჯგუფმა დაასრულა არქიტექტურული და დიზაინის პროექტები CITYZEN-ისთვის და წარადგინა ადგილობრივ ხელისუბლების ორგანოში. მიწის მოსწორების სამუშაოებიც დაიწყო აქტიური ტემპებით. ამ პერიოდიდან მიწის ნაკვეთები გასავითარებელი მიწიდან გადაკლასიფიცირდა მარაგებისთვის განკუთვნილ საკუთრებაში. ამ პერიოდის შემდეგ, კომპლექსისთვის გაწეულ დანახარჯებთან და დამატებებთან დაკავშირებული ფულადი ნაკადები დაკლასიფიცირდა საოპერაციო ფულად ნაკადებში კოსოლიდირებულ ფულადი ნაკადების მოძრაობის ანგარიშგებაში.

2022 წლის ნოემბრიდან ჯგუფმა გამოაცხადა საცხოვრებელი კომპლექსის D ბლოკის მომხმარებლებისთვის წინასწარი ავანსების მიღება წინარე შესყიდვის ხელშეკრულებებით.

2023 წლის მარტიდან ჯგუფმა დაიწყო კლიენტებისგან ავანსების მიღება C ბლოკზე, ხოლო წლის დასრულებამდე აგრეთვე დაიწყო ავანსების მიღება B ბლოკის კლიენტებისგან.

ამასთან ერთად, 2024 წლის ივნისიდან ჯგუფმა დაიწყო ავანსების მიღება A ბლოკის კლიენტებისგან და ავტოსადგომებიდან (D ბლოკი - 2024 წლის მაისი, BC ბლოკი - 2024 წლის ივნისი).

2024 წელს ჯგუფმა დანგრევისა და საცხოვრებელი კომპლექსის შემდგომი მშენებლობის მიზნით შეისყიდა უძრავი ქონება ქალაქ თბილისის ცენტრში.

შემოსავლები მარაგებისათვის განკუთვნილი საკუთრებიდან ჯგუფის კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში წლის განმავლობაში აღიარებული არ არის.

მარაგებისთვის განკუთვნილი საკუთრების გაყიდვიდან მიღებულ შემოსავლებთან დაკავშირებული აღრიცხვის პოლიტიკა იხილეთ მე-3 შენიშვნაში. მარაგებისთვის განკუთვნილი საკუთრების სანაცვლოდ მიღებული ავანსები იხილეთ მე-16 შენიშვნაში.

მესამე მხარეებზე აღებული სესხების სანაცვლოდ უზრუნველყოფად დათქმული მარაგებისათვის განკუთვნილი საკუთრების საბალანსო ღირებულებები იხილეთ 24-ე შენიშვნაში.

11 გაცემული სესხები

31 დეკემბრის მდგომარეობით ჯგუფის მიერ გაცემული სესხები იყო შემდეგი:

ქართული ლარი	2024 წლის 31 დეკემბერი	2023 წლის 31 დეკემბერი
მეკავშირე მხარეებზე გაცემული სესხები	131,302,073	49,050,090
სხვა გაცემული სესხები	14,569,070	-
გამოკლებული: სესხის გაუფასურების ანარიცხი	(21,177,650)	(15,432,815)
სულ სესხების საბალანსო ღირებულება ამორტიზირებული ღირებულებით	**124,693,493**	**33,617,275**

31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანიის მიერ გაცემული სესხები იყო შემდეგი:

ქართული ლარი	2024 წლის 31 დეკემბერი	2023 წლის 31 დეკემბერი
მეკავშირე მხარეებზე გაცემული სესხები	128,247,841	46,334,884
სხვა გაცემული სესხები	14,569,071	-
გამოკლებული: სესხის გაუფასურების ანარიცხი	(20,541,556)	(14,885,432)
სულ სესხების საბალანსო ღირებულება ამორტიზირებული ღირებულებით	**122,275,356**	**31,449,452**

ქვემოთ მოცემულ ცხრილებში ასახულია ამორტიზებული ღირებულებით ასახული ჯგუფის მიერ გაცემული სესხების საკრედიტო ზარალის ანარიცხის და მთლიანი საბალანსო ღირებულების ცვლილებები საანგარიშგებო პერიოდის დასაწყისიდან დასასრულამდე:

	საკრედიტო ზარალის ანარიცხი				მთლიანი საბალანსო ღირებულება			
ათასი ლარი	ეტაპი 1 (12-თვიანი ECL)	ეტაპი 2 (მომსახურების ვადის განმავლობაში ECL, SICR-თვის)	ეტაპი 3 (მომსახურების ვადის განმავლობაში ECL, გაუფასურებული კრედიტი)	სულ	ეტაპი 1 (12-თვიანი ECL)	ეტაპი 2 (მომსახურების ვადის განმავლობაში ECL, SICR-თვის)	ეტაპი 3 (მომსახურების ვადის განმავლობაში ECL, გაუფასურებული კრედიტი)	სულ
მეკავშირე მხარეებზე გაცემული სესხები 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	**(26,804)**	**(6,465,312)**	**(5,212,314)**	**(11,704,430)**	**1,014,964**	**32,124,828**	**10,827,046**	**43,966,838**
მოძრაობები, რომლებიც გავლენას ახდენენ პერიოდის საკრედიტო ანარიცხის ბარჯზე:								
ახლად წარმოქმნილი ან შეძენილი	(56,166)	(209,352)	-	(265,518)	1,959,926	711,300	-	2,671,226
პერიოდის განმავლობაში აღიარება შეწყვეტილი	3,058	50,744	-	53,802	(305,808)	(440,049)	-	(745,857)
ცვლილებები დარიცხულ პროცენტში	(1,026)	(391,250)	(388,949)	(781,225)	102,559	2,365,061	539,671	3,007,291
სხვა მოძრაობები								
გადატანა:								
- მომსახურების ვადის განმავლობაში (1-დან მე-2 ეტაპზე)	21,763	(21,763)	-	-	(1,095,960)	1,095,960		-
- გაუფასურებულ კრედიტში (1-ელი და მე-2 ეტაპებიდან მე-2 ეტაპზე)	-	-	-	-	-	(3,021,717)	3,021,717	-
ცვლილება მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის მოდელის დაშვებებში	(145,697)	(139,957)	(2,460,048)	(2,745,702)	-	-	-	-
სულ ცვლილებები, რომლებიც გავლენას ახდენენ პერიოდის საკრედიტო ზარალის ანარიცხის დანახარჯზე	**(178,067)**	**(711,578)**	**(2,848,997)**	**(3,738,643)**	**660,717**	**710,555**	**3,561,388**	**4,932,660**
ცვლილებები, რომლებიც გავლენას არ ახდენენ პერიოდის საკრედიტო ზარალის ანარიცხის დანახარჯზე:								
უცხოური ვალუტის გაცვლის და სხვა ცვლილებები	(137)	(7,750)	18,145	10,258	10,071	159,854	(19,333)	150,592
2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	**(205,009)**	**(7,184,640)**	**(8,043,166)**	**(15,432,815)**	**1,685,752**	**32,995,237**	**14,369,101**	**49,050,090**
ცვლილებები, რომლებიც გავლენას ახდენენ პერიოდის საკრედიტო ზარალის ანარიცხის დანახარჯზე:								
ახლად წარმოქმნილი ან შეძენილი	(731,348)	(2,360,638)	-	(3,091,985)	73,134,761	16,948,917	-	90,083,678
პერიოდის განმავლობაში აღიარება შეწყვეტილი	13,392	625,682	-	639,074	(1,339,215)	(1,604,093)	-	(2,943,307)
ცვლილებები დარიცხულ პროცენტში	(815)	(506,909)	(562,459)	(1,070,184)	1,702,444	3,363,870	562,459	5,628,773
გადატანა:								
- მომსახურების ვადის განმავლობაში (1-დან მე-2 ეტაპზე)	172,474	(172,474)	-	-	(964,157)	964,157	-	-
- გაუფასურებულ კრედიტში (1-ელი და მე-2 ეტაპებიდან მე-3 ეტაპზე)	-	-	-	-	-	-	-	-
ცვლილება მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის მოდელის დაშვებებში	(6,877)	(1,480,757)	(1)	(1,487,635)	-	-	-	-

	საკრედიტო ზარალის ანარიცხი				მთლიანი საბალანსო ღირებულება			
ქართული ლარი	ეტაპი 1 (12-თვიანი ECL)	ეტაპი 2 (მომსახურების ვადის განმავლობაში ECL, SICR-თვის)	ეტაპი 3 (მომსახურების ვადის განმავლობაში ECL, გაუფასურებული კრედიტი)	სულ	ეტაპი 1 (12-თვიანი ECL)	ეტაპი 2 (მომსახურების ვადის განმავლობაში ECL, SICR-თვის)	ეტაპი 3 (მომსახურების ვადის განმავლობაში ECL, გაუფასურებული კრედიტი)	სულ
სულ ცვლილებები, რომლებიც გავლენას ახდენენ პერიოდის საკრედიტო ზარალის ანარიცხის დანახარჯზე	**(553,174)**	**(3,895,096)**	**(562,460)**	**(5,010,730)**	**72,533,833**	**19,672,852**	**562,459**	**92,769,143**
ცვლილებები, რომლებიც გავლენას არ ახდენენ პერიოდის საკრედიტო ზარალის ანარიცხის დანახარჯზე:								
უცხოური ვალუტის გაცვლის და სხვა ცვლილებები	(17,257)	(332,427)	(384,421)	(734,105)	1,697,340	1,937,159	417,409	4,051,909
2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	**(775,439)**	**(11,412,163)**	**(8,990,048)**	**(21,177,650)**	**75,916,925**	**54,605,247**	**15,348,970**	**145,871,143**

ქვემოთ მოცემულ ცხრილებში ასახულია ამორტიზებული ღირებულებით ასახული კომპანიის მიერ გაცემული სესხების საკრედიტო ზარალის ანარიცხის და მთლიანი საბალანსო ღირებულების ცვლილებები საანგარიშგებო პერიოდის დასაწყისიდან დასასრულამდე:

	საკრედიტო ზარალის ანარიცხი				მთლიანი საბალანსო ღირებულება			
ქართული ლარი	ეტაპი 1 (12-თვიანი ECL)	ეტაპი 2 (მომსახურების ვადის განმავლობაში ECL, SICR-თვის)	ეტაპი 3 (მომსახურების ვადის განმავლობაში ECL, გაუფასურებული კრედიტი)	სულ	ეტაპი 1 (12-თვიანი ECL)	ეტაპი 2 (მომსახურების ვადის განმავლობაში ECL, SICR-თვის)	ეტაპი 3 (მომსახურების ვადის განმავლობაში ECL, გაუფასურებული კრედიტი)	სულ
გაცემული სესხები								
2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	**(29,829)**	**(5,900,322)**	**(5,240,791)**	**(11,170,942)**	**1,420,973**	**29,337,944**	**10,801,135**	**41,560,052**
მოძრაობები, რომლებიც გავლენას ახდენენ პერიოდის საკრედიტო ანარიცხის ხარჯზე:								
ახლად წარმოქმნილი ან შეძენილი	(56,166)	(209,352)	-	(265,517)	1,959,926	711,300	-	2,671,226
პერიოდის განმავლობაში აღიარება შეწყვეტილი	4,058	50,744	-	54,802	(405,808)	(440,049)	-	(845,857)
ცვლილებები დარიცხულ პროცენტში	(862)	(353,262)	(388,949)	(743,073)	136,133	2,175,117	539,671	2,850,921
გადატანა:								
- მომსახურების ვადის განმავლობაში (1-დან მე-2 ეტაპზე)	21,763	(21,763)	-	-	(1,095,960)	1,095,960		-
- გაუფასურებულ კრედიტში (1-ელი და მე-2 ეტაპებიდან მე-2 ეტაპზე)	-	-	-	-	-	(3,021,717)	3,021,717	-
ცვლილება მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის მოდელის დამვებებში	(145,896)	(183,710)	(2,460,048)	(2,789,654)	-	-	-	-
სულ ცვლილებები, რომლებიც გავლენას ახდენენ პერიოდის საკრედიტო ზარალის ანარიცხის დანახარჯზე	**(177,103)**	**(717,342)**	**(2,848,997)**	**(3,743,442)**	**594,291**	**520,611**	**3,561,388**	**4,676,290**
ცვლილებები, რომლებიც გავლენას არ ახდენენ პერიოდის საკრედიტო ზარალის ანარიცხის დანახარჯზე:								
უცხოური ვალუტის გაცვლის და სხვა ცვლილებები	(119)	10,926	18,145	28,952	11,922	105,953	(19,333)	98,542

ქართული ლარი	საკრედიტო ზარალის ანარიცხი				მთლიანი საბალანსო ღირებულება			
	ეტაპი 1 (12-თვიანი ECL)	ეტაპი 2 (მომსახურების ვადის განმავლობაში ECL, SICR-თვის)	ეტაპი 3 (მომსახურების ვადის განმავლობაში ECL, გაუფასურებული კრედიტი)	სულ	ეტაპი 1 (12-თვიანი ECL)	ეტაპი 2 (მომსახურების ვადის განმავლობაში ECL, SICR-თვის)	ეტაპი 3 (მომსახურების ვადის განმავლობაში ECL, გაუფასურებული კრედიტი)	სულ
